



საქართველოს უნივერსიტეტი  
სადოქტორო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება

საქართველოს აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის შედეგების შეფასება (2018-2024 წლები):  
მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტების ფინანსებზე ხელმისაწვდომობასა და საქართველოს  
ევროკავშირთან ჰარმონიზაციის პროცესში

ავტორი: ნათია კალატოზიშვილი

სადოქტორო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების  
დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პროფესორი ეკა გეგეშიძე

თბილისი

2026

## მიმოხილვა

ფინანსური გამჭვირვალობა და სანდო ფინანსური ანგარიშგება უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ინვესტიციების მოზიდვისა და ეკონომიკური ზრდის კუთხით. საქართველოს აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმაც სწორად ამას ისახავს მიზნად: გაზარდოს ანგარიშგების ხარისხი და გამჭვირვალობის სტანდარტები. ეს განსაკუთრებით კრიტიკულია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (SME-ები), რომელთა ფინანსებზე წვდომა ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ნაშრომის მიზანია საქართველოს აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის შედეგიანობის შეფასება SME-ების ფინანსებზე წვდომის ჭრილში; ასევე ბუღალტრული აღრიცხვის ჩარჩოს ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაციის დინამიკის გაანალიზება, მათ შორის მდგრადობის ანგარიშგების მიმართულებით. ნაშრომი აანალიზებს რეფორმის 2018-2024 წლების პერიოდს და პასუხობს ოთხ ძირითად კითხვას: SME-ების ანგარიშგების ხარისხი; ფინანსებზე წვდომის ცვლილებები; ბანკების მიერ საჯარო ანგარიშგების გამოყენება; ევროკავშირის რეგულაციებთან ჰარმონიზაციის პროგრესი.

ნაშრომი ეყრდნობა ინფორმაციული ასიმეტრიისა და სიგნალის გადაცემის, ინსტიტუციურ და ლეგიტიმურობის თეორიებს. კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ ინფორმაციული ასიმეტრია კვლავ რჩება კრიტიკულ ბარიერად, რაც თეორიულ ლოგიკასთან თანხვედრაშია.

კვლევა ეფუძნება შერეულ მეთოდებს და აერთიანებს როგორც კაბინეტურ, ისე საველე კომპონენტებს: კაბინეტური ნაწილი მოიცავს ლიტერატურის, კანონმდებლობისა და ოფიციალური ანგარიშგების ანალიზს. საველე კომპონენტი მოიცავს SME-ების გამოკითხვებს (2019 და 2025), ექსპერტულ ინტერვიუებს (2019 და 2025) და ბანკებთან ინტერვიუებს (2024). რაოდენობრივი მონაცემები გაანალიზდა აღწერითი სტატისტიკისა და  $\chi^2$  ტესტის, ANOVA-სა და რეგრესიული ანალიზის გამოყენებით, ხოლო თვისებრივი მონაცემები თემატური ანალიზით დამუშავდა.

კვლევის შედეგები ადასტურებს ჰიპოთეზას: რეფორმამ SME-ების ფინანსებზე წვდომა კვლევის პერიოდში მნიშვნელოვნად ვერ გააუმჯობესა, თუმცა ხელი შეუწყო აღრიცხვის ჩარჩოს ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაციას. ბანკები SME-ების საჯარო ანგარიშგებას საკრედიტო ანალიზში იშვიათად იყენებენ, რადგან ანგარიშგება არ არის დროული და აუდიტირებული; საქართველომ განახორციელა ბუღალტრული ჩარჩოს

ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაცია, ხოლო პროგრესი მდგრადი ანგარიშგების დანერგვასთან დაკავშირებით ევროკავშირის შემდგომ გადაწყვეტილებებზე და მოკიდებული.

შემუშავებულია შემდეგი რეკომენდაციები: ანგარიშგების დროულობისა და ხარისხის კონტროლის გაუმჯობესება; SME-ებში ფინანსური ანალიზის კულტურის წახალისება და ანგარიშგების პროცესების ციფრული ტრანსფორმაცია; SME-ებისთვის აუდიტის ხელმისაწვდომობის გაზრდა; ბანკებსა და რეგულატორებს შორის მონაცემთა გაცვლის გაღრმავება. ამ ნაბიჯების განხორციელება შეამცირებს ინფორმაციულ ასიმეტრიას და ეტაპობრივად გააუმჯობესებს საკრედიტო ხელმისაწვდომობას.

კვლევის მნიშვნელობა სცდება ადგილობრივ კონტექსტს და მნიშვნელოვანია გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების დაინტერესებული მხარეებისთვის. პოლიტიკის გამტარებლებისთვის - რეფორმის ეფექტიანობის შეფასება და პრიორიტეტების განსაზღვრა; ბანკებისთვის - საჯარო ინფორმაციის გამოყენების სტანდარტიზაცია; SME-ებისთვის - ანგარიშგების ხარისხის ამაღლება; აკადემიური წრეებისთვის - ემპირიული მიგნებების გაღრმავება.

## სარჩევი

მიმოხილვა.....	2
შესავალი .....	8
კვლევის იდეა და აქტუალობა.....	8
მიზანი, ჰიპოთეზა და ამოცანები.....	16
კვლევის მეთოდოლოგია .....	18
კვლევის დიზაინი .....	18
მონაცემთა წყაროები და ტრიანგულაცია .....	20
მონაცემთა შეგროვება, დამუშავება და ტექნოლოგიური გარემო.....	24
კვლევის შინაარსი და შეზღუდვები.....	26
ნაშრომის სტრუქტურა .....	28
I თავი. საქართველოს ბუღალტრული სტანდარტები და მცირე და საშუალო საწარმოების გამოწვევები .....	30
1.1 IFRS-ის გლობალური გავრცელება .....	30
1.2 მცირე და საშუალო ბიზნესის ანგარიშგების გამოწვევები და IFRS-ის გავრცელების შედეგები .....	32
II თავი. საქართველოს აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის ევოლუცია.....	42
2.1 საქართველოს აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის იურიდიული და ინსტიტუციური ნაწილი.....	42
2.2 საქართველოს აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის მოთხოვნები კომპანიების კატეგორიების მიხედვით .....	48
2.3 საქართველოს აღრიცხვისა და აუდიტის სფეროს შეფასება რეფორმის საწყის ეტაპზე - მსოფლიო ორგანიზაციებისა და მკვლევარების პერსპექტივები .....	49
2.3.1 რეფორმამდელი მდგომარეობა .....	49
2.3.2 საქართველოს აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის პირველადი შეფასებები .....	51
III თავი. საქართველოს აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის საწყისი ფაზა - კერძო სექტორის მზაობა და პირველი შედეგები .....	53
3.1 მცირე და საშუალო ბიზნესის აღქმები და რეფორმისთვის მზაობა - ბიზნესის გამოკითხვა.....	53
3.2 მცირე და საშუალო ბიზნესის რეფორმისთვის მზაობის ანალიზი - ექსპერტების შეფასება.....	58
3.3 საჯარო ანგარიშგების სტატისტიკა და რეფორმის აღსრულების ტენდენციები .....	59
3.4 ბიზნესის დამოკიდებულებების შემოწმება საჯარო ანგარიშგების სტატისტიკასთან შედარების გზით .....	62
IV თავი. საქართველოს აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის შედეგები 2018-2024 წლებში ...	64
4.1 ფინანსური ანგარიშგების ხარისხი და არსებული გამოწვევები .....	69
4.2 დაფინანსებაზე წვდომა და არსებული გამოწვევები.....	80
4.3 დამატებითი ინდიკატორები: SME-ების დამოკიდებულებები რეფორმის მიმართ.....	90

4.4 SME-ების აღქმებისა და დამოკიდებულებების ცვლილება 2019 წლიდან 2025 წლამდე .....	101
4.4.1 ანგარიშგების ხარისხთან დაკავშირებული დამოკიდებულებების შედარება....	105
4.4.2 დაფინანსებაზე წვდომასთან დაკავშირებული დამოკიდებულებების შედარება .....	106
4.5 გასაჯაროებული ფინანსური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და გამოყენება ფინანსური ინსტიტუტების მიერ.....	109
4.6 SME-ების ფინანსური წიგნიერება და მისი გავლენა ანგარიშგების ხარისხსა და ფინანსურ ხელმისაწვდომობაზე .....	112
4.7 საქართველოს ბუღალტრული სტანდარტების ჰარმონიზაცია ევროკავშირის ჩარჩოსთან.....	115
4.7.1 მდგრადობის ანგარიშგების პერსპექტივა და SME-ების როლი .....	118
4.8 2018-2024 წლებში რეფორმის განხორციელებისას გამოვლენილი ტენდენციების ექსპერტული შეფასება .....	121
V თავი. საქართველოს აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის შეფასების პროცესში გამოვლენილი შესაძლებლობები, გამოწვევები და სამომავლო პერსპექტივები .....	125
5.1 ემპირიული შედეგების სინთეზი.....	125
5.2 თეორიული ჩარჩოსა და კვლევითი ჰიპოთეზების შემოწმება .....	127
დასკვნები და რეკომენდაციები.....	130
დანართები.....	134
გამოყენებული ლიტერატურა .....	150

ნაშრომში მოყვანილი ცხრილების, დიაგრამებისა და ილუსტრაციების ჩამონათვალი ცხრილები	
ცხრილი N 1. კვლევის დიზაინი და ანალიტიკური ჩარჩო.....	25
ცხრილი N 2. IFRS-ის გავრცელების არეალი რეგიონების მიხედვით.....	30
ცხრილი N 3. ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (IFRS FOR SMES) გავრცელების მასშტაბი.....	31
ცხრილი N 4. იურიდიული პირების კატეგორიები და შესაბამისი მოთხოვნები.....	48
ცხრილი N 5. ექსპერტებთან ინტერვიუების შინაარსობრივი მატრიცა.....	58
ცხრილი N 6. გამჟღავნების/წარდგენის სტატისტიკა ფირმების კატეგორიების მიხედვით.....	60
ცხრილი N 7. კვლევითი ამოცანების შესრულების რუკა .....	65
ცხრილი N 8. ჯვარედინი ცხრილი: საწარმოს კატეგორია / ანგარიშგების ხარისხი.....	71
ცხრილი N 9. ჯვარედინი ცხრილი: საქმიანობის სექტორი / ანგარიშგების ხარისხი.....	72
ცხრილი N 10. ჯვარედინი ცხრილი: საწარმოს მდებარეობა / ანგარიშგების ხარისხი.....	73
ცხრილი N 11. ANOVA: საწარმოს კატეგორია / ანგარიშგების ხარისხი.....	74
ცხრილი N 12. ANOVA: საქმიანობის სექტორი / ანგარიშგების ხარისხის ცვლილება.....	75
ცხრილი N 13. რეგრესიული ანალიზი: ანგარიშგების ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორები .....	76
ცხრილი N 14. ჯვარედინი ცხრილი: საწარმოს კატეგორია / იყენებს გასაჯაროებულ ანგარიშგებას .....	77
ცხრილი N 15. რეგრესიული ანალიზი: გასაჯაროებული ინფორმაციის გამოყენება / კომპანიის კატეგორია.....	79
ცხრილი N 16. ჯვარედინი ცხრილი: საწარმოს კატეგორია / დაფინანსებაზე წვდომა.....	82
ცხრილი N 17. ჯვარედინი ცხრილი: საწარმოს კატეგორია / დაფინანსებაზე წვდომის სიმარტივე.....	83
ცხრილი N 18. ჯვარედინი ცხრილი: საწარმოს მდებარეობა / დაფინანსებაზე წვდომა .....	84
ცხრილი N 19. ჯვარედინი ცხრილი: საქმიანობის სექტორი / დაფინანსებაზე წვდომა.....	85
ცხრილი N 20. ANOVA: საწარმოს კატეგორია / ფინანსებზე წვდომის სიმარტივე .....	86
ცხრილი N 21. ANOVA: საქმიანობის სექტორი / ფინანსებზე წვდომის სიმარტივე .....	86
ცხრილი N 22. რეგრესიის შედეგების შეჯამება — კომპანიის კატეგორია და დამოკიდებული ცვლადები.....	87
ცხრილი N 23. რეგრესიული ანალიზი: ფინანსებზე წვდომის სიმარტივე.....	88
ცხრილი N 24. ჯვარედინი ცხრილი: საწარმოს კატეგორია / დაფინანსების ფასი.....	89
ცხრილი N 25. ჯვარედინი ცხრილი: საქმიანობის სექტორი / დაფინანსების ფასი.....	90
ცხრილი N 26. ჯვარედინი ცხრილი: საწარმოს კატეგორია / გამოწვევები.....	93
ცხრილი N 27. ANOVA: საწარმოს კატეგორია / გამოწვევები.....	95
ცხრილი N 28. ANOVA: საქმიანობის სექტორი / გამოწვევები.....	95
ცხრილი N 29. რეგრესიული ანალიზი: საწარმოს კატეგორია / ცვლილებები ბუღალტერიაში .....	97

ცხრილი N 30. რეგრესიული ანალიზი: საწარმოს კატეგორია / გამოწვევები რეფორმასთან მიმართებით.....	97
ცხრილი N 31. ჯვარედინი ცხრილი: საწარმოს კატეგორია / რეფორმის დადებითი გავლენა.	97
ცხრილი N 32. ჯვარედინი ცხრილი: საქმიანობის სექტორი / რეფორმის დადებითი გავლენა	99
ცხრილი N 33. საბანკო სექტორთან ინტერვიუში გამოვლენილი ძირითადი საკითხები.....	109
ცხრილი N 34. ევროკავშირისა და საქართველოს ბულალტრული სტანდარტების მოთხოვნები .....	115
ცხრილი N 35. ევროკავშირისა და საქართველოს ზომითი ბარიერები.....	116
ცხრილი N 36. ESG ანგარიშგების მოთხოვნები ევროკავშირში. თავდაპირველი გეგმა და OMNIBUS რეფორმის შემდგომი ცვლილებები.....	118
<b>დიაგრამები</b>	
დიაგრამა N 1. რესპონდენტების პროფესიული პროფილი .....	55
დიაგრამა N 2. მონაწილე კომპანიების პროფილი.....	56
დიაგრამა N 3. რეფორმის მიმართ არსებული მოლოდინები და დამოკიდებულებები .....	57
დიაგრამა N 4. SARAS-ის გამოკითხვა (2018) და ავტორის გამოკითხვა (2019).....	57
დიაგრამა N 5. რესპონდენტების პროფილი.....	67
დიაგრამა N 6. საწარმოთა პროფილი.....	69
დიაგრამა N 7. ანგარიშგების ხარისხი და ბიზნესის მიერ მისი გამოყენება.....	70
დიაგრამა N 8. საწარმოს კატეგორია/ანგარიშგების ცვლილება.....	71
დიაგრამა N 9. საწარმოს კატეგორია / იყენებს გასაჯაროებულ ანგარიშგებას.....	78
დიაგრამა N 10. რეფორმის შესახებ არსებული ინფორმირებულობა, გამოწვევები და შესაძლებლობები .....	81
დიაგრამა N 11. საწარმოს კატეგორია / დაფინანსებაზე წვდომა.....	82
დიაგრამა N 12. საწარმოს კატეგორია / დაფინანსებაზე წვდომის სიმარტივე.....	83
დიაგრამა N 13. საწარმოს კატეგორია / დაფინანსების ფასი.....	89
დიაგრამა N 14. რეფორმის მიმართ არსებული დამოკიდებულებები და პრაქტიკა.....	92
დიაგრამა N 15. საწარმოს კატეგორია / გამოწვევები რეფორმასთან მიმართებაში.....	94
დიაგრამა N 16. საწარმოს კატეგორია / რეფორმის დადებითი გავლენა.....	98
დიაგრამა N 17. პროფესიული პროფილი 2019 და 2025 წლების კვლევებში.....	102
დიაგრამა N 18. 2019-2025 წლების შედარება: რეფორმის გაგება და რეფორმაში მონაწილეობა .....	103
დიაგრამა N 19. 2019 და 2025 წლების კვლევების შედარება რეფორმის შედეგიანობის შესახებ .....	105
დიაგრამა N 20. 2019-2025 კვლევების შედარება: ბულალტრული სტანდარტების კომპეტენციებიდან ანგარიშგების ხარისხამდე.....	106
<b>ილუსტრაციები</b>	
ილუსტრაცია N 1. კონცეპტუალური ჩარჩო - კვლევის დიზაინი.....	19
ილუსტრაცია N 2. კონცეპტუალური ჩარჩო - შედეგების სინთეზი .....	65

## შესავალი

### კვლევის იდეა და აქტუალობა

ფინანსური გამჭვირვალობა თანამედროვე ეკონომიკის საყრდენი მექანიზმია, რადგან ის განსაზღვრავს ინვესტიციების მოზიდვას, საკრედიტო ბაზრების ეფექტიანობას და ეკონომიკურ სტაბილურობას.

ფინანსური ანგარიშგების ხარისხი ნებისმიერი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია მისი დადებითი კორელაციიდან გამომდინარე საინვესტიციო ეფექტურობასთან, რადგან დაინტერესებულ მხარეებს ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებაში ეხმარება. (Biddle & Hilary / ბიდლი და ჰილარი, 2006). მეორე მხრივ, უხარისხო ფინანსურ ინფორმაციაზე დაყრდნობა არა მხოლოდ ამახინჯებს გადაწყვეტილების მიმღებთა შეხედულებას, არამედ ზრდის სისტემურ რისკებს და აფერხებს ეკონომიკურ ზრდას.

როგორც მკვლევარები Jensen & Meckling / ჯენსენი და მეკლინგი (2019) და Leuz, Nanda & Wysocki / ლიოზი, ნანდა და ვისოკი, (2003) აღნიშნავენ, ინფორმაციული ასიმეტრია პრინციპალსა და აგენტს შორის ფინანსური რესურსების არაეფექტიან გადანაწილებას უწყობს ხელს. ამ კვლევაში ინფორმაციული ასიმეტრია განიხილება სამი ურთიერთდაკავშირებული კომპონენტის ჭრილში: პირველი - ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ანუ მონაცემთა ფიზიკური წვდომა დაინტერესებული მხარეებისთვის; მეორე — ინფორმაციის სიზუსტე, ანუ რამდენად შეესაბამება გამოქვეყნებული მონაცემები საწარმოს რეალურ ფინანსურ მდგომარეობას; მესამე - ინფორმაციის სანდოობა, ანუ რამდენად არის ეს მონაცემები დამოუკიდებელი მხარის - აუდიტორის - მიერ გადამოწმებული. ეს სამკომპონენტო ანგარიშები პრინციპულია საქართველოს კონტექსტში, სადაც რეფორმამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა (reportal.ge), თუმცა უტყუარობისა და სანდოობის პრობლემა, განსაკუთრებით მცირე კატეგორიებში, კვლავ გადაუჭრელი რჩება.

ეს თეორიული მიდგომები ხაზს უსვამენ გამჭვირვალობის კრიტიკულ როლს ფინანსებზე წვდომაში, რაც ამ კვლევის კონცეპტუალურ ჩარჩოს განსაზღვრავს.

აღსანიშნავია, რომ სანდო ფინანსურ ინფორმაციას მომეტებული მნიშვნელობა გააჩნია ნაკლებადგანვითარებული ქვეყნებისთვის, სადაც ეფექტური ინვესტიციები ეკონომიკის ზრდის (პოტენციურად) ძირითად საშუალებას წარმოადგენს (Pirveli / პირველი, 2014).

ამ კონტექსტში საქართველოსთვის ფინანსური გამჭვირვალობისა და ანგარიშგების ხარისხის გაუმჯობესება არა მხოლოდ ტექნიკური მოთხოვნა, არამედ სტრატეგიული პრიორიტეტია ევროკავშირთან ინტეგრაციისა და კონკურენტუნარიანობის ზრდის გზაზე.

ფინანსური გამჭვირვალობის, საკრედიტო ბაზრების გაძლიერებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნით, ბოლო ათწლეულების განმავლობაში მრავალმა ქვეყანამ განახორციელა ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმები. ეს რეფორმები არა მხოლოდ ტექნიკური ცვლილებებია, არამედ ინსტიტუციური და სტრატეგიული ნაბიჯებია, რომლებიც მიზნად ისახავს ნდობის ზრდას და ფინანსური რესურსების უკეთეს განაწილებას.

აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმა გულისხმობს მთავრობების, მარეგულირებელი ორგანოების და საერთაშორისო ორგანიზაციების მიზანმიმართულ ძალისხმევას ფინანსური ინფორმაციის გამჭვირვალობის, სანდოობისა და შედარებითობის გასაძლიერებლად. ის ქმნის საფუძველს კორპორატიული მმართველობის გაუმჯობესებისთვის, რაც კრიტიკულია SME-ების საკრედიტო შესაძლებლობების ზრდისთვის.

ნასრალა და ხური / Nasrallah & Khoury (2021) აღნიშნავენ, რომ ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის პოლიტიკა ხელს უწყობს მმართველობისა და მართვის პრაქტიკის გაძლიერებას SME-ებში, რაც გავლენას ახდენს მათ ქცევაზე ფინანსების მოძიებისას.

ეს მტკიცებულებები ხაზს უსვამს აღრიცხვის რეფორმების მნიშვნელობას არა მხოლოდ ანგარიშგების ხარისხის, არამედ ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

სტანდარტებთან და აუდიტის მოთხოვნებთან შესაბამისობა SME-ებს ეხმარება ჩამოაყალიბონ ძლიერი შიდა კონტროლის მექანიზმები, გააუმჯობესონ ფინანსური მართვის პრაქტიკა და აჩვენონ კარგი კორპორატიული მმართველობა. გაძლიერებული მმართველობისა და მენეჯმენტის პრაქტიკა დადებითად აისახება SME-ების უნარზე მოიზიდონ ფინანსები, რადგან ნასრალა და ხურის მიხედვით არსებობს დადებითი კორელაცია კორპორატიულ მმართველობასა და ფინანსურ შედეგებს შორის. მსგავსი მიდგომა ვრცელდება საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებშიც. გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD, 2017) მიხედვით, ხარისხიანი ფინანსური ანგარიშგება ზრდის SME-ების შესაძლებლობას მოიზიდონ ფინანსური რესურსები. ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის პოლიტიკა ამცირებს ინფორმაციულ

რისკებს და აძლიერებს კრედიტორებისა და ინვესტორების ნდობას, რაც ზრდის დაფინანსების მოპოვების ალბათობას. რისკის გაუმჯობესებული შეფასება ხელს უწყობს საინვესტიციო რესურსების ოპტიმალურ განაწილებას. კონფერენციის ანგარიში ასევე აღნიშნავს, რომ კაპიტალის ბაზრები ეფექტურად იმუშავებენ მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს სანდო მექანიზმები, რომლებიც ამცირებენ ინფორმაციული ასიმეტრიის პრობლემებს კორპორაციულ ინსაიდერებსა და კაპიტალის მიმწოდებლებს შორის.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად საერთაშორისო გამოცდილებისა, საქართველოში ჯერ კიდევ შეზღუდულია კვლევები, რომლებიც შეაფასებენ აღრიცხვის რეფორმის გავლენას SME-ების ფინანსებზე ხელმისაწვდომობაზე.

გამომდინარე გლობალური თანხმობიდან, რომ აღრიცხვის რეფორმები აძლიერებს გამჭვირვალობას, საბოლოოდ კი ხელს უწყობს ფინანსებზე წვდომასა და ეკონომიკის განვითარებას, ამ რეფორმებს ბევრი საერთაშორისო მხარდამჭერი ჰყავს. ხოლო მათი განხორციელება ხშირად საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებითა და მხარდაჭერით ხდება. მაგალითად, მსოფლიო ბანკი ახორციელებს სხვადასხვა პროგრამას ამ მიმართულებით. ერთ-ერთი პირველი იყო აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში აუდიტისა და ანგარიშგების გაძლიერება (STAREP). STAREP პროგრამამ 2013-2022 წლებში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, კორპორატიული ანგარიშგების გამჭვირვალობისა და ინსტიტუციური ჩარჩოს გაძლიერებაში. პროგრამამ ხელი შეუწყო საერთაშორისო სტანდარტების (IFRS, ISA, IESBA) დანერგვას, აუდიტის ზედამხედველობის სისტემების შექმნას და პროფესიული განათლების გაუმჯობესებას (World Bank / მსოფლიო ბანკი, n.d.). STAREP-ის დასრულების შემდეგ მსოფლიო ბანკი აგრძელებს მხარდაჭერას მეორე თაობის რეფორმებისთვის, რომლებიც მიზნად ისახავს ფინანსური ჩართულობის ზრდას, ანგარიშგების ხარისხის გაუმჯობესებას და კორპორატიული მმართველობის გაძლიერებას. მაგალითად პროექტმა FIA (Financial Infrastructure Advisory Program / ფინანსური ინფრასტრუქტურის საკონსულტაციო პროგრამა, 2019-2023) ხელი შეუწყო ფინანსური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაციას (World Bank / მსოფლიო ბანკი, 2023).

ამ პროცესების ისტორიული განვითარება ხაზს უსვამს ჰარმონიზაციის გლობალურ მნიშვნელობას და საქართველოს რეფორმის შეფასების აქტუალობას საერთაშორისო კონტექსტში.

ქვეყნების მცდელობა აღრიცხვის ხარისხის გაუმჯობესებაში ცალკეული არ ყოფილა და მრავალი წელია გლობალური ხასიათი შეიძინა. აღრიცხვის ჰარმონიზაციის პროცესი გახდა საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი, რადგან ის უზრუნველყოფს ანგარიშგების შედარებითობას და ინვესტორების ნდობას.

დაიწყო აღრიცხვის ჰარმონიზაციის პროცესი, რაც ბუღალტრული სტანდარტების დაახლოებას ისახავდა მიზნად.

ამ პროცესის არსი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანიები, რომლებიც წარმოადგენენ სანდო და შესადარის ანგარიშგებებს, იღებენ კონკურენტულ უპირატესობას საერთაშორისო ვაჭრობასა და კაპიტალის მოზიდვაში.

თუმცა ეს პროცესი როგორ მიმდინარეობს ჯერ კიდევ კვლევის საგანია, რადგან როგორც მსოფლიო ბანკის ანგარიშშია აღნიშნული, „რეფორმებს, რომლებიც მიმართულია ფინანსური ანგარიშგების ხარისხის ამაღლებაზე, შესაძლოა გარკვეული დრო დასჭირდეს ეფექტის მისაღწევად“ (World Bank / მსოფლიო ბანკი, 2017).

ეს ხაზს უსვამს კვლევის აქტუალობას: რეფორმების შედეგიანობა არ არის მყისიერი და მისი შეფასება საჭიროებს ემპირიულ მტკიცებულებებს.

ბუღალტრული აღრიცხვის პრაქტიკის ჰარმონიზაცია გულისხმობს ბუღალტრული აღრიცხვის ეროვნული სტანდარტების შესაბამისობას საერთაშორისოდ აღიარებულ ჩარჩოებთან, როგორცაა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS).

ლიტერატურა მიუთითებს ჰარმონიზაციის ორ მხარეს: სარგებელი (შედარებითობა, გამჭვირვალობა, ინვესტიციების ხელშეწყობა) და გამოწვევები (ადაპტაცია, პროფესიული უნარები, კულტურული ფაქტორები).

კვლევები ხაზს უსვამენ, რომ ჰარმონიზაციის სარგებელი მოიცავს გაუმჯობესებულ შედარებითობას, გამჭვირვალობას და ტრანსსასაზღვრო ინვესტიციების ხელშეწყობას (Ball / ბოლი, 2015), ხოლო გამოწვევები დაკავშირებულია ახალი მოთხოვნების შესრულებასთან, პროფესიული უნარების გაძლიერებასთან და კულტურული განსხვავებების დაძლევისასთან (Choi, Frost, & Meek / ჩოი, ფროსტი და მიკი, 2017).

გარდა ამისა, რეფორმები ხშირად ნაკარნახევია საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის სურვილით, ვიდრე ადგილობრივი სისტემის ნაკლოვანებების აღმოფხვრის საჭიროებით (SIGMA, 2018).

მიუხედავად გამჭვირვალობის მნიშვნელობისა, მცირე და საშუალო საწარმოები განვითარებად ქვეყნებში ხშირად აწყდებიან სირთულეებს ანგარიშგების სტანდარტების შესრულების პროცესში. კვლევები მიუთითებს ისეთ პრობლემებზე, როგორცაა ბუღალტრული ცოდნის ნაკლებობა, რესურსების შეზღუდულობა, არასაკმარისი რეგულაციური ჩარჩოები და კულტურული ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს გამჟღავნების სურვილზე (Abdullahi & Mansor / აბდულაჰი და მანსორი, 2015; Mwangi /მვანგი, 2018). მაგალითად, საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების დანერგვა SME-ებისთვის ხშირად რთული და ძვირადღირებულია, რაც იწვევს არასრული ან არაზუსტი ანგარიშგების მომზადებას მათი მხრიდან (Sian & Roberts / სიანი და რობერტსი, 2010). სუსტი აღსრულების მექანიზმები და შესაბამისობისთვის სტიმულების ნაკლებობა კიდევ უფრო ამძიმებს ამ პრობლემებს (Hussain & Gunasekaran / ჰუსეინი და გუნასეკარანი, 2012). გარდა ამისა, კონფიდენციალურობის დარღვევა ზოგჯერ აიძულებს SME-ებს შეზღუდონ ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნება, რადგან ისინი შიშობენ კონკურენტული ზიანის ან საგადასახადო შემოწმების გამო (Gray, Meek, & Roberts / გრეი, მიკი და რობერტსი, 1995). Oliveira, Rodrigues, & Craig / ოლივეირა, როდრიგესი და კრეიგი, (2011)-ის სისტემატური მიმოხილვა ხაზს უსვამს, რომ განვითარებად ეკონომიკებში SME-ების ფინანსური ანგარიშგების გაუმჯობესება მოითხოვს მათზე მორგებულ მხარდაჭერას, მათ შორის გამარტივებული სტანდარტების დანერგვას, შესაძლებლობებისა და ინსტიტუციური მხარდაჭერის გაძლიერებას.

ამ გლობალური პროცესის ფარგლებში ევროკავშირმა შეიმუშავა რეგულაციები და დირექტივები SME-ებისთვისაც, რაც ხაზს უსვამს ჰარმონიზაციის სტრატეგიულ მნიშვნელობას. ევროკავშირმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მის წევრ ქვეყნებს შორის ბუღალტრული აღრიცხვის პრაქტიკის ჰარმონიზაციის ხელშეწყობაში.

საქართველომ ევროკავშირში გაერთიანებისკენ სწრაფვის გზაზე ასევე დაიწყო ანგარიშგების სტანდარტების ჰარმონიზაციის პროცესი. ევროკავშირთან გაფორმებულ ასოცირების ხელშეკრულებაში ეს საკითხი ერთ-ერთ საჭიროებად იყო გათვალისწინებული ( Association Agreement / ასოცირების შეთანხმება, 2014). შესაბამისად, ქვეყანამ 2016 წელს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონი დაამტკიცა. ამ

კანონის საფუძველზე დაიწყო ყოვლისმომცველი რეფორმა, რომლის მიზანია, ფინანსური გამჭვირვალობის გაუმჯობესება, რეგულირების გაძლიერება და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა (საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ, 2016). რეფორმის ფარგლებში, 2018 წლიდან, კომპანიებისთვის სავალდებულო გახდა ფინანსური ანგარიშგებების საჯარო პლატფორმაზე (<https://reportal.ge/>) განთავსება. ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა, როდესაც საქართველოში არსებული პრაქტიკულად ყველა ბიზნესი საკუთარ ანგარიშებს ასაჯაროებს და ინფორმაცია ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. ასეთი ფინანსური გამჭვირვალობა, თეორიულად, უნდა დაეხმაროს ინვესტორებს საკრედიტო გადაწყვეტილებების უფრო ინფორმირებულად მიღებაში, თუმცა პრაქტიკაში მისი გავლენა SME-ების დაფინანსებაზე ჯერ კიდევ დაუდგენელია. საქართველოში კაპიტალის ბაზარი ნაკლებად არის განვითარებული და მცირე ბიზნესის დაფინანსების ძირითად წყაროს ადგილობრივი კომერციული ბანკები წარმოადგენენ. ამ ფონზე, კვლევის კრიტიკული კითხვა არის: რამდენად იყენებენ ბანკები საჯარო ანგარიშგებას SME-ების საკრედიტო შეფასებისას და აქვს თუ არა ამას გავლენა ფინანსებზე წვდომაზე?

რეფორმის პერიოდში საკანონმდებლო და მარეგულირებელ ჩარჩოებში, რომლებიც აწესრიგებს აუდიტისა და ბუღალტრული აღრიცხვის პრაქტიკას საქართველოში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა.

ეს ცვლილებები არა მხოლოდ ტექნიკური რეგულაციებია, არამედ ინსტიტუციური გარდაქმნები, რომლებიც მიზნად ისახავს გამჭვირვალობის ზრდას.

საინტერესოა, ამ მნიშვნელოვანი რეფორმის გავლენის შეფასება, განსაკუთრებით SME-ების ფინანსებზე წვდომისა და ბუღალტრული პრაქტიკის ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაციის კუთხით.

*რეფორმის ისტორიული განვითარება:* 2014 წლის ივნისში ევროკავშირმა და საქართველომ ხელი მოაწერეს ასოცირების შესახებ შეთანხმებას. შეთანხმება ძალაში შევიდა 2016 წლის 1 ივლისს. შეთანხმება ითვალისწინებდა კანონმდებლობის ჰარმონიზაციას და სტანდარტების თანხვედრას, რაც გახდა რეფორმის სტრატეგიული საფუძველი.

2016 წელს მიღებული კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საფუძველად დაედო რეფორმას, რომელიც მოიცავს საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას და ანგარიშგების საჯაროობას.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებით შეიქმნა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური (SARAS). სააგენტო, მსოფლიო ბანკის ფინანსური ანგარიშგების რეფორმის ცენტრის (Center for Financial Reporting Reform - CFRR) მხარდაჭერით, უზრუნველყოფს საქართველოში ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შესრულების მონიტორინგს.

კანონის თანახმად 2018 წლის 1 ოქტომბრიდან მსხვილ კომპანიებს (I-II კატეგორია) დაეკისრათ აუდიტირებული ანგარიშგებების წარდგენის ვალდებულება, ხოლო SME-ებს (III-IV კატეგორია) - 2019 წლის 1 ოქტომბრიდან. ეს ნიშნავს, რომ 2019 წლიდან დღემდე კომპანიებმა მინიმუმ ხუთჯერ წარადგინეს ანგარიშგება საჯარო პორტალზე, რაც ქმნის უნიკალურ პრაქტიკას.

კვლევის კრიტიკული კითხვაა: როგორ აისახა ეს პრაქტიკა SME-ების ანგარიშგების ხარისხზე, გამოყენებაზე და ფინანსებზე წვდომაზე? ამავე დროს, თავად ბუღალტრული ჩარჩოს ჰარმონიზაციის პროგრესის შეფასება აუცილებელია, რადგან ის განსაზღვრავს საქართველოს კონკურენტუნარიანობას ევროკავშირის ეკონომიკურ სივრცეში.

მიუხედავად იმისა რომ აღნიშნული რეფორმა ბიზნესების ყველა კატეგორიას შეეხო, ამ კვლევაში აქცენტი კეთდება მცირე და საშუალო ბიზნესზე. მცირე და საშუალო ბიზნესები (SME-ები) ეკონომიკური განვითარების ძირითად მამოძრავებელ ძალად ითვლება, რადგან ისინი ქმნიან ინოვაციურ ტექნოლოგიებსა და სამუშაო ადგილებს და უზრუნველყოფენ კონკურენციის ზრდას, რაც გლობალური ეკონომიკის მდგრადობას უწყობს ხელს (OECD / ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, n.d.). SME-ები საქართველოშიც ეკონომიკის ხერხემალს წარმოადგენენ, რომლებიც ქვეყანაში რეგისტრირებული ბიზნესის 96%-ზე მეტს შეადგენენ (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2025). ეს სტატისტიკა ხაზს უსვამს SME-ების სტრატეგიულ როლს და ამ კვლევის აქტუალობას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო კონტექსტში.

განვითარებად ქვეყნებში, SME-ების დაფინანსების ხელმისაწვდომობის გამოწვევები ხშირად განპირობებულია ფინანსური ანგარიშგების სუსტი პრაქტიკით, არასაკმარისად განვითარებული კაპიტალის ბაზრებით და ინფორმაციული ასიმეტრიით მეწარმეებსა და კრედიტორებს შორის (Nanyondo et al. / ნანიონდო და სხვანი, 2014; Beck / ბეკი, 2007). საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემები ნათლად ასახავს SME-ების დაფინანსების

ხელმისაწვდომობის პრობლემის გლობალურ მასშტაბს. MSME-ების ფინანსური დეფიციტი დაახლოებით \$5.7 ტრილიონს შეადგენს (IFC, 2025), რაც პრობლემის მასშტაბს ცხადყოფს.

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესების ფინანსებზე წვდომა ასევე გამოწვევად რჩება. მსოფლიო ბანკის შეფასებით, საქართველოში SME-ების ოფიციალური ფინანსური გარღვევა (finance gap) დაახლოებით 84.6%-ს შეადგენდა 2021 წელს (მსოფლიო ბანკი, 2021). ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანგარიშის მიხედვით, ბოლო წლებში მკაცრმა მონეტარულმა პოლიტიკამ და ინფლაციის ზრდამ SME-ების დაკრედიტების პირობები მნიშვნელოვნად გაამკაცრა. (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, 2024). ეს ტენდენცია კიდევ უფრო ზრდის მხარდაჭერის საჭიროებას. შესაბამისად, მაგალითად EBRD-ის სტრატეგია მიზნად ისახავს საქართველოში ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის გაძლიერებას და SME-ების კონკურენტუნარიანობის ზრდას (EBRD / ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, 2022).

ამრიგად, SME-ების სტრატეგიული მნიშვნელობა და მათი არსებული გამოწვევები ქმნის აუცილებლობას, რომ კვლევამ შეაფასოს რეფორმის გავლენა SME-ების ანგარიშგების ხარისხზე და გამჭვირვალობის ზრდის გზით ფინანსებზე წვდომაზე. კვლევა პასუხობს მთავარ კითხვას: რამდენად აისახა ფინანსური ანგარიშგების სავალდებულო გასაჯაროება SME-ების საკრედიტო წვდომაზე საქართველოში?

კვლევის მეორე აქცენტი უკავშირდება ქვეყნის ბუღალტრული ანგარიშგების ჩარჩოს ჰარმონიზაციას ევროსტანდარტებთან. ეს საკითხი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ტექნიკური შესაბამისობისთვის, არამედ ქვეყნის ეკონომიკური ინტეგრაციისთვის.

მსოფლიოში ბუღალტრული სტანდარტების ჰარმონიზაციის მოკლე ისტორია შემდეგია: დღესდღეობით მსოფლიოს 140-ზე მეტი იურისდიქციის საწარმოს მოეთხოვება ან ნებადართული აქვს საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებით (IFRS) იხელმძღვანელოს (IFRS, 2025). ამ პროცესს სათავე ჩაეყარა 1973 წელს საერთაშორისო ანგარიშგების სტანდარტების კომიტეტის (IASB) დაარსებით, რომელიც 2001 წელს გარდაიქმნა საერთაშორისო ანგარიშგების სტანდარტების საბჭოდ (IASB), რითაც გაძლიერდა საერთაშორისო შეთანხმება ერთიანი აღრიცხვის სტანდარტების მნიშვნელობაზე.

არსებული საერთაშორისო და ადგილობრივი ლიტერატურა, რომელმაც აღრიცხვის ჰარმონიზაციის საკითხი შეისწავლა, ძირითადად კონცენტრირებულია ფინანსური გამჭვირვალობის ზოგად გაუმჯობესებაზე, რეფორმების აღსრულების გამოწვევებზე და

ნაკლებად იკვლევს, როგორ აისახება აღნიშნული რეფორმები SME-ების ფინანსებზე წვდომაზე ბანკებზე დამოკიდებულ ეკონომიკაში. ამ მიმართულებით საქართველოში ემპირიული კვლევები პრაქტიკულად არ არსებობს. ამიტომ, აღნიშნული კვლევა პირველი მცდელობაა, რომ პასუხი გასცეს მნიშვნელოვან კვლევით კითხვას: რამდენად აისახა ფინანსური ანგარიშგების გასაჯაროების სავალდებულო პრაქტიკა მცირე და საშუალო საწარმოების საკრედიტო წვდომაზე საქართველოში, და რა პროგრესი შეინიშნება ბუღალტრული სტანდარტების ევროკავშირის ჩარჩოსთან ჰარმონიზაციის პროცესში?

ეს კვლევა მნიშვნელოვან თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას ატარებს. მისი შედეგები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ აკადემიური წრეებისთვის, არამედ პოლიტიკის შემქმნელებისთვის და მარეგულირებელი ორგანოებისთვის. კვლევის მიგნებები გაამდიდრებს არსებულ ლიტერატურას აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის გავლენის შესახებ, საქართველოს კონკრეტული შემთხვევის საფუძველზე დამატებითი ინფორმაციის მიწოდებით.

ასევე აღსანიშნავია, რომ შედეგები მნიშვნელოვანია როგორც ადგილობრივ დონეზე, ასევე იმ გარდამავალი და განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებისთვის, სადაც კაპიტალის ბაზრები სუსტადაა განვითარებული და ბანკებზე დამოკიდებული სისტემაა დამკვიდრებული.

მიზანი, ჰიპოთეზა და ამოცანები

ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე ირკვევა, რომ ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმებთან დაკავშირებული პოლიტიკა დადებითად მოქმედებს მცირე და საშუალო ბიზნესის ქცევაზე; რომ ანგარიშგების სტანდარტიზაცია ხშირად ასოცირდება საკრედიტო ხელმისაწვდომობის ზრდასთან.

ფინანსური ანგარიშგების სტანდარტიზებული პრაქტიკის დაცვით, სანდოობისა და კრედიტუნარიანობის გაზრდით, რისკის შეფასების შესაძლებლობების გაზრდით, SME-ები უკეთესად უნდა იყვნენ პოზიციონირებულნი, რათა უზრუნველყონ დაფინანსების მოძიება და უკეთეს პირობებსა და ფინანსურ პროდუქტებზე წვდომა. ეს მექანიზმი შესამოწმებელია ბანკებზე დამოკიდებულ ეკონომიკაში, როგორცაა საქართველო.

მიუხედავად საქართველოს აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის მასშტაბურობისა, არ არსებობს საკმარისი ემპირიული კვლევები, რომლებიც შეაფასებენ მის გავლენას SME-ების

ფინანსებზე ხელმისაწვდომობაზე. ეს დანაკლისი კიდევ უფრო აძლიერებს ამ კვლევის მნიშვნელობას.

ამ კონტექსტში, კვლევის მიზანია საქართველოს აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის შედეგიანობის შეფასება 2018-2024 წლებში ორი მიმართულებით: 1. SME-ების ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ცვლილებები; 2. რეფორმის როლი აღრიცხვის სტანდარტების ევროკავშირის ჩარჩოსთან ჰარმონიზაციის პროცესში. აღნიშნული მიზანი ხაზს უსვამს რეფორმის როგორც პრაქტიკულ, ისე პოლიტიკურ მნიშვნელობას.

*კვლევითი კითხვები:*

1. როგორ შეიცვალა SME-ების ფინანსური ანგარიშგების ხარისხი ბიზნესის აღქმით და რა გამოწვევები რჩება?
2. როგორ განვითარდა SME-ების ფინანსებზე ხელმისაწვდომობა და რა ბარიერები რჩება?
3. როგორ შეიცვალა SME-ების ფინანსურ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ფინანსური ინსტიტუტების აღქმით?
4. რა პროგრესია მიღწეული ბუღალტრული სტანდარტების ევროკავშირის ჩარჩოსთან ჰარმონიზაციის და მდგრადობის ანგარიშგების დანერგვის კუთხით?

*ჰიპოთეზა*

*ჰიპოთეზა მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოში განხორციელებულმა აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმამ 2018-2024 წლებში SME-ების ფინანსებზე ხელმისაწვდომობაზე მნიშვნელოვანი პოზიტიური გავლენა ვერ მოახდინა, თუმცა ხელი შეუწყო აღრიცხვის ჩარჩოს ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაციას.*

*კვლევის ამოცანები:*

1. SME-ების შეფასება ფინანსური ანგარიშგების ხარისხის ცვლილების შესახებ.
2. SME-ების შეფასება ფინანსებზე ხელმისაწვდომობის შესახებ.
3. ფინანსური ინსტიტუტების შეფასება SME-ების ფინანსური ინფორმაციის ხარისხისა და მისი დაკრედიტებაში გამოყენების შესახებ.
4. ოფიციალური ანგარიშგების მიმოხილვა ჰარმონიზაციის პროგრესისა და მდგრადობის სტანდარტების დანერგვის შესახებ.
5. რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მეთოდოლოგია

*კვლევის დიზაინი*

კვლევის ობიექტია საქართველოში 2018-2024 წლებში განხორციელებული აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმა, ხოლო მიზანია მისი გავლენის შეფასება SME-ების ფინანსებზე ხელმისაწვდომობასა და ბუღალტრული ჩარჩოს ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაციაზე.

კვლევა მოიცავს როგორც კაბინეტურ, ასევე საველე ეტაპებს, რათა მოხდეს არსებული მონაცემების ანალიზი და პირველადი ინფორმაციის შეგროვება.

კვლევა ეფუძნება შერეულ მეთოდოლოგიურ მიდგომას და მონოგრაფიულ სტრატეგიას, რაც უზრუნველყოფს რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების ინტეგრაციას ერთიან ანალიტიკურ ჩარჩოში და მათ შესწავლას დროის ჭრილში.

შერეული მიდგომა გულისხმობს ანკეტირებულ გამოკითხვებს SME-ებში და ინტერვიუებს ექსპერტებსა ფინანსური ინსტიტუტების წარმომადგენლებთან. მონაცემების ანალიზი განხორციელდა Python-ის საშუალებით. გამოყენებული იქნა აღწერითი სტატისტიკა,  $\chi^2$  ტესტი, ANOVA, და ხაზოვანი რეგრესია ჰიპოთეზის შესამოწმებლად.

*თეორიული ჩარჩო*

კვლევა ეფუძნება პოზიტივისტურ მიდგომას, რომელიც გულისხმობს არსებული თეორიების ემპირიულ გადამოწმებას მრავალმხრივი მონაცემების სინთეზით საქართველოს კონტექსტში.

არსებული თეორიები განსაზღვრავს ჰიპოთეზის ფორმირებას და ანალიზის ლოგიკას. ნაშრომში გამოყენებულია ორი ძირითადი თეორიული მიდგომა: 1. ინფორმაციული ასიმეტრიისა და სიგნალის გადაცემის თეორიული მიდგომები; 2. ინსტიტუციური და ლეგიტიმურობის თეორიები.


პირველი მიდგომა ხაზს უსვამს, რომ გამჭვირვალე და მაღალი ხარისხის ანგარიშგება ამცირებს კრედიტორებსა და SME-ებს შორის ინფორმაციულ ასიმეტრიას და მოქმედებს როგორც სანდო სიგნალი, რითაც იკლებს კაპიტალის ღირებულება და უმჯობესდება დაფინანსებაზე წვდომა (Myers & Majluf / მაიერსი და მაჯლუფი, 1984; Spence / სპენსი, 1973; Healy & Palepu / ჰილი და პალეპუ, 2001).

მეორე მიდგომა მიუთითებს, რომ ანგარიშგების რეფორმების ეფექტიანობა დამოკიდებულია ინსტიტუციურ საყრდენებსა (წესები, ნორმები, ღირებულებები, რომლებიც

უზრუნველყოფენ სისტემის სტაბილურობას) და აღსრულებაზე; სარგებელი მკაფიოდ გამოვლინდება მხოლოდ მაშინ, როცა სამართლებრივი/ზედამხედველობითი გარემო ქმნის რეალურ სტიმულებს გამჭვირვალობისთვის (Scott / სკოტი, 2014; Suchman / სუჩმანი, 1995; Daske et al. / დასკე და სხვანი, 2008; Armstrong et al. / არმსტრონგი და სხვანი, 2010).

ეს თეორიული ჩარჩო ქმნის საფუძველს ჰიპოთეზის ემპირიული გადამოწმებისთვის და განსაზღვრავს მონაცემთა ანალიზის ლოგიკას. კვლევითი ლოგიკა ფორმულირებულია შემდეგნაირად: რეფორმა → ანგარიშგების ხარისხის გაუმჯობესება → ასიმეტრიის შემცირება → ნდობის ზრდა → ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესება. ტრაექტორიაზე გავლენას ახდენს ინსტიტუციური გარემო და აღსრულების ხარისხი (Leuz & Wysocki / ლოიზი და ვისოკი, 2016).

ქვემოთ წარმოდგენილია კონცეპტუალური ჩარჩო, რაც ჰიპოთეზის ანალიზის ლოგიკას წარმოადგენს. (იხ. ილუსტრაცია 1).



ილუსტრაცია N 1. კონცეპტუალური ჩარჩო - კვლევის დიზაინი  
წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

### ცვლადების სტრუქტურა

#### 1. დამოუკიდებელი ცვლადები:

რეფორმის აღქმა და ცოდნის დონე  
შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან  
ანგარიშგების პროცესების ფორმალიზაციის დონე

#### 2. დამოკიდებული ცვლადები:

SME-ების ფინანსებზე წვდომის აღქმული სიმარტივე/ბარიერები  
კრედიტის მიღების პირობები  
ალტერნატიული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენება

3. მედიატორები:

ანგარიშგების ხარისხი

ანგარიშგების შიდა გამოყენება და ფინანსური მენეჯმენტის

პრაქტიკები

პროფესიული კაპიტალი (ბუღალტრული და აუდიტორული რესურსები)

4. მოდერატორები:

ფირმის კატეგორია (I-IV)

ზომა, სექტორი, რეგიონი

ბანკების საკრედიტო პოლიტიკა

მაკროეკონომიკური ფონი და აღსრულების ხარისხი

ამ ჩარჩოდან გამომდინარეობს ჰიპოთეზის ანალიზის ლოგიკა:

მოკლევადიან პერიოდში (2018-2024) რეფორმის პოზიტიური გავლენა SME-ების ფინანსებზე წვდომაზე არ დასტურდება, რადგან საჯარო ანგარიშგების ხარისხი ჯერ ვერ ცვლის ბანკების საკრედიტო შეფასების ტრადიციულ პროცესს. საბანკო კრედიტზე მაღალი დამოკიდებულება და კაპიტალის ბაზრების შეზღუდული აქტივობა კი ქვეყანაში შენარჩუნებულია.

*მონაცემთა წყაროები და ტრიანგულაცია*

კვლევა აერთიანებს პირველად და მეორად წყაროებს.

*პირველადი მონაცემები:*

პირველადი მონაცემების შეგროვება მოიცავს ორ ეტაპს: საბაზისო კვლევა (2019, n=74) და განმეორებითი კვლევა (2025, n=311), რაც უზრუნველყოფს დროში ცვლილებების ანალიზს.

2019 წლის საბაზისო კვლევა განხორციელდა ონლაინ გამოკითხვის გზით (Google Forms) ქართულ ენაზე. კითხვარი მოიცავდა ბუღალტრული სტანდარტების ცოდნას, კომპანიის სტრუქტურას, აღრიცხვის/აუდიტის მომსახურების გამოყენებას და რეფორმის მოსალოდნელი გავლენის აღქმას. გამოკითხვის პერიოდი: აპრილი-ივნისი 2019.

რესპონდენტების პროფილი: კერძო სექტორის წარმომადგენლები, განსაკუთრებული აქცენტი ბუღალტრულ და საფინანსო პოზიციებზე მომუშავე პირებზე კითხვარის გავრცელების არხების მიზანმიმართული შერჩევის გზით. კვლევის თემა: ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის რეფორმის გავლენა საქართველოს კერძო სექტორზე (იხ. დანართი 1).

განმეორებითი კვლევა ასევე განხორციელდა ონლაინ გამოკითხვის გზით (Google Forms), რათა შეგროვებულიყო მონაცემები რეფორმის გავლენის შესახებ. კითხვარი მოიცავდა ბუღალტრულ ცვლილებებს, რეფორმასთან დაკავშირებულ გამოწვევებს, ანგარიშგების ხარისხის ცვლილებას, გარე დაფინანსების პრაქტიკისა და ფასის ცვლილებას, რეფორმის დადებითი გავლენის აღქმას, რეფორმის მიზნების შესრულების აღქმას. გამოკითხვის პერიოდი: იანვარი - აპრილი 2025. რესპონდენტების პროფილი: კერძო სექტორის წარმომადგენლები. კვლევის თემა: ბიზნესის გამოცდილების შეფასება: აღრიცხვის რეფორმის გავლენა დაფინანსების ხელმისაწვდომობაზე. (იხ. დანართი 2).

ინტერვიუები ჩატარდა სამ ეტაპად: ექსპერტები, ბანკები, აკადემიური სექტორი. ინტერვიუები განხორციელდა ნახევრად-სტრუქტურირებული გზამკვლევების გამოყენებით.

პირველი ექსპერტული ინტერვიუ (2019 წელი): სამი ექსპერტი: 1. პროფესიული ბუღალტრული გაერთიანების წევრი 2. აკადემიის წარმომადგენელი 2. პრაქტიკოსი ბუღალტერი. კვლევის თემა: ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის რეფორმის გავლენა საქართველოს კერძო სექტორზე (იხ. დანართი 3).

მეორე ექსპერტული ინტერვიუ (2025 წელი): აკადემიური მკვლევარი. კვლევის თემა: ბუღალტრული რეფორმის შეფასება: მისი გავლენა მცირე და საშუალო ბიზნესის (SME) ფინანსებზე ხელმისაწვდომობაზე, მდგრადობის ანგარიშგების განვითარებასა და ევროსტანდარტებთან ჰარმონიზაციის გზაზე (იხ. დანართი 4).

ბანკების წარმომადგენლების ინტერვიუები (2024 წელი): სამი კომერციული ბანკის წარმომადგენლები, სულ ოთხი პირი (სამი ინტერვიუ, მათ შორის ერთი ინტერვიუ ერთობლივად 2 პირთან): 1. SME-ების საკრედიტო ანალიზის დეპარტამენტის უფროსი; 2. მიკრო და მცირე ბიზნესის კომერციული მართვის გუნდის ლიდერი; 3. SME საბანკო მომსახურების გუნდის ლიდერი; 4. ფინანსური ანალიზის დეპარტამენტის ხელმძღვანელი; რესპონდენტები წარმოადგენდნენ მაღალი და საშუალო მენეჯმენტის დონეს და მონაწილეობდნენ SME დაკრედიტების პროცესში. კვლევის თემა: ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის გავლენა SME-ების ფინანსებზე ხელმისაწვდომობაზე. (იხ. დანართი 5). აღსანიშნავია, რომ შერჩეული სამი ბანკი ინტერვიუების ჩატარების მომენტისათვის, ჯამურად, საქართველოს საკრედიტო ბაზრის 78%-ზე მეტ წილს ფლობს, რაც უზრუნველყოფს მიღებული შედეგების განზოგადების შესაძლებლობას მთელი SME სასესხო პორტფელის კონტექსტში. (სებ, 2024).

*მეორადი მონაცემები:*

მეორადი მონაცემები მოიცავს SARAS-ის ანგარიშებს, აკადემიურ ლიტერატურასა და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებს.

*ნიმუშის შერჩევა:*

2019 წლის კერძო სექტორის საბაზისო კვლევა: გამოყენებულია მიზნობრივი შერჩევა კერძო სექტორში დასაქმებული და კომპანიებში ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე პასუხისმგებლობის მქონე პირების ჩასართავად. კითხვარი გავრცელდა პროფესიულ ქსელებსა და ბუღალტერთა ასოციაციებში სოციალური მედიისა და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. დისტრიბუციის არხები ღია იყო, რის გამოც გავრცელების მასშტაბი უცნობია და გამოხმაურების კოეფიციენტი ვერ დაითვლება. მიღებული პასუხების რაოდენობაა 74. ნიმუშის რეგიონული განაწილება შეესაბამება ბიზნესების რეალურ კონცენტრაციას (თბილისი 77%). კომპანიის კატეგორიების მიხედვით IV კატეგორია იყო 41%, I-II კატეგორიები 22%, III კატეგორია 24%. გამოკითხვაში გაზრდილი იყო იმ კატეგორიების წილი, რომლებიც ნაკლებად არიან წარმოდგენილი საქართველოს რეალურ მთლიან ბიზნეს სექტორში. შედარებით დაბალ წარმომადგენლობას განიცდიდა IV კატეგორია მის რეალურ მასშტაბთან შედარებით (IV >90% ქვეყანაში). თუმცა ამ პერიოდისათვის ანგარიშგებისთვის მზადება აქტიურად მხოლოდ მსხვილ ფირმებს ჰქონდათ დაწყებული და მათი აზრი და მაღალი ჩართულობა კვლევაში მეტ ინფორმაციას იძლევა, ვიდრე მეოთხე კატეგორიების კომპანიებისა, რომელთაც ანგარიშგების ვადა 2021 წლამდე არ უწევდათ. შესაბამისად ნიმუშის წარმომადგენლობითობა საკმარისად გამოსადეგია პირველადი დასკვნებისთვის.

2025 წლების კერძო სექტორის განმეორებითი ფართომასშტაბიანი კვლევა: გამოყენებულია შემთხვევითი შერჩევა. გამოკითხვამ შეაგროვა 311 პასუხი. შერჩევა განხორციელდა თვითშერჩევის პრინციპით ღია გავრცელების გზით. თვითშერჩევის მიკერძოება მინიმუმებულია სამი გარემოებით: პირველი - გავრცელება მოხდა მრავალ დამოუკიდებელ არხზე; მეორე - ნიმუში მრავალფეროვანია სექტორის, ზომისა და გეოგრაფიის მიხედვით; მესამე - კითხვარი მოიცავდა საკონტროლო კითხვას: „საწარმო ასაჯაროებს თუ არა ინფორმაციას [portal.ge](http://portal.ge)-ს საშუალებით აუდიტისა და აღრიცხვის რეფორმის მოთხოვნების შესაბამისად. ვინც უპასუხებდა „არა“ იმ რესპონდენტებს ანგარიშგების ხარისხის შეფასების კითხვები აღარ დაესმებოდათ. ეს უზრუნველყოფს, რომ ხარისხის შეფასება მომდინარეობს მხოლოდ ანგარიშგების პრაქტიკის მქონე

რესპონდენტებისგან - და არა ვარაუდებზე დაყრდნობით. გარდა ამისა, ნაშრომში გამოყენებულია ტრიანგულაცია - მიგნებები სინთეზურად ყალიბდება გამოკითხვის, ინტერვიუებისა და მეორადი მონაცემების საფუძველზე, რაც ამცირებს ნებისმიერი ერთი წყაროს სისუსტის გავლენას. ნიმუშის დეტალური დემოგრაფიულ-სტრუქტურული აღწერა წარმოდგენილია გამოკითხვის შედეგების განხილვის თავში (იხ. მე-4 თავი).

ექსპერტებისა და ბანკების წარმომადგენლების შერჩევა: ინტერვიუები განხორციელდა მიზნობრივი შერჩევით (აღიარებული გამოცდილება/ფუნქციური როლი): პროფესიული ორგანიზაციები, აკადემიური სექტორი, აუდიტორები/ტრენერები; ბანკებში - საკრედიტო, რისკისა და ბიზნეს-კლიენტების მართვის მიმართულებების წარმომადგენლები. ასეთი შერჩევა უზრუნველყოფდა პერსპექტივების გაერთიანებას როგორც კერძო სექტორის, ისე საფინანსო სექტორისა და აკადემიური სფეროდან.

*ინსტრუმენტები და საიმედოობა:*

რაოდენობრივი კვლევის კითხვარები მოიცავდა როგორც კატეგორიულ კითხვებს, ასევე ლიკერტის სკალაზე დაფუძნებულ შეფასებებს, რაც უზრუნველყოფს დამოკიდებულებების ზუსტ გაზომვას. კითხვარის პუნქტები შემუშავდა IFRS-ის გავლენისა და SME-ების ფინანსებზე წვდომის შესახებ არსებული აკადემიური ლიტერატურის საფუძველზე.

გამოკითხვების ორივე ეტაპზე, საიმედოობისთვის, გამოყენებული იყო იდენტური ან მიზეზ-შედეგობრივი კითხვები, რაც შესაძლებელს ხდის ტენდენციების შედარებას დროში. ასეთ კითხვებს შორისაა შემდეგი: 1. რეფორმის ცოდნა და გაცნობიერება: სტანდარტები, წესები, პროცედურები და რეფორმასთან დაკავშირებული გამოწვევები; 2. თეორიული ცოდნა და მისი რეფორმის პერიოდში გამოყენება: ბუღალტრული სტანდარტების ცოდნა და ანგარიშგების ხარისხის უზრუნველყოფა; 3. რეფორმის მიმართ არსებული დამოკიდებულება: რეფორმის სასარგებლო ასპექტების აღქმა 2019 და 2025 წლებში.

2019 და 2025 კითხვარებს შორის განსხვავებული სახის და შინაარსის კითხვებიც არსებობდა, რაც იმ საკითხების გაზომვას ემსახურება, რაც 2019 წელს რელევანტური არ იყო. შესაბამისად, ამ ნაწილის შედარება არ მომხდარა და დამოუკიდებლად გაანალიზდა. მოხდა მხოლოდ იმ მაჩვენებლების შედარება, რაც სანდო შედეგს მოიტანდა.

ტრიანგულაცია განხორციელდა რაოდენობრივი გამოკითხვების, ექსპერტული ინტერვიუების და SARAS-ის მონაცემების შეჯერებით, რაც ზრდის დასკვნების სანდოობას.

*მონაცემთა შეგროვება, დამუშავება და ტექნოლოგიური გარემო*

*მონაცემთა შეგროვება:*

მონაცემთა შეგროვება განხორციელდა შემდეგ პერიოდებში:

- I. 2019: აპრილი-ივნისი, კერძო სექტორის საბაზისო კვლევა - ონლაინ გამოკითხვა (Google Forms-ის საშუალებით);
- II. 2025: იანვარი-აპრილი, კერძო სექტორის განმეორებითი კვლევა - ონლაინ გამოკითხვა (Google Forms-ის საშუალებით).

ინტერვიუები ჩატარდა სამ ეტაპად:

- I. 2019: ექსპერტული ინტერვიუები;
- II. 2024: ინტერვიუები ბანკებთან;
- III. 2025: განახლებული ექსპერტული ხედვა.

ინტერვიუები განხორციელდა ნახევრად-სტრუქტურირებული გზამკვლევების გამოყენებით, ხოლო მონაცემები დაფიქსირდა მკვლევარის მიერ შესრულებული ტექსტური ჩანაწერებით.

*დამუშავება და ტექნოლოგიური გარემო*

მონაცემთა გასუფთავება და კოდირება განხორციელდა სტანდარტული პროცედურების შესაბამისად, მათ შორის მონაცემების ვალიდაცია, დუბლიკატების ამოღება, დაკარგული მნიშვნელობების მართვა და კატეგორიული ცვლადების ერთგვაროვანი კოდირება. ანალიზი განხორციელდა Python/Google Colab გარემოში. შემუშავდა Python-ის კოდი, რომელიც უზრუნველყოფდა გამჭვირვალობას და მონაცემთა დამუშავების გამეორებას. აღნიშნულ სამუშაო გარემოში შექმნილი შედეგები მოიცავდა:

Python-ის კოდის მეშვეობით გენერირებულ ცხრილებს ექსელში (სიხშირეები, ჯვარედინი ცხრილები, ANOVA/რეგრესია),

Python-ის კოდის მეშვეობით გენერირებულ დიაგრამებს ექსელში.

*ანალიტიკური მიდგომა:*

გამოყენებულია შერეული ანალიტიკური მიდგომა, რომელიც აერთიანებს აღწერით და დასკვნით სტატისტიკას, ასევე ტრიანგულაციას რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემებს შორის.

დასკვნითი ანალიზი მოიცავს ჰიპოთეზის შემოწმებას და შედეგების ინტერპრეტაციას კონტექსტუალური ფაქტორების გათვალისწინებით.

მონაცემთა ანალიზის მეთოდები მოიცავდა:

1. აღწერითი სტატისტიკა (საშუალო, მედიანა, სტანდარტული გადახრა, სიხშირეები და პროცენტული განაწილებები)
2. ასოციაციის ტესტები ( $\chi^2$  ტესტი და Cramér's V)
3. საშუალო მნიშვნელობების შედარება (ANOVA, Kruskal-Wallis ტესტები და  $\eta^2$  ეფექტის ზომა)
4. ერთფაქტორიანი წრფივი რეგრესია - გაშვებულ იქნა 18 ცალკეული OLS მოდელი: 6 ლიკერტის შკალაზე გაზომილი ცვლადი  $\times$  3 კატეგორიული მაპროგნოზირებელი ფაქტორისთვის (კომპანიის კატეგორია, კომპანიის სექტორი, რესპონდენტის პოზიცია). ცალკეული მოდელები შეირჩა მულტიკოლინეარობის თავიდან ასაცილებლად. ნარჩენების განაწილება შემოწმდა გრაფიკულად. შედეგების სიმტკიცე დადასტურდა Kruskal-Wallis-ის არაპარამეტრული ტესტით, რომელიც ნორმალური განაწილების ვარაუდის გარეშე მუშაობს. შედეგები წარმოდგენილია კოეფიციენტებით, p-მნიშვნელობებითა და 95%-იანი ნდობის ინტერვალებით. შემოწმების მიზნით ასევე გაშვებულ იქნა მულტივარიანტული მოდელი ოთხივე პრედიქტორის ერთდროულად ჩართვით -  $R^2$  მხოლოდ 2-4%-ით გაიზარდა, ხოლო კომპანიის კატეგორია კომბინირებულ მოდელშიც სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დარჩა, სექტორი და პოზიცია კი - არამნიშვნელოვანი.
5. ტრიანგულაცია (რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების შეჯერება)
6. თვისებრივი ანალიზი (თემატური ანალიზი ინტერვიუებისთვის; ისტორიული მიმოხილვა და კრიტიკული ანალიზი მეორადი წყაროებისთვის)

კვლევის დიზაინი და ანალიტიკური ჩარჩო წარმოდგეილია ცხრილში N 1.

ცხრილი N 1. კვლევის დიზაინი და ანალიტიკური ჩარჩო

კომპონენტი	დეტალები
კვლევის წლები	2019: საბაზისო გამოკითხვა და ექსპერტული ინტერვიუები 2024-2025: განმეორებითი გამოკითხვა და ინტერვიუები (ბანკები, ექსპერტული)
რესპონდენტთა პროფილი	ფუნქციები: ბუღალტერია, ფინანსები, ადმინისტრირება, მარკეტინგი; მრავალრეგიონული წარმომადგენლობა
მონაცემების ტიპები	რაოდენობრივი: კატეგორიული (სქესი, სექტორი, მდებარეობა); ლიკერტის სკალა: (რეფორმის გავლენა, ანგარიშგების ხარისხი, სესხზე წვდომა) თვისებრივი: ექსპერტული და ბანკებთან ინტერვიუები

გამოთვლითი გარემო	Python (Google Colab), Excel
ანალიტიკური მეთოდები	საშუალო, მედიანა, სტანდარტული გადახრა, სიხშირეები, პროცენტული განაწილებები); $\chi^2$ ტესტი და Cramér's V; ANOVA, Kruskal-Wallis, $\eta^2$ ეფექტის ზომა; მრავალფაქტორიანი წრფივი რეგრესია (კოეფიციენტები, p-მნიშვნელობები, ნდობის ინტერვალები) თვისებრივი: თემატური ანალიზი ინტერვიუებისთვის; ისტორიული მიმოხილვა და კრიტიკული ანალიზი მეორადი წყაროებისთვის
ინტეგრაცია და სინთეზი	ტრიანგულაცია (რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების შეჯერება); გრძელვადიანი შედარება (2019 - 2024-2025); მიგნებები: აღწერითი, დასკვნითი, პროგნოზული
შედეგები	Excel ცხრილები; დიაგრამები

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

*ეთიკური სტანდარტები:*

კვლევა განხორციელდა ეთიკური პრინციპების დაცვით; რესპონდენტების კონფიდენციალურობა და მონაცემთა უსაფრთხოება უზრუნველყოფილი იყო ყველა ეტაპზე.

*კვლევის შინაარსი და შეზღუდვები*

ნაშრომი სწავლობს 2018-2024 წლებში საქართველოში განხორციელებული რეფორმის გავლენას SME-ების ფინანსებზე წვდომაზე და ანგარიშგების ჰარმონიზაციაზე. კვლევა ეფუძნება კომპანიებისა და ფინანსური ინსტიტუტების აღქმებისა და გამოცდილების ანალიზს, რაც უზრუნველყოფს რეფორმის ეფექტიანობის შეფასებას პრაქტიკული პერსპექტივიდან. ამასთან, შეფასებულია ანგარიშგების ხარისხისა და გამჭვირვალობის როლი კრედიტის ხელმისაწვდომობასა და ალტერნატიული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებაში. გაანალიზებულია საკანონმდებლო და მარეგულირებელი ცვლილებების გავლენა ანგარიშგების პრაქტიკაზე, ასევე ჰარმონიზაციის პროგრესი ევროკავშირის მოთხოვნებთან.

ეს მიდგომა უზრუნველყოფს რეფორმის შედეგიანობის მრავალგანზომილებიან შეფასებას, რადგან ფინანსებზე წვდომა დამოკიდებულია არა მხოლოდ რეფორმაზე, არამედ ინსტიტუციურ გარემოზე და მონაწილეთა პრაქტიკაზე. შესაბამისად, დასკვნების სანდოობისთვის აუცილებელია დამატებითი ფაქტორების განხილვა. ამიტომ დასკვნების ინტერპრეტაციისას გათვალისწინებულია კონტექსტუალური ფაქტორები.

კვლევა მოიცავს 2018-2024 პერიოდს, რის გამოც ვერ ასახავს რეფორმის გრძელვადიან შედეგებს, რომლებიც შესაძლოა გამოვლინდეს მომდევნო წლებში.

SME-ების ფინანსებზე წვდომისა და ანგარიშგების პრაქტიკის შესახებ მონაცემების სიზუსტე და სრულყოფილება შესაძლოა ზღუდავდეს ანალიზის სიღრმეს. მეორად წყაროებზე (SARAS-ის მონაცემები) დაყრდნობამ შეიძლება წარმოშვას შერჩევითობის რისკი.

კვლევებისა და ინტერვიუების მონაცემები ასახავს სუბიექტურ ხედვებს. წარმომადგენლობის გაზრდის მიზნით გამოყენებული მრავალარხიანი გავრცელების მიუხედავად, სუბიექტური ხედვები ზრდის მიკერძოების რისკს. კონკრეტულად, სამი ტიპის მიკერძოებაა საყურადღებო: პირველი - თვითშეფასების სუბიექტურობა, რადგან რესპონდენტები საკუთარი კომპანიის ანგარიშგების ხარისხსა და ფინანსებზე წვდომას პირადი აღქმის საფუძველზე აფასებდნენ; მეორე - ონლაინ პლატფორმებით გამოწვეული შერჩევის გადახრა, რადგან ციფრულ გარემოში უფრო აქტიური კომპანიები შესაძლოა გადაჭარბებულად იყვნენ წარმოდგენილნი; მესამე - გეოგრაფიული კონცენტრაცია: 2025 წლის კვლევის ნიმუშის 61% თბილისიდანაა, მაშინ როდესაც ქვეყნის მასშტაბით აქტიური საწარმოების 45.4%-ია თბილისში რეგისტრირებული (საქსტატი, 2026). თუმცა, ვინაიდან კვლევა აჩვენებს, რომ მდებარეობა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის ძირითადი ცვლადების ასახვად (ანგარიშგების ხარისხის ცვლილება, დაფინანსებაზე წვდომის სიმართლე, გასაჯაროებული ინფორმაციის გამოყენება - ANOVA:  $p=0.058$ ,  $p=0.918$ ,  $p=0.799$ ; Kruskal-Wallis ადასტურებს სამივეს, ხოლო  $\eta^2 \leq 0.056$ ), შესაბამისად, თბილისის გადაჭარბებული წარმომადგენლობა არ ახდენს გავლენას კვლევის ძირითად დასკვნებზე.

სტატისტიკური ანალიზის კუთხით, OLS რეგრესია გამოყენებულ იქნა სტანდარტული პარამეტრებით. ლიკერტის ცვლადების ნორმალური განაწილება არ დასტურდება, თუმცა ეს შეზღუდვა მინიმუმზეა Kruskal-Wallis-ის არაპარამეტრული ტესტით, რომელმაც OLS მიგნებები დაადასტურა.

მაკროეკონომიკური პირობები, პოლიტიკური სტაბილურობა და გლობალური ტენდენციები მნიშვნელოვანი მოდერატორებია, რომელთა გავლენის იზოლირება რთულია მოცემული კვლევის ფარგლებში.

მიუხედავად აღნიშნული შეზღუდვებისა, შერეული მეთოდოლოგია და ტრიანგულაცია ზრდის დასკვნების სანდოობას და ინტერპრეტაციის სიღრმეს. მეთოდოლოგიური ჩარჩო, რომელიც ეფუძნება თეორიულ პლურალიზმს, შერეულ დიზაინს და მრავალწყაროიან მონაცემთა ინტეგრაციას, უზრუნველყოფს კვლევის ღირებულებას

როგორც აკადემიური, ისე პრაქტიკული პოლიტიკისთვის და ქმნის საფუძველს სისტემური გაუმჯობესებისკენ მიმართული რეკომენდაციების შემუშავებისთვის.

### *ნაშრომის სტრუქტურა*

ნაშრომი შედგება ხუთი თავისგან და უზრუნველყოფს საქართველოში აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის გავლენის სრულყოფილ ანალიზს SME-ების ფინანსებზე ხელმისაწვდომობასა და ევროკავშირთან ჰარმონიზაციაზე. ნაშრომის სტრუქტურა პირდაპირ უკავშირდება კვლევის ამოცანებისა და ჰიპოთეზების გადამოწმებას.

ქვემოთ წარმოდგენილია თითოეული თავის მოკლე აღწერა.

შესავალი.

შესავალი მოიცავს კვლევის იდეას, მის აქტუალობასა და მნიშვნელობას. განისაზღვრება კვლევის მიზანი, კვლევითი კითხვები და ჰიპოთეზა, რომლებიც განსაზღვრავს ნაშრომის ანალიტიკურ ჩარჩოს. ასევე წარმოდგენილია კვლევის მეთოდოლოგიის დეტალური განხილვა: დიზაინი, მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის მიდგომები, ეთიკური ასპექტები და კვლევის შეზღუდვები. თავში მოცემულია თეორიული საფუძველი, რომელიც განსაზღვრავს კვლევის ლოგიკას. ამ ნაწილში ასევე მოცემულია ნაშრომის სტრუქტურის მიმოხილვა.

თავი 1: საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტები და SME-ების გამოწვევები  
პირველი თავი მიმოიხილავს IFRS-ის გლობალურ გავრცელებასა და მის გავლენას მცირე და საშუალო საწარმოების ანგარიშგებაზე. განიხილება ჰარმონიზაციის პროცესის არსი, გამოწვევები და შესაძლებლობები, რაც ქმნის საფუძველს საქართველოს აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის ანალიზისთვის.

თავი 2: საქართველოს აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის ევოლუცია  
მეორე თავი აღწერს რეფორმის სამართლებრივ და ინსტიტუციურ ჩარჩოს, კომპანიების კლასიფიკაციასა და ანგარიშგების შესაბამის მოთხოვნებს. განხილულია SARAS-ის როლი, ანგარიშგების ციფრული პლატფორმა და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა რეფორმის განხორციელებაში.

თავი 3: საქართველოს აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის საწყისი ფაზა - კერძო სექტორის მზაობა (2019)

მესამე თავი ეძღვნება 2019 წლის საბაზისო კვლევის შედეგებს. წარმოდგენილია SME-ების მზაობის დონე, პროფესიული კომპეტენციები, რეფორმასთან შესაბამისობის

მოსალოდნელი ხარჯები, რეფორმის მოთხოვნებისა და მოსალოდნელი შედეგების აღქმა, როგორც გამოკითხვის, ისე ექსპერტული ინტერვიუების საფუძველზე.

თავი 4: საქართველოს აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის განხორციელება და მიღწეული პროგრესი (2019-2024)

მეოთხე თავი აერთიანებს 2025 წლების გამოკითხვის შედეგებს, SARAS-ის მონაცემებს და ბანკების პერსპექტივას. ანალიზი აჩვენებს SME-ების პროგრესს, როგორც რეფორმის მოთხოვნების შესრულებაში, ისე ფინანსებზე ხელმისაწვდომობის მიმართულებით. ასევე განიხილავს რეფორმის აღსრულების ტენდენციებს და საქართველოს ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაციის დინამიკას, მათ შორის მდგრადობის ანგარიშგების განვითარებას.

თავი 5: საქართველოს აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის შეფასება: შესაძლებლობები და გამოწვევები

მეხუთე თავი წარმოადგენს ინტეგრირებულ ანალიზს, სადაც ერთიანდება კვლევაში შეგროვებული რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემები. თავი აკავშირებს მიგნებებს თეორიულ ჩარჩოსთან და აფასებს რეფორმის ეფექტიანობას კრიტიკული პერსპექტივიდან.

დასკვნები და რეკომენდაციები

დასკვნების ნაწილში წარმოდგენილია კვლევის ძირითადი მიგნებები, რომლებიც ასახავს რეფორმის მიღწევებსა და შეზღუდვებს, განსაზღვრავს გრძელვადიანი წარმატების ფაქტორებსა და რეკომენდაციებს. დასასრულს წარმოდგენილია სამომავლო კვლევის მიმართულებები.

ნაშრომს თან ახლავს დანართები (კითხვარები, ინტერვიუს გზამკვლევები) და გამოყენებული ლიტერატურა.

ნაშრომის სტრუქტურა უზრუნველყოფს ლოგიკურ თანმიმდევრობას, რაც ხელს უწყობს კვლევის ამოცანების სრულყოფილ შესრულებას.

I თავი. საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტები და მცირე და საშუალო საწარმოების გამოწვევები

1.1 IFRS-ის გლობალური გავრცელება

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების ჰარმონიზაციის პროცესმა მნიშვნელოვანი ტემპი შეიძინა. პროცესის მთავარი მიზანი სხვადასხვა ქვეყანაში აღრიცხვის ერთიანი ჩარჩოს დამკვიდრებაა, რაც ინვესტორებს, კაპიტალის მოძრაობებსა და მარეგულირებელ სტრუქტურებს საშუალებას აძლევს, მიიღონ მეტად სანდო, გამჭვირვალე და შესადარი ინფორმაცია. ამ მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა IFRS-ის ფართო გავრცელება, რომლის დანერგვაც 2001-2002 წლებში დაიწყო და დღეისთვის უკვე 148 იურისდიქციაშია სავალდებულო (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი N 2. IFRS-ის გავრცელების არეალი რეგიონების მიხედვით

	იურისდიქციების რაოდენობა	IFRS მოითხოვება	IFRS გავრცელების %	IFRS დაშვებულია	IFRS არ დანერგილა
ევროპა	44	43	98%	1	0
აფრიკა	40	37	92.5%	2	1
ახლო აღმ.	13	12	92%	1	0
აზია და ოკეანია	35	28	80%	2	5
ამერიკა	37	27	73%	6	3
ჯამი	169	148	87%	12	9

წყარო: (IFRS ფონდი / IFRS Fund, 2025)

გლობალური ტენდენციების პარალელურად, რეგიონულ დონეზეც შეინიშნება ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების დაახლოების მცდელობები. 2005 წლიდან ევროკავშირში მოქმედ ბირჟაზე რეგისტრირებულ კომპანიებს ევალებათ გაერთიანებული (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგება IFRS-ის შესაბამისად მოამზადონ. ცხრილი 1-დან ჩანს, რომ IFRS-ის დანერგვის მაჩვენებელი რეგიონებში საკმაოდ მაღალია, განსაკუთრებით კი ევროპაში, სადაც 44-დან 43 იურისდიქციაშია სავალდებულო.

IFRS-ის გავრცელების პარალელურად, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის შემუშავდა გამარტივებული ვარიანტი: ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (IFRS for SMEs), რომლის დანერგვაც 2009 წელს დაიწყო. მიუხედავად მისი მნიშვნელობისა, 2025 წლისთვის IFRS for SMEs

მხოლოდ 87 იურისდიქციაში გამოიყენება სავალდებულო ან ნებაყოფლობით ფორმატში (51.5%), მაშინ როდესაც სრული IFRS-ის დანერგვის მაჩვენებელი 87%-ს შეადგენს. (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი N 3. ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (IFRS for SMEs) გავრცელების მასშტაბი

	იურისდიქციების რაოდენობა	IFRS for SMEs გავრცელების %
IFRS for SMEs გამოიყენება სავალდებულო ან ნებადართულია	87	51.5%
IFRS for SMEs გამოიყენება განხილვის პროცესშია	11	6.5%
IFRS for SMEs არ გამოიყენება და არც განხილვის პროცესშია	71	42%
ჯამი	169	100%

წყარო: (IFRS ფონდი/IFRS Fund, 2025)

Chingvaro / ჩინგვარო, (2023) თავის კვლევაში „Exploring Regional Variations in the Adoption of IFRS for SMEs: A Structured Review” ანალიზებს ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (IFRS for SMEs) დანერგვის ტენდენციებს 2009-2023 წლებში. ავტორის დასკვნით, 2023 წლისთვის ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (IFRS for SMEs) გავრცელება კვლავ დაბალია და მნიშვნელოვნად ჩამორჩება IFRS-ის დანერგვის მაჩვენებელს, რაც მიუთითებს პროცესის შემაფერხებელ ფაქტორებზე. ჩინგვაროს შეფასებით, დანერგვის მთავარი გამოწვევებია მცირე და საშუალო საწარმოთა ბუღალტრების ტექნიკური უნარების დეფიციტი, ფინანსური ცოდნის ნაკლებობა და სტანდარტის დანერგვის მაღალი ხარჯები. მისი აზრით, ბიზნესები ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (IFRS for SMEs) ნებაყოფლობით ძირითადად მაშინ იღებენ, როდესაც დამოკიდებული არიან გარე დაინტერესებულ მხარეებზე, ჩართულნი არიან საერთაშორისო ვაჭრობაში, ფლობენ გრძელვადიან საქმიან გამოცდილებას ან ექმნებათ მნიშვნელოვანი ოპერაციული და ფინანსური რისკები.

საინტერესოა, რომ ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (IFRS for SMEs) სწრაფად გავრცელდა განვითარებად ქვეყნებში. ამის მიზეზი მკვლევართა ნაწილის აზრით არის ის, რომ IFRS-ის დანერგვა განვითარებად ქვეყნებში კაპიტალის ბაზრების მიმზიდველობას ზრდის (Potharla / პოთარლა, (2025). თუმცა, სტანდარტის ფორმალური დანერგვა მაღალი ხარისხის ანგარიშგებას ავტომატურად არ ნიშნავს და ამ ქვეყნების

ძალისხმევაზეა დამოკიდებული, ბიზნესების გამჭვირვალობა რეალურად გაიზრდება თუ არა.

ყოფილი საბჭოთა ქვეყნების გამოცდილება ერთმანეთისგან განსხვავებულია. ბალტიის ქვეყნებმა IFRS 2005 წელს, ევროკავშირში გაწევრიანებასთან ერთად დანერგეს და დღეის მდგომარეობით ასევე მიღებული აქვთ ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (IFRS for SMEs). მოლდოვამ და სომხეთმა მსოფლიო ბანკის პროგრამების დახმარებით მიაღწიეს გარკვეულ პროგრესს. დღეისათვის სომხეთში IFRS-იცა და ფასს-იც მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (IFRS for SMEs) მიღებული სტანდარტებია. მოლდოვაში ჯერჯერობით მხოლოდ IFRS-ია დანერგილი. თურქეთშიც იგივე მდგომარეობაა. ხოლო რუსეთში IFRS დანერგილია და ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (IFRS for SMEs) განხილვის პროცესშია. აზერბაიჯანში ორივე სტანდარტი მიღებულია. საქართველოში ასევე ორივე სტანდარტია მიღებული. (IFRS Foundation / IFRS ფონდი, 2025).

1.2 მცირე და საშუალო ბიზნესის ანგარიშგების გამოწვევები და IFRS-ის გავრცელების შედეგები

*მსოფლიო ორგანიზაციების ანგარიშები და მონაცემები*

SME-ების სესხების მოცულობის მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით გაანგარიშებული კოეფიციენტის მედიანა განვითარებულ ქვეყნებში არის 13%, ხოლო განვითარებად ქვეყნებში მხოლოდ 3%. (Ardic, Mylenko & Saltane / არდიკი, მილენკო და სალტანე, 2011). ანუ განვითარებად ქვეყნებში ამ მაჩვენებლის ზრდის პოტენციალი არსებობს. ტრანზაქციების ხარჯები და ინფორმაციის ასიმეტრია მსესხებელსა და გამსესხებელს შორის არის მამოძრავებელი ფაქტორები, რაც განვითარებად და გავითარებულ ქვეყნებში SME-ების ფინანსებზე ხელმისაწვდომობის სისუსტეს ხსნის. (Beck / ბეკი, 2007).

ფინანსური ინსტიტუტები, როგორც წესი, აღიქვამენ SME-ებს, როგორც მაღალი რისკის მსესხებლებს, რაც იწვევს ტრადიციული დაფინანსების ვარიანტებზე წვდომის სირთულეს. თუმცა, განვითარებული კაპიტალის ბაზრების პირობებში, SME-ებს აქვთ შესაძლებლობა, გადალახონ ეს გამოწვევები ალტერნატიული დაფინანსების მექანიზმების მეშვეობით, როგორცაა თანადაკრედიტების პლატფორმები, მიწოდების ჯაჭვის დაფინანსება და ქრადფანდინგი. შესაბამისად განვითარებად ქვეყნებში SME-ების დაფინანსებაზე წვდომა მეტად შეზღუდულია.

მსოფლიო ორგანიზაციები და საფინანსო ინსტიტუტები ეკონომიკური განვითარებისა და ზრდისთვის ფინანსური გამჭვირვალობის მნიშვნელობას უსვამენ ხაზს.

მსოფლიო ბანკის ჯგუფის (2013) ანგარიშის მიხედვით, ეფექტური და გამჭვირვალე ფინანსური ანგარიშგება სასიკეთოა ბიზნესისათვის. აღრიცხვისა და აუდიტის პოლიტიკა, რომელიც აძლიერებს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებს, დადებითად აისახება მცირე და საშუალო ბიზნესის კრედიტუნარიანობაზე და ფინანსებზე ხელმისაწვდომობაზე. იგივე ანგარიში ამბობს, რომ ბიზნესებს რომლებსაც აქვთ ეფექტური ფინანსური ანგარიშგების პრაქტიკა, მაგრამ აკლიათ უზრუნველყოფის საშუალება, მეტი შანსი აქვთ მიიღონ საბანკო კრედიტი რადგან ბანკებს ექნებათ საშუალება საკუთარი სასესხო გადაწყვეტილება რაიმეზე დააფუძნონ. ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებთან შესაბამისობის შედეგად მიღებული ზუსტი და სანდო ფინანსური ანგარიშგება საშუალებას აძლევს ფინანსურ ინსტიტუტებს უფრო ეფექტურად შეაფასონ SME-ების ფინანსური სიჯანსაღე, სტაბილურობა და სესხის დაფარვის შესაძლებლობები.

მსოფლიო ბანკის ანგარიშის მიხედვით Doing Business 2020, „გამჭვირვალე და სანდო ფინანსური ანგარიშგება საფუძვლად უდევს ფინანსურ სისტემაში ნდობას, ხელს უწყობს ფინანსებზე წვდომას და ხელს უწყობს ინვესტიციებს“ (World Bank / მსოფლიო ბანკი, 2020).

ზოგადი ეკონომიკური ზრდის კვალდაკვალ, ასევე აღიარებულია ფინანსური გამჭვირვალობის მნიშვნელობა მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კუთხით. მსოფლიო ბანკის თანახმად, ფინანსური გამჭვირვალობა უმნიშვნელოვანესია მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, რათა მათ მიიღონ ფინანსებზე წვდომა და განავითარონ თავიანთი ბიზნესი (World Bank / მსოფლიო ბანკი, 2021).

მცირე ზომა, დაბალი გამჭვირვალობა და არასტაბილური განვითარების ეტაპები SME-ებს დიდ კომპანიებთან შედარებით უფრო მოწყვლადს ხდის საკრედიტო ბაზრებზე. ეს ფაქტორები ხელს უწყობს ინფორმაციული ასიმეტრიის ზრდას, რაც კრედიტორებისთვის რისკს აძლიერებს. SME-ების საკრედიტო ანგარიშები მხოლოდ მაშინ არის ეფექტური, როცა ისინი სრულად ასახავენ კომპანიის საქმიანობის ისტორიას. არსებული მონაცემები მიუთითებს, რომ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ საჭიროა გაუმჯობესება. (World Bank Group / მსოფლიო ბანკის ჯგუფი, 2018).

ამავე შინაარსს აჟღერებს გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) 2013 წლის ანგარიში: ფინანსებზე წვდომა გადამწყვეტი მნიშვნელობის

მატარებელია მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების ზრდისა და მდგრადობისთვის. მიუხედავად ამისა, SME-ები ხშირად აწყდებიან სირთულეებს დაფინანსების მოპოვებისას, რაც განპირობებულია შეზღუდული უზრუნველყოფით, არასაკმარისი საკრედიტო ისტორიით, ინფორმაციული ასიმეტრიით და ტრანზაქციების მაღალი ხარჯებით.

გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის 2013 წლის ანგარიშის მიხედვით, უცხოური დაფინანსების მისაღებად მცირე და საშუალო საწარმოებს (SME) სჭირდებათ შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, რომლებიც განისაზღვრება საერთაშორისო აღრიცხვის სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ. თუმცა, გლობალიზაციის სწრაფი ტემპისა და ფინანსური ბაზრების მზარდი ინტეგრაციის ფონზე, ეს სტანდარტები SME-ებისთვის ხშირად რთული, მოცულობითი და ხარჯიანი ხდება, რაც აფერხებს მათ ეფექტიან დაწერგვას.

გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის 2017 წლის ანგარიშის მიხედვით, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის სასარგებლოა სტანდარტების ნებაყოფლობითი დაკმაყოფილება და მაღალი ხარისხის ანგარიშგების უზრუნველყოფა. თუმცა, ეს პროცესი რესურსების მნიშვნელოვან დანახარჯს მოითხოვს. ანგარიშში ასევე ხაზგასმულია, რომ კონფიდენციალობის საკითხები მნიშვნელოვან როლს თამაშობს აღრიცხვის გასაჯაროების გადაწყვეტილებაში, რადგან გამჭვირვალობასა და კონფიდენციალობას შორის ბალანსის დაცვა დაკავშირებულია არაპირდაპირ ხარჯებთან.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) მონაცემებით, ფინანსური ინფორმაციის ნაკლებობა და დაბალი გამჭვირვალობა წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებას, რის გამოც მცირე და საშუალო საწარმოებს (SME) უჭირთ ფინანსებზე წვდომა. საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია ხაზს უსვამს, რომ მაღალი ხარისხის ფინანსური ანგარიშგება და გამჭვირვალე აღრიცხვის პრაქტიკა აუცილებელია SME-ებისთვის, რათა გააუმჯობესონ ხელმისაწვდომობა ფინანსურ რესურსებზე. ორგანიზაციის მიერ მომზადებულ ანგარიშში „გზამკვლევი კრედიტორებისთვის“ ნათლად აღნიშნულია: „გამჭვირვალე და სანდო ფინანსური ანგარიშგება კრიტიკულად მნიშვნელოვანია კრედიტორებისა და ინვესტორების ნდობის გასამყარებლად“ (IFC / საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, 2010).

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია ასევე აღნიშნავს, რომ ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობის ზრდას დრო სჭირდება, რათა რეალური გავლენა მოახდინოს SME-ების ფინანსებზე წვდომაზე. ორგანიზაციის 2010 წლის ანგარიშში („SME Finance Policy

Guide”) ხაზგასმულია, რომ გამჭვირვალე და სანდო ფინანსური ინფორმაციის წარმოების პრაქტიკის ჩამოყალიბება დროში გაწელილი პროცესია, თუმცა აუცილებელია, რათა კრედიტორებმა შეძლონ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის 2017 წლის მონაცემებით, დეტალური საკრედიტო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა გადამწყვეტია SME-ების დაფინანსების დეფიციტის დაძლევისთვის. ის კომპანიები, რომლებიც იღებენ საერთაშორისო სტანდარტებს, გამოხატავენ ერთგულებას გამჭვირვალობისა და გლობალურ ბიზნეს პრაქტიკასთან შესაბამისობის მიმართ. ეს შესაბამისობა ზრდის მათ შესაძლებლობას, მიიღონ წვდომა საერთაშორისო დაფინანსების წყაროებზე და ჩაერთონ გლობალურ მიწოდების ჯაჭვებში, რაც მათ მიმზიდველობას აძლიერებს საერთაშორისო ინვესტორების თვალში.

მსგავსი პოზიცია აქვს საერთაშორისო სავალუტო ფონდსაც (IMF). 2020 წლის ანგარიშის მიხედვით, საჭიროა დამატებითი კვლევები ფინანსური სტაბილურობისა და ფინანსური ჩართულობის ბალანსის უკეთ გასაანალიზებლად. საერთაშორისო სავალუტო ფონდი ხაზს უსვამს, რომ აუცილებელია მოთხოვნისა და მიწოდების იმ ფაქტორების შესწავლა, რომლებიც განაპირობებენ SME-ების დაბალ ფინანსურ ჩართულობას.

მსოფლიო ორგანიზაციების ანგარიშები ხაზს უსვამს აღრიცხვისა და აუდიტის სტანდარტების ეფექტიანობის გამოწვევებს, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში. ძირითადი პრობლემებია სუსტი მარეგულირებელი ჩარჩოები, არასაკმარისი აღსრულების მექანიზმები და კვალიფიციური პროფესიონალების ნაკლებობა.

მსოფლიო ბანკი (2014) აღნიშნავს, რომ „ბევრ განვითარებად ქვეყანაში ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები ან საერთოდ არ არსებობს, ან არ სრულდება, ხოლო ბუღალტრული ინფორმაცია ხშირად არასანდო და უხარისხოა”.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (2011) ასევე მიუთითებს, რომ „ბევრ ქვეყანაში პროფესიონალი ბუღალტრებისა და აუდიტორების დეფიციტი არსებობს, რაც მნიშვნელოვნად ასუსტებს ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის ხარისხს.”

#### *აკადემიური კვლევები*

გარდა საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებებისა, SME-ების ფინანსებზე წვდომის გამოწვევები აქტიურად განიხილება აკადემიურ კვლევებშიც. არსებული ლიტერატურა სწავლობს მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების სხვადასხვა ფორმებს,

მათ შორის საბანკო სესხებს, სავაჭრო კრედიტებს, ლიზინგსა და ალტერნატიულ დაფინანსების მექანიზმებს.

კვლევები ასევე ფოკუსირებულია ფინანსური ინსტიტუტების როლზე, სამთავრობო პოლიტიკასა და მარეგულირებელ ჩარჩოებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ SME-ების ფინანსებზე წვდომაზე.

აკადემიურ კვლევებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სახელმწიფო ინიციატივებს, როგორცაა საკრედიტო გარანტიის სქემები და ფინანსური წიგნიერების პროგრამები, რომლებიც მიზნად ისახავენ SME-ებისთვის დაფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას.

სხვადასხვა ავტორი სწავლობს ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობასა და ფინანსებზე წვდომას შორის კავშირს. კვლევები აჩვენებს, რომ გამჭვირვალობის ნაკლებობა იწვევს ინფორმაციულ ასიმეტრიას, რაც ზრდის დაკრედიტების რისკს და ზღუდავს SME-ების წვდომას ფინანსურ რესურსებზე (Rahman et al. / რაჰმანი და სხვანი, 2021).

მეტად გამჭვირვალე კომპანიები, როგორც წესი, უკეთეს ფინანსურ წვდომას ახერხებენ და საგადასახადო ორგანოებს უფრო სრულყოფილ ინფორმაციას აწვდიან, თუმცა ეს მათ მეტი გადასახადის გადახდის წინაშეც აყენებს - იმ დაშვებით, რომ გამჭვირვალობის დროს შემოსავლებს ვეღარ დამალავენ. შესაბამისად, გამჭვირვალობის ზრდა ხშირად მოჰყვება ქვეყნებში გადასახადების შემცირების სტრატეგიას - როდესაც კომპანიებს არ აქვთ მოტივაცია დამალონ შემოსავლები და დაბალი გადასახადებით კმაყოფილნი არიან.

გარდა ამისა, კომპანიები მეტ გამჭვირვალობას ირჩევენ იმ ქვეყნებში, სადაც აუდიტის ხარისხია მაღალი, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ნდობას მთელს ფინანსურ სისტემაში (Ellul, Jappelli, Pagano, & Panunzi / ელული, ჯაპელი, პაგანო და პანუნჯი, 2016).

ცალკეული აკადემიური კვლევები აჩვენებს, რომ IFRS-ის დანერგვამ შესაძლოა დადებითი გავლენა მოახდინოს კომპანიების საკრედიტო რეიტინგებზე. მაგალითად, შვედეთის შემთხვევაში აღნიშნულია, რომ მცირე კომპანიებში IFRS-ის დანერგვამ გააუმჯობესა საკრედიტო რეიტინგები და შეამცირა მოზიდული კაპიტალის ფასი. (Hellman et al. / ჰელმანი და სხვანი, 2022).

თუმცა, სხვა ქვეყნებში მსგავსი შედეგები ნაკლებად შეინიშნება, რაც მიუთითებს, რომ საჭიროა დამატებითი კვლევები, რათა უკეთ გაირკვეს IFRS-ის გავლენა SME-ების ფინანსურ წვდომაზე სხვადასხვა ეკონომიკურ და მარეგულირებელ კონტექსტში.

Jorissen et al. / იორისენი და სხვანის 2022 წლის კვლევამ, რომელიც 108 ბანკირის ინტერვიუს ანალიზს ეფუძნება, აჩვენა, რომ ბანკები უფრო მეტად ენდობიან IFRS-ის მიხედვით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებას, ვიდრე ეროვნული სტანდარტების საფუძველზე შედგენილ ინფორმაციას. თუმცა, კვლევაში ხაზგასმულია, რომ ნდობის დონე განსაკუთრებით მაღალია იმ ქვეყნებში, სადაც IFRS-ის გამოყენება სავალდებულოა და არა ნებაყოფლობითი. გადამწყვეტ ფაქტორებად ასევე სახელდება კომპანიის ზომა და აუდიტის არსებობა: მცირე კომპანიების შემთხვევაში, ანგარიშგების მიმართ ნდობა მცირდება, მიუხედავად IFRS-ის გამოყენებისა. იგივე ტენდენცია შეინიშნება არააუდიტირებული ანგარიშგების მიმართ, სტანდარტის გამოყენების მიუხედავად, აუდიტირებული მონაცემები უფრო მაღალი ნდობით სარგებლობს.

უახლესი სისტემური მიმოხილვა (Pirveli & Zimmermann / პირველი და ციმერმანი, 2025) ადასტურებს, რომ IFRS-ის დანერგვას ბაზარზე მართლაც აქვს დადებითი ეფექტი: იზრდება კომპანიების შეფასებისა და პროგნოზირების სიზუსტე, ინვესტიციები და ლიკვიდურობა. თუმცა, კვლევა მიუთითებს, რომ ეს შედეგები უმეტესად არ არის მხოლოდ ანგარიშგების ხარისხისა და შედარებადობის გაუმჯობესების შედეგი. ეფექტები ხშირად განპირობებულია ფართო ინსტიტუციური გარემოთი, მათ შორის, ქვეყნის სამართლებრივი სისტემით, კაპიტალის ბაზრების განვითარებით, მარეგულირებელი ჩარჩოებითა და მაკროეკონომიკური პირობებით.

ცალკეული კვლევები ასევე შეისწავლის კონკრეტულად აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმების გავლენას მცირე და საშუალო საწარმოებზე, განსაკუთრებით ბუღალტრული პრაქტიკის ჰარმონიზაციის კონტექსტში. მათ შეისწავლეს აუდიტის რეფორმების გავლენა განვითარებად ეკონომიკებში და დაადასტურეს, რომ ამ რეფორმებს პოზიტიური ეფექტი აქვს ფინანსური ანგარიშგების სანდოობისა და შედარებადობის გაუმჯობესებაზე (Baimukhamedova et al. / ბაიმუხამედოვა და სხვ., 2021; ჯარა და სხვანი, 2020).

Liusa & Moshirian / ლიუსა და მოშირიანის 2017 წლის კვლევამ აჩვენა, რომ ბუღალტრული აღრიცხვის უფრო ძლიერი სტანდარტები და გაუმჯობესებული ფინანსური ანგარიშგება დადებითად მოქმედებს SME-ების შესაძლებლობაზე, მიიღონ გარე დაფინანსება. (Khelif et al. / ხლიფი და სხვანი, 2019) კვლევაში ხაზგასმულია, რომ იმ ქვეყნებმა, რომლებმაც მიაღწიეს პროგრესს ბუღალტრული სტანდარტების ევროკავშირთან ჰარმონიზაციაში, განიცადეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა. ეს კვლევები აჩვენებს, რომ

მარეგულირებელი ცვლილებები, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა და ფინანსური ანგარიშგების ხარისხის გაუმჯობესება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს SME-ების ფინანსურ წვდომასა და ფინანსურ მაჩვენებლებზე.

სხვა ზოგიერთი კვლევაც მიუთითებს, რომ აუდიტისა და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები შესაძლოა ეფექტური იყოს ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობისთვის, მათ შორის განვითარებადი ქვეყნების პირობებშიც. მაგალითად, (Ahmed et al. / აჰმედი და სხვანი, 2015) აჩვენებენ, რომ IFRS-ის დანერგვამ ბანგლადეშში მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ფინანსური ანგარიშგების ხარისხი.

ანალოგიურად, (Alhajjar & Hanefah / ალჰაჯარი და ჰანეფაჰი, 2019) იუწყებიან, რომ ლიბიის ბანკებში აუდიტის კომიტეტებისა და შიდა აუდიტის დანერგვამ გაზარდა ანგარიშგების გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება.

ამგვარად, აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფინანსური გამჭვირვალობის ამაღლებაში, რაც თავის მხრივ წარმოადგენს მნიშვნელოვან კომპონენტს SME-ების ფინანსებზე წვდომის გასაუმჯობესებლად

აღნიშნულ თემაზე ჩატარებული კვლევების პარალელურად, არსებობს რამდენიმე ნაშრომი, რომელიც კონკრეტული ქვეყნების მაგალითებს სწავლობს.

ბანგლადეშში SME-ების გამოკითხვამ აჩვენა, რომ ის კომპანიები, რომლებიც უკეთესად ერკვევიან ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნებში, უფრო ხშირად იღებენ სესხებს ტრადიციული ფინანსური ინსტიტუტებისგან (Kabir et al. / კაბირი და სხვანი, 2017).

ინდონეზიის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების რეფორმების გავლენის ანალიზმა აჩვენა, რომ იმ კომპანიებმა, რომლებმაც გააუმჯობესეს ანგარიშგების ხარისხი, უფრო მარტივად შეძლეს ბანკებიდან კრედიტის მიღება (Puspitasari & Abdul-Rahman / პუსპიტასარი და აბდულ-რაჰმანი, 2018).

განაში ჩატარებულმა კვლევამ დაადგინა, რომ ფინანსური ანგარიშგების ხარისხის გაუმჯობესება დადებითად აისახა კომპანიების გაყიდვების ზრდაზე, მომგებიანობაზე და აქტივების გაფართოებაზე (Agyemang & Boakye-Yiadom / აგიემანგი და ბოაკიე-იადომი, 2019). ეს მაგალითები ადასტურებს, რომ ფინანსური ანგარიშგების ხარისხი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს SME-ების ფინანსურ წვდომასა და ბიზნესის განვითარებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი კვლევა აჩვენებს დადებით კავშირს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ხარისხსა და SME-ების ფინანსებზე წვდომას შორის

(Gebhardt et al. / გებჰარდტი და სხვანი, 2019), სხვა ნაშრომები ვერ ადასტურებენ მნიშვნელოვან გავლენას (Othman et al. / ოტმანი და სხვანი, 2021).

ამ ფონზე, საჭიროა დამატებითი კვლევები, რათა უკეთ გაირკვეს აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმების გავლენა SME-ების ფინანსურ წვდომაზე, მათ შორის საქართველოს კონტექსტში.

(Beck & Demirguc-Kunt / ბეკი და დემირგუჩ-კუნტი, 2006) აღნიშნავენ, რომ ბუღალტრული სტანდარტების გავლენა ფინანსურ განვითარებაზე დროში გაწეილი პროცესია: „ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შემუშავებას დრო სჭირდება იმისთვის, რომ რეალური ეფექტი იქონიოს, და შედეგები შესაძლოა მოგვიანებით გამოვლინდეს” (გვ. 104).

Hybloba / ჰიბლობა (2019) ასევე ასკვნის, რომ ფინანსური ანგარიშგების ჰარმონიზაცია გრძელვადიანი პროცესია გაურკვეველი შედეგებით, რადგან მარეგულირებელი ორგანოები ხშირად ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლების გავლენის ქვეშ იმყოფებიან.

შესაბამისად, სწორედ ის ნაბიჯები, რასაც ეს ორგანოები გადადგამენ ბიზნესების გასაძლიერებლად, განსაზღვრავს რეფორმების გრძელვადიან ეფექტს.

უდავოა, რომ ფინანსებზე წვდომა მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების (SME) მდგრადი ზრდისა და მომგებიანობისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ის ხელს უწყობს ახალი ბიზნესების შექმნას, ინოვაციებს, ასევე არსებული კომპანიების გაფართოებას, რაც თავის მხრივ ეროვნული ეკონომიკური ზრდის საფუძველია (Abdulsaleh & Worthington / აბდულსალეჰი და ვორთინგტონი, 2013).

წინარე ლიტერატურა მიუთითებს, რომ ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს ფინანსურ გამჭვირვალობასა და სანდოობას, დადებითად მოქმედებს SME-ების ქცევაზე ფინანსების მოძიების პროცესში. (Etim-etimi, Daferighe, & Ofonime / ეტიმ-ეტიმი, დაფერიგე და ოფონიმი, 2020) ამტკიცებენ, რომ სააღრიცხვო პრაქტიკის დაცვასა და SME-ების სიცოცხლისუნარიანობას შორის კავშირი არსებობს.

გამჭვირვალობის ზრდა აძლიერებს SME-ების წვდომას ფინანსებზე (Ellul, Jappelli, Pagano, & Panunzi / ელული, ჯაპელი, პაგანო და პანუნცი, 2016) თუმცა ამავე დროს ზრდის მათი საგადასახადო ვალდებულებების რისკს, რაც შესაძლოა დემოტივაცია გახდეს ნებაყოფლობითი ანგარიშგებისთვის. ელული და სხვანი (2015) აღნიშნავენ, რომ „ფირმები

ირჩევენ მაღალ გამჭვირვალობას იმ ქვეყნებში, სადაც აუდიტის ხარისხი მაღალია.” Chen et al. / ჩენი და სხვანის 2011 წლის კვლევის მიხედვით, ფინანსური ანგარიშგების ხარისხი დაბალია იმ ქვეყნებში, სადაც ინვესტორთა დაცვის მექანიზმები სუსტია, ფინანსური სისტემა ბანკებზეა ორიენტირებული და საგადასახადო და ფინანსური ანგარიშგების კანონებს შორის მაღალი თანაკვეთა არსებობს. ავტორები ასკვნიან, რომ დამოკიდებულება ანგარიშგების ხარისხსა და პოზიტიურ საინვესტიციო ეფექტურობას შორის იზრდება საბანკო დაფინანსების პირობებში და მცირდება იმ შემთხვევებში, როდესაც კომპანიებს აქვთ მოტივაცია საგადასახადო მიზნებისთვის შემოსავლების მინიმუმაციისკენ.

საერთო ჯამში, ლიტერატურა ვარაუდობს, რომ ფინანსური ანგარიშგების გაზრდილმა გამჭვირვალობამ საჯარო ინფორმაციის გამჟღავნების რეფორმების მეშვეობით შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსებზე ხელმისაწვდომობაზე, მაგრამ ამ ზემოქმედებას შესაძლოა დრო დასჭირდეს.

განხილული ლიტერატურა ცხადყოფს, რომ ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის პოლიტიკას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მცირე და საშუალო საწარმოების (SME) ქცევაზე ფინანსების მოძიების პროცესში. გაძლიერებული ფინანსური გამჭვირვალობა, გაუმჯობესებული კრედიტუნარიანობა, რისკების შეფასების ხელშემწყობი მექანიზმები, მმართველობის გაძლიერებული პრაქტიკა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა ქმნის იმ გარემოს, რომელიც აყალიბებს SME-ების ქცევას და ზრდის მათ შესაძლებლობას, მოიპოვონ დაფინანსება. ლიტერატურა და საერთაშორისო ანგარიშები ხაზს უსვამს სტანდარტიზებული აღრიცხვისა და აუდიტის პრაქტიკის მნიშვნელობას SME-ების ფინანსებზე წვდომის გასაუმჯობესებლად და მათი ზრდის ხელშესაწყობად. IFRS-ის დანერგვამ ზოგ ქვეყანაში დადებითი გავლენა მოახდინა ფინანსურ ანგარიშგებაზე, კაპიტალზე წვდომასა და საბანკო ნდობაზე, თუმცა ეფექტები მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ინსტიტუციურ გარემოზე. ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (IFRS for SMEs) შემთხვევაში შედეგები უფრო შეზღუდულია. დანერგვის ძირითადი ბარიერები მოიცავს ტექნიკური უნარების ნაკლებობას, ტრენინგების დეფიციტს და დანერგვის ხარჯებს (Hybloba / ჰიბლობა, 2019).

ამრიგად, არსებული კვლევები ჯერჯერობით ვერ ადასტურებს ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების ჰარმონიზაციის ცალსახა გავლენას SME-ების დაფინანსების ზრდაზე. მიუხედავად იმისა, რომ IFRS-ის გამოყენება ზრდის ანგარიშგების სანდოობასა და

გამჭვირვალობას, SME-ებისთვის სტანდარტების გამოყენება უმეტესად ნებაყოფლობითია, ისევე როგორც აუდიტის განხორციელება. ეს გარემოებები კი, როგორც კვლევები აჩვენებს, კრედიტორებისთვის კვლავ რჩება მნიშვნელოვან ფაქტორად, რაც გავლენას ახდენს SME-ების ფინანსურ წვდომაზე.

ამ თავში გამოიკვეთა, რომ ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმები გლობალურად ემსახურება გამჭვირვალობის, სანდოობისა და შესადარისობის ზრდას, რაც აძლიერებს კორპორატიულ მმართველობას და ამცირებს ინფორმაციულ ასიმეტრიას კრედიტორებსა და მსესხებლებს შორის. საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაცია ზრდის ნდობასა და ინვესტიციების მოზიდვის უნარს, თუმცა ამისი პრაქტიკული მიღწევა ეტაპობრივად ხორციელდება და მოითხოვს პროფესიულ უნარებსა და ინსტიტუციურ სიმყარეს. ემპირიული კვლევები მიუთითებს, რომ ხარისხიანი ანგარიშგება ხელს უწყობს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსურ ხელმისაწვდომობას, თუმცა ეს ეფექტი დროსთან ერთად ხდება თვალსაჩინო და დამოკიდებულია ანგარიშგების რეალურ გამოყენებაზე. ამ ფონზე, შემდეგ თავში გადავდივართ საქართველოს რეფორმის ევოლუციისა და ინსტიტუციური ჩარჩოს აღწერაზე, რომელიც ნაშრომის შეფასების ბაზას წარმოადგენს.

## II თავი. საქართველოს აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის ევოლუცია

### 2.1 საქართველოს აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის იურიდიული და ინსტიტუციური ნაწილი

აღრიცხვის გლობალური ჰარმონიზაციის ფონზე, საქართველოს შემთხვევა განსაკუთრებით საინტერესოდ გამოიყურება. საქართველო სწრაფად განვითარებადი ქვეყანაა, რომლის მოსახლეობა 3.7 მილიონს შეადგენს და მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტი 9,141 აშშ დოლარია (საქსტატი, 2025). ქვეყანა მიისწრაფის ევროინტეგრაციისკენ და ამ გზაზე სხვადასხვა ეტაპს გადის ევროსტანდარტებთან დასაახლოებლად. მათ შორისაა აღრიცხვისა და აუდიტის სტანდარტების ჰარმონიზაციაც. ქვეყანაში 2016 წელს დამტკიცდა კანონი „საქართველოს აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.“ კანონის საფუძველზე კი დაიწყო ბუღალტრული და აუდიტის სფეროს ევროსტანდარტებთან ჰარმონიზაციის რეფორმა. ეს კანონმდებლობა, რომელიც რეფორმის ქვაკუთხედს წარმოადგენს, მიზნად ისახავს ფინანსური გამჭვირვალობის გაზრდას და ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას. (კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ, 2016 წ.).

მნიშვნელოვანია, რომ ეს რეფორმა ემთხვევა საქართველოს ვალდებულებებს, რომლებიც ასახულია ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებაში (ასოცირების შეთანხმება, 2014 წ.) და ხაზს უსვამს ეფექტური წესებისა და პრაქტიკის მნიშვნელობას კომპანიების კორპორატიულ მართვაში, ბუღალტრულ აღრიცხვაში და აუდიტში, რათა ხელი შეუწყოს საბაზრო ეკონომიკისა და ვაჭრობის განვითარებას.

საქართველოში მიმდინარე აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის გაცხადებული მისია შემდეგია: 'ხელი შეუწყოს ეკონომიკურ ზრდას, და დასაქმების შესაძლებლობები გაზარდოს საქართველოში ადეკვატური და სანდო ფინანსური და არაფინანსური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გზით საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული კონტროლის სისტემის მეშვეობით. ეს მიზნები კი შემუშავებულია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მიხედვით და ევროპასთან ჰარმონიზაციის პროგრესის მისაღწევად.

ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ეს რეფორმა კონტექსტიდან ამოგლეჯილი არ ყოფილა და ქვეყანაში ამ მიმართულებით მრავალწლიანი სამუშაო მიმდინარეობდა. ეს სამუშაო მოიცავდა ამ სფეროს თანამედროვე რელსებზე გადაყვანას.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველომ გაატარა ფართო და ყოვლისმომცველი რეფორმები, მათ შორის ეკონომიკური რეფორმები, რომლებიც შეეხო მრავალ ასპექტს. ეკონომიკური რეფორმების მთავარი მიზანი იყო ბიზნესის კეთების და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, ეკონომიკის ლიბერალიზაცია, ადმინისტრაციული ბარიერებისა და საგადასახადო ტვირთის შემცირება, საჯარო სერვისების გამარტივება-გაციფრულება, კორუფციასთან ბრძოლა და ა.შ. ამ რეფორმების გატარებით საქართველომ მიაღწია ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპს და ხელი შეუწყო მნიშვნელოვანი ოდენობის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას. საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა დადებითად იქნა შეფასებული სხვადასხვა სარეიტინგო სააგენტოებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ და მიღწეული შედეგები აისახა ეკონომიკური თავისუფლებისა და პოლიტიკის შეფასების სხვადასხვა ინდექსებსა და რეიტინგებში. მაგალითად, საქართველო აღიარებულია, როგორც “the top improver” ქვეყანა WB/IFC Doing Business-ის მიერ 2015 წელს. (World Bank / მსოფლიო ბანკი, 2014).

ზოგადი ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების მიუხედავად, საქართველო მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების კუთხით იგივე გამოწვევების წინაშე დგას, როგორც ბევრი განვითარებადი ქვეყანა. მიუხედავად იმისა, რომ მცირე და საშუალო ბიზნესი შეადგენს მოქმედი საწარმოების უმეტესობას, მათი წილი მშპ-ში მაინც დაბალია (ეკონომიკის სამინისტრო, 2024). საქართველოს მთავრობა აღიარებს მცირე და საშუალო ბიზნესის მნიშვნელობასა და მის როლს ეკონომიკურ განვითარებაში და მოწოდებულია ბიზნეს გარემოს შემდგომი გაუმჯობესებისთვის ამ მიმართულებით, რათა შეძლოს SME სექტორის განვითარება და ზრდა. ზოგადად, კერძო სექტორის და განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანია. შესაბამისად, ეს არის საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტი.

ბუღალტრული და აუდიტის სფეროს ფარგლებში კი ჯერ კიდევ 2,000-იან წლებში საქართველოში დაინერგა რამდენიმე მნიშვნელოვანი პოლიტიკა მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად, რამაც ნიადაგი მოამზადა დღევანდელი რეფორმისათვის.

1. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიღება და მისი სავარაუდო გავლენა SME-ებზე:

ა. საქართველომ მნიშვნელოვანი ძალისხმევა გაატარა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების IFRS-თან შესაბამისობაში მოსაყვანად, რომელიც ფართოდ არის აღიარებული და გამოიყენება საერთაშორისო დონეზე.

ბ. IFRS-ის მიღება აძლიერებს ფინანსური ანგარიშგების შედარებითობასა და გამჭვირვალობას, რაც უადვილებს SME-ებს პოტენციური ინვესტორებისა და კრედიტორების მოზიდვას. ეს იყო ქვეყნის ძალისხმევა, რომ საქართველოს ეკონომიკის ინტეგრაცია გლობალურ ბაზართან შესაძლებელი გამხდარიყო და უცხოური ინვესტიციების მოზიდვასაც ხელი შეწყობოდა.

გ. SME-ები, რომლებიც ეძებენ ფინანსებს, მოტივირებული არიან გააუმჯობესონ თავიანთი ფინანსური ანგარიშგების ხარისხი, უზრუნველყონ სიზუსტე, თანმიმდევრულობა და შედარებითობა რადგან უწევთ მიღებულ სტანდარტებთან შესაბამისობის დაცვა.

დ. ბანკებიდან დაფინანსების მოძიებისას, მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოებმა უნდა წარმოადგინონ ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შეესაბამება ამ სტანდარტებს, რაც უზრუნველყოფს თანმიმდევრულობას, შედარებითობასა და გამჭვირვალობას.

ე. ბანკები მიჩვეული არიან აღიარებული სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგების შეფასებას და ამ სტანდარტების დაცვა ზრდის ბანკების ნდობას მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტესა და სანდოობის მიმართ.

ვ. SME-ებს რომლებიც მიჰყვებიან ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის პოლიტიკას და წარმოადგენენ ზუსტ ფინანსურ ანგარიშგებას, შეიძლება მიიღონ უკეთესი სესხის პირობები და პროდუქტები ბანკებისგან.

2. საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების დანერგვა:

ა. საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები არის ბუღალტრული აღრიცხვის რეგულაციების ერთობლიობა, რომელიც შემუშავდა ბუღალტრული აღრიცხვის ეროვნული სტანდარტებიდან IFRS-ზე გადასვლის გასაადვილებლად.

ბ. საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების დანერგვა უადვილებს მცირე და საშუალო ბიზნესს უზრუნველყონ თანმიმდევრულობა და შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან.

3. აუდიტის ზედამხედველობის გაძლიერება და მისი გავლენა კრედიტორებზე:

ა. შეიქმნა აუდიტის ზედამხედველობის სამსახური საქართველოში აუდიტორის პროფესიის რეგულირებისა და ზედამხედველობის, ფინანსური ანგარიშგების ხარისხისა და სანდოობის გაზრდის მიზნით. სამსახური მონიტორინგს უწევს აუდიტორთა შესაბამისობას პროფესიულ სტანდარტებთან და ეთიკასთან, რაც ხელს უწყობს ფინანსური ანგარიშგებისადმი ნდობას.

ბ. კრედიტორები და ინვესტორები უფრო მეტად ენდობიან SME-ების მიერ მოწოდებულ ფინანსურ ინფორმაციას, რომელიც შეესაბამება აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დადგენილ აუდიტის მოთხოვნებსა და სტანდარტებს.

4. ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნების გამარტივება:

ა. ფინანსური ანგარიშგების გამარტივებული ჩარჩოების დანერგვამ, შეამცირა ანგარიშგების ტვირთი მცირე საწარმოებისთვის.

ბ. ეს ჩარჩოები საშუალებას აძლევს SME-ებს მოამზადონ და წარმოადგინონ ფინანსური ანგარიშგება, რომლებიც უფრო პროპორციულია მათი ზომისა და სირთულის მიმართ, რაც ამსუბუქებს შესაბამისობის მოთხოვნებს.

5. საკრედიტო საინფორმაციო სისტემების გაძლიერება:

ა. საქართველო ფოკუსირებულია ძლიერი საკრედიტო საინფორმაციო სისტემების განვითარებაზე, მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად.

ბ. საკრედიტო ბიუროების შექმნამ და საკრედიტო შეფასების მექანიზმების დანერგვამ გააუმჯობესა საკრედიტო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და სიზუსტე, რაც კრედიტორებს საშუალებას აძლევს, მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები.

6. შესაძლებლობების განვითარებისა და ცნობიერების ამაღლების პროგრამები:

ა. განხორციელდა ცნობიერების ამაღლების სხვადასხვა ინიციატივა, სასწავლო პროგრამა და სემინარი, რათა გაეუმჯობესებინათ SME-ების მიერ ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნების გაგება.

ბ. ეს პროგრამები მიზნად ისახავს ფინანსური წიგნიერების გაუმჯობესებას, SME-ების მფლობელებისა და ფინანსების პროფესიონალების კვალიფიკაციის ამაღლებასა და კარგი მმართველობისა და ფინანსური მართვის კულტურის განვითარებას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ჩამოთვლილი ცვლილებები და რეფორმები ერთობლივად მუშაობს მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსებზე ხელმისაწვდომობისათვის ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად. ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანით, გამჭვირვალობის გაუმჯობესებითა და ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნების გაძლიერებით, საქართველომ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები SME-ების ფინანსებზე ხელმისაწვდომობისა და ინვესტორების ნდობის გასაძლიერებლად.

გარდა კონკრეტულად აუდიტისა და ანგარიშგების სფეროში განხორციელებული ცვლილებებისა, რეფორმები ეხებოდა სხვა სფეროებსაც.

*საგადასახადო პოლიტიკა:* საგადასახადო სისტემის გაუმჯობესებასთან ერთად მნიშვნელოვნად შემცირდა გადასახადების რაოდენობა და გადასახადების განაკვეთები. საქართველოს ახლა აქვს ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური საგადასახადო იურისდიქცია ევროპაში. Forbes-ის საგადასახადო სიღუბჭირისა და რეფორმის ინდექსის მიხედვით 2015 წელს, საქართველო მე-4 ადგილზე იყო ყველაზე დაბალი საგადასახადო ტვირთით მსოფლიოში ყატარის, არაბეთის გაერთიანებული საემიროებისა და ჰონგ კონგის შემდეგ (FactCheck, Georgia / ფაქტჩეკ საქართველო, 2015).

*საბაჟო პოლიტიკა:* საბაჟო რეფორმებმა მნიშვნელოვნად გაამარტივა და მკვეთრად შეამცირა საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული ხარჯები. საქართველო საბაჟო გადასახადს აწესებს მხოლოდ რამდენიმე სახეობის სასოფლო-სამეურნეო საქონელსა და სამშენებლო მასალებზე. ამასთან, არ არსებობს რაოდენობრივი შეზღუდვები (კვოტები) იმპორტსა და ექსპორტზე. რამდენადაც რამდენადაც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცე (DCFTA) ამოქმედდა 2014 წლის 1 სექტემბრიდან, ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და საქართველოს შორის ვაჭრობა ხორციელდება ბაჟის გარეშე. (ევროკავშირი / EU, n.d.)

*ლიცენზიები და ნებართვები:* ამ მიმართულებით განხორციელებული რეფორმის შედეგად, 2005 წლიდან ლიცენზიებისა და ნებართვების რაოდენობა დაახლოებით 90%-ით შემცირდა. ამჟამად, ლიცენზიები და ნებართვები საჭიროა მხოლოდ მაღალი რისკის შემცველი საქონლისა და მომსახურების წარმოებისთვის, ასევე ბუნებრივი რესურსების გამოყენებისთვის და ზოგიერთი კონკრეტული პროექტის განხორციელებისთვის. მნიშვნელოვნად გამარტივდა ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის პროცედურები; დაინერგა „ერთი ფანჯრის“ პრინციპი, რომელიც უზრუნველყოფს ყველა საჭირო ნებართვის მიღებას ერთ სივრცეში. ლიცენზიებისა და ნებართვების საფასური განსხვავდება საქმიანობის ტიპის მიხედვით, რაც უზრუნველყოფს პროპორციულობას და სამართლიანობას რეგულირების პროცესში.

*საჯარო ადმინისტრაცია:* საჯარო დაწესებულებებთან დაკავშირებული პროცედურები, მათ შორის ბიზნესთან დაკავშირებული სერვისები, შემუშავებულია ერთი ფანჯრის პრინციპით. სერვისების უმეტესობა შეიძლება განხორციელდეს ონლაინ. გარდა ამისა, საქართველომ ჩამოაყალიბა უნიკალური სისტემა - საჯარო სამსახურის დარბაზები (იუსტიციის სახლები) - მთელი ქვეყნის მასშტაბით, სადაც ერთ სივრცეში 400-ზე მეტი სახის მომსახურებაა, რაც ამცირებს საჭირო სერვისების მოპოვების ხარჯებსა და დროს და ამასთანავე, საგრძნობლად ამცირებს კორუფციის რისკებს.

საქართველოს მთავრობის მიერ ბოლო წლების განმავლობაში განხორციელებული რეფორმების შედეგად, საგრძნობლად გაუმჯობესდა საქართველოში ბიზნეს და საინვესტიციო გარემო, მნიშვნელოვნად შემცირდა ადმინისტრაციული ბარიერები და გამარტივდა საჯარო სერვისები. თუმცა მიღწეული პროგრესი წარსულში გადადგმული ნაბიჯების შედეგია და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების გასაუმჯობესებლად მიმდინარე ძალისხმევა რა შედეგებს გამოიღებს დაკვირვების საგანია. ქვეყანა განვითარებად დონეზეა და ბიზნესის გაძლიერებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ევროსტანდარტებთან ჰარმონიზაციის კვალდაკვალ. შესაბამისად მიმდინარე აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის პერიოდული შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება ექსპერტთა და მკვლევართა ვალია.

უახლოეს წარსულში ბიზნეს გარემოს განვითარებაზე გავლენა მოახდინა რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური მდგომარეობამ. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი ნაშრომის უშუალო კვლევის საგანი არ არის, მისი გავლენა შეიძლება აისახოს ქვეყნის ეკონომიკურ

პროცესებზე და რეფორმების შედეგების მიღწევის ტემპზე. აღნიშნული საკითხი შეიძლება გახდეს მომავალი კვლევის საგანი.

## 2.2 საქართველოს აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის მოთხოვნები კომპანიების

### კატეგორიების მიხედვით

აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმა მიზნად ისახავდა საქართველოს მთელი კერძო სექტორის დაფარვას. მოხდა ზომისა და საქმიანობის ტიპის მიხედვით კომპანიების კლასიფიკაცია, რომელიც მათი აღრიცხვისა და აუდიტის ვალდებულებებს განსაზღვრავს. (იხ. ცხრილი 4). საზოგადოებრივი დაინტერესების პირებმა და უმსხვილესმა კომპანიებმა (I კატეგორია) 2018 წლის ოქტომბრიდან სრული IFRS-ის მიხედვით მომზადებული აუდიტირებული ანგარიშგება გაასაჯაროვეს. დიდმა და საშუალო კომპანიებმა (II და III კატეგორიები) ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (IFRS for SMEs) მიხედვით მომზადებული ანგარიშები 2019 წლიდან წარადგინეს, თუმცა III კატეგორიისთვის აუდიტი ნებაყოფლობით მოთხოვნად დარჩა. ყველაზე მცირე ზომის, მიკრო კომპანიებს (IV კატეგორია) მიეცათ ვადა 2021 წლამდე, რათა სავალდებულო ანგარიშგება გამარტივებული IFRS-ის ან/და ადგილობრივი სტანდარტის მიხედვით დაეწყოთ, აუდიტი კი მათთვისაც ნებაყოფლობითია. აღსანიშნავია, რომ ნებისმიერ კომპანიას შეუძლია სრული IFRS-ის მიხედვით მოამზადოს ანგარიშგება - ეს კომპანიის მოტივაციასა და რესურსებზეა დამოკიდებული.

ცხრილი N 4. იურიდიული პირების კატეგორიები და შესაბამისი მოთხოვნები

მაჩვენებელი/ კატეგორია	სდპ	I კატეგორია	II კატეგორია	III კატეგორია	IV კატეგორია
აქტივები (ლარი)		> 50 მლნ	< 50 მლნ	< 10 მლნ	< 1 მლნ
შემოსავლები (ლარი)		> 100 მლნ	< 100 მლნ	< 20 მლნ	< 2 მლნ
თანამშრომლების რაოდენობა		> 250	< 250	< 50	< 10
ბუღალტრული აღრიცხვა	IFRS	IFRS	IFRS for SMEs	IFRS for SMEs	გამარტივებული IFRS
მენეჯერული აღრიცხვა	სავალდებულო	სავალდებულო	სავალდებულო	ნებაყოფლობით	ნებაყოფლობით
აუდიტი	სავალდებულო	სავალდებულო	სავალდებულო	ნებაყოფლობით	ნებაყოფლობით
პირველი წარდგენის ვადა	01.10.2018	01.10.2018	01.10.2019	01.10.2019	01.10.2021

წყარო: (პირველი და შულღიაშვილი / Pirveli & Shughliashvili, 2019)

აუდიტისა და აღრიცხვის რეფორმის ფარგლებში და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებით შეიქმნა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური (SARAS). სააგენტო, მსოფლიო ბანკის ფინანსური ანგარიშგების რეფორმის ცენტრის მხარდაჭერით უზრუნველყოფს საქართველოში კორპორატიული მმართველობისა და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შესრულების მონიტორინგს.

რეფორმის მთავარი სიახლე იყო კერძო სექტორისთვის ფინანსური ანგარიშგების გასაჯაროების ვალდებულების დაწესება და სპეციალური პორტალის ([www.reportal.ge](http://www.reportal.ge)) ამოქმედება, სადაც 2019 წლიდან კომპანიებს საკუთარი მონაცემები უნდა აეტვირთათ. ამ გზით შესაძლებელი უნდა გამხდარიყო ინვესტორებისთვის ფინანსური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და უფრო ინფორმირებული საკრედიტო გადაწყვეტილებების მიღება.

### 2.3 საქართველოს აღრიცხვისა და აუდიტის სფეროს შეფასება რეფორმის საწყის ეტაპზე - მსოფლიო ორგანიზაციებისა და მკვლევარების პერსპექტივები

#### 2.3.1 რეფორმამდელი მდგომარეობა

აღსანიშნავია, რომ როგორც გლობალურად, ასევე საქართველოში, აღრიცხვისა და ანგარიშგების რეფორმა ხორციელდება საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით და აქტიური ჩართულობით. მსოფლიო ბანკი ბოლო ათწლეულების განმავლობაში არა მხოლოდ აფასებს ამ სფეროს, არამედ განსაზღვრავს რეკომენდაციებს აღმოჩენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად, აფინანსებს შესაბამის პროექტებს და ახორციელებს მონიტორინგს რეფორმის მიმდინარეობაზე. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი აკადემიურ წრეებსაც ეკისრებათ, რომლებიც იკვლევენ რეფორმის შედეგებს და მის გავლენას ეკონომიკურ გარემოზე. ამ მონაცემების ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავინახოთ საქართველოს რეფორმამდელი მდგომარეობა, ანგარიშგების ხარისხი და ის რეკომენდაციები, რომლებიც რეფორმის დაწყებამდე არსებობდა, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე მკვლევარების მხრიდან.

საქართველოში რეფორმამდე არსებული ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის შესახებ არსებული ლიტერატურა (World Bank / მსოფლიო ბანკი, 2007; Pirveli & Zimmermann / პირველი და ციმერმანი, 2015) ვარაუდობს, რომ ამ პერიოდში ფინანსური ინფორმაციის ხარისხი დაბალი იყო და მისი გამოყენება საკრედიტო გადაწყვეტილებებში შეზღუდული

რჩებოდა. მსოფლიო ბანკის ანგარიში (2007) ასკვნის, რომ ბანკები ფინანსურ ანგარიშგებას არ იყენებდნენ საკრედიტო გადაწყვეტილებების მიღებისას, ხოლო აუდიტი ვერ ასრულებდა ხარისხის გაუმჯობესების ფუნქციას, რადგან არსებობდა მოსყიდვის მაღალი რისკი. ხარვეზების მიზეზებად დასახელებულია საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების არათანმიმდევრული თარგმნა, განათლების არასაკმარისი დონე და აუდიტის პროცესისადმი სისტემური მიდგომის არქონა.

მსოფლიო ბანკის განმეორებითი დაკვირვება 2015 წლის ანგარიშში მიუთითებს, რომ მიუხედავად დაწყებული ცვლილებებისა, ფინანსური ანგარიშგების ხარისხი კვლავ დაბალია და პროგრესი ნელა მიმდინარეობს. ანგარიშში ხაზგასმულია არა მხოლოდ ინსტიტუციური ცვლილებების საჭიროება, არამედ კორპორატიული მენეჯერების მოტივაციის ნაკლებობა, დახარჯონ დრო და რესურსები მაღალი ხარისხის ანგარიშგების უზრუნველსაყოფად. ასევე პროფესიული განათლების, განახლებული აკადემიური კურიკულუმებისა და სავალდებულო ტრენინგების აუცილებლობა.

ადგილობრივი მკვლევარები (საბაური, 2018; ხარაბაძე და მამუკელაშვილი, 2016) ეხმიანებიან ამ რეკომენდაციებს და ხაზს უსვამენ კვლევითი ინსტიტუტების, უნივერსიტეტებისა და ინდუსტრიის წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობის მნიშვნელობას. ქვეყანაში ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (IFRS for SME) დანერგვის პერსპექტივების შესახებ 2018 წელს ჩატარებული კვლევა მიუთითებს, როგორც შესაძლებლობებზე, ასევე გამოწვევებზე. ავტორები ხაზს უსვამენ, რომ გამარტივებული სტანდარტი აუმჯობესებს ანგარიშგების ხარისხს, ზრდის გამჭვირვალობას და ფინანსებზე წვდომას, რაც საბოლოოდ ამცირებს კაპიტალის ღირებულებას და ზრდის ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობას. თუმცა, მიუხედავად სტანდარტის სიმარტივისა, გამოწვევაა ქვეყანაში არსებული „შერეული“ აღრიცხვის პრაქტიკის შეცვლა, რაც SME-ების მენეჯმენტის სურვილზე იქნება დამოკიდებული (Sabauri & Kvatashidze / საბაური და კვატაშიძე, 2018).

2019 წლისთვის მსოფლიო ბანკი აღნიშნავს პროგრესს: გაუმჯობესდა მცირე და საშუალო ბიზნესის აღრიცხვა, სახელმწიფო საწარმოების მართვა და ხარისხის კონტროლის მექანიზმები (მსოფლიო ბანკი, 2019). თუმცა, აკადემიური კვლევები (პირველი, 2019) მიუთითებს, რომ მიუხედავად კანონის ეფექტური შესრულებისა, რჩება გამოწვევები ბუღალტერთა და აუდიტორთა კომპეტენციებთან დაკავშირებით. დამატებით, რეგიონული გამოცდილება აჩვენებს, რომ რეფორმის წარმატებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს

ქვეყანაში გავრცელებული კულტურული ფაქტორებიც (Tudor & Mustata / ტუდორი და მუსტატა, 2000; Bebeșelea / ბებეშელეა, 2014).

ლიტერატურა ასევე ვარაუდობს, რომ კომპანიები ხშირად იცავენ გამჟღავნების წესებს მხოლოდ ტექნიკურ დონეზე, რაც ზრდის საოპერაციო ეფექტურობას, მაგრამ არ უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის ინფორმაციის მიწოდებას. ეს გამოწვევა დაკავშირებულია სოციალურ ნორმებთან, ქვეყნის სპეციფიკურ ფაქტორებთან და ხარჯებთან, რაც საჭიროებს დამატებით კვლევას (Gray et al / გრეი და სხვანი, 1995; Lara et al. / ლარა და სხვანი, 2009; Dye / დაი, 2001; Bushman & Smith / ბუშმანი და სმიტი, 2001; Verrecchia / ვერეკია, 2001).

### 2.3.2 საქართველოს აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის პირველადი შეფასებები

2016 წელს მიღებული კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მიზნად ისახავდა იმ ხარვეზების აღმოფხვრას, რომლებიც რეფორმამდე ეტაპზე იყო იდენტიფიცირებული. მისი ძალისხმევა კი საბოლოოდ ეკონომიკური ზრდისა და ბიზნესის განვითარებისკენ იყო მიმართული.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 2018 წლისთვის საქართველომ მნიშვნელოვანი პროგრესი აჩვენა ბიზნესგარემოს გაუმჯობესების მიმართულებით, თუმცა ფინანსებზე ხელმისაწვდომობა SME-ებისთვის კვლავ გამოწვევად რჩებოდა (მსოფლიო ბანკის ჯგუფი, 2018).

გარდა საერთაშორისო ორგანიზაციებისა, ადგილობრივი მკვლევარებიც აქტიურად აფასებენ რეფორმის გავლენას სხვადასხვა ჭრილში და მრავალწლიანი კვლევების მეშვეობით გვაწვდიან მნიშვნელოვან მიგნებებს.

პირველმა (2019) ჩაატარა კვლევა, რომელშიც შეისწავლა რეფორმის გავლენა ფინანსური ანგარიშგების ხარისხზე. კვლევამ აჩვენა, რომ რეფორმამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა გამჭვირვალობა, ინფორმაციის სიზუსტე და სანდოობა ქართულ კომპანიებში, ხოლო IFRS-ის დანერგვამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ინფორმაციის ხარისხის ამაღლებაში.

იმავე პირველის შემდგომი კვლევა (2021) ფოკუსირებული იყო ინვესტორების აღქმასა და ნდობაზე. დასკვნებმა აჩვენა, რომ რეფორმამ გაზარდა ინვესტორთა ნდობა, რადგან ფინანსური ინფორმაციის სანდოობა და გამჭვირვალობა გაუმჯობესდა. კვლევაში ხაზგასმულია რეფორმის ეფექტური განხორციელების მნიშვნელობა ინვესტორთა ნდობის შესანარჩუნებლად.

ავტორები ასევე იკვლევდნენ რეფორმის განხორციელების პროცესში არსებულ გამოწვევებსაც. შესაბამისმა ნაშრომებმა (პირველი, 2020; შუღლიაშვილი, 2019) გამოავლინა ისეთი პრობლემები, როგორცაა პროფესიონალთა შესაძლებლობების განვითარების საჭიროება, შეზღუდული რესურსები და მარეგულირებელ ორგანოებსა და ბაზრის მონაწილეებს შორის კოორდინაციის ნაკლებობა. აღნიშნული გამოწვევების მოგვარება მნიშვნელოვან წინაპირობად მიიჩნევა რეფორმის მდგრადი წარმატებისთვის.

აღნიშნული კვლევების ერთობლივი ანალიზი აჩვენებს, რომ რეფორმამ მნიშვნელოვანი პოზიტიური გავლენა მოახდინა ფინანსური ანგარიშგების ხარისხზე, კორპორატიული მართვის პრაქტიკაზე, ინვესტორთა ნდობასა და SME-ების ფინანსებზე ხელმისაწვდომობაზე. თუმცა, გამოწვევები კვლავ რჩება და მოითხოვს უწყვეტ ძალისხმევას პროფესიული განათლების, რესურსების მობილიზებისა და ინსტიტუციური კოორდინაციის მიმართულებით.

ნაშრომის ამ თავში წარმოიდგინა რეფორმის სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩო: გაჩნდა ზედამხედველობისა და საჯარო ანგარიშგების ინფრასტრუქტურა, დამკვიდრდა პროპორციულობის პრინციპი კომპანიების კატეგორიების მიხედვით, ხოლო მიზნები მიზნულია გამჭვირვალობისა და ხარისხის ზრდაზე და ევროპულ სტანდარტებთან თანხვედრაზე. ეს არქიტექტურა ქმნის საყრდენს, რომელიც შემდგომ თავებში შეფასდება იმ კუთხით, თუ როგორ აისახა ახალი წესრიგი კომპანიების ყოველდღიურ პროცესებზე, ანგარიშგების გამოყენებასა და ფინანსებზე წვდომაზე. სწორედ ამ ემპირიულ სურათზე გადადის შემდეგი თავი.

### III თავი. საქართველოს აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის საწყისი ფაზა - კერძო სექტორის მზაობა და პირველი შედეგები

3.1 მცირე და საშუალო ბიზნესის აღქმები და რეფორმისთვის მზაობა - ბიზნესის გამოკითხვა

ეს თავი სწავლობს საქართველოში მიმდინარე ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმას და ფოკუსირებულია კერძო სექტორის მზადყოფნაზე ინფორმაციის სავალდებულო საჯარო გამჟღავნებისთვის. ავტორი იკვლევს ქართული კომპანიების აღქმას რეფორმის შესახებ, რამდენად ესმით რეფორმის ნიუანსები და მათი შიდა კომპეტენციები რამდენად შეესაბამება რეფორმის მოთხოვნებს. კვლევა მიზნად ისახავს არსებული ლიტერატურაში არსებული დანაკლისის შევსებას იმის შესწავლით, თუ როგორ მოქმედებს კერძო სექტორის ინფორმირებულობა და მზადყოფნა რეფორმის საერთო წარმატებაზე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მიმდინარე რეფორმა მკვლევარებს უბიძგებს შეაფასონ მისი პროგრესი და გრძელვადიანი შედეგები, კერძო ბიზნესის ინფორმირებულობისა და მზაობის გავლენა რეფორმის წარმატებაზე არასაკმარისად არის შესწავლილი. ეს თავი მიზნად ისახავს ამ დანაკლისის შევსებას კერძო სექტორის აღქმების შესწავლით.

#### *მონაცემთა შეგროვება და ანალიზი*

ონლაინ გამოკითხვა: კერძო სექტორის წარმომადგენელთა მოსაზრებების შესასწავლად 2019 წლის აპრილიდან ივნისამდე ჩატარდა ონლაინ გამოკითხვა Google Forms-ის საშუალებით. კითხვარი მოიცავდა 30 კითხვას ქართულ ენაზე. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 74 რესპონდენტმა. 11 კითხვა ეხებოდა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების ცოდნასა და უნარებს; 13 კითხვა - კომპანიის სტრუქტურასა და ბუღალტრული/აუდიტორული მომსახურების გამოყენებას; 6 კითხვა - რეფორმის ბიზნესზე გავლენის აღქმას.

ექსპერტებთან ინტერვიუები: ინტერვიუ ჩატარდა სამ ექსპერტთან: საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის საბჭოს წევრი; ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის პროფესორი, მოქმედი აუდიტორი; ბუღალტრული სტანდარტების ლექტორი/ტრენერი. ინტერვიუები ჩატარდა ნახევრადსტრუქტურირებული ფორმატით, რაც შესაძლებელს ხდიდა ახალი იდეებისა და მოსაზრებების მიღებას.


მეორადი მონაცემები: კვლევის შედეგები შედარებული იქნა საჯარო წყაროებში ხელმისაწვდომ მონაცემებთან, მათ შორის SARAS-ის 2018-2024 წლების ანგარიშებთან.


ნიმუში და შერჩევის მეთოდი: კვლევისას გამოყენებულ იქნა მიზნობრივი შერჩევა ფინანსური ანგარიშგების პასუხისმგებლობის მქონე პირების ჩართვის მიზნით. გამოკითხვა გავრცელდა პროფესიულ ქსელებში, ბუღალტერთა ასოციაციებში და სოციალურ მედიაში. მონაწილეობის მიღება იყო ნებაყოფლობითი. საბოლოოდ მიღებულ იქნა 74 პასუხი სხვადასხვა ზომის და სექტორის კერძო კომპანიების წარმომადგენლებისგან.

მონაცემთა ანალიზი: გამოყენებულ იქნა აღწერითი სტატისტიკა და კრიტიკული ანალიზი. გამოკითხვის შედეგები შეჯერდა ექსპერტთა მოსაზრებებთან და საჯარო მონაცემებთან, რათა გამოვლენილიყო რეფორმის აღქმისა და მისთვის მზადყოფნის ძირითადი ტენდენციები.

*გამოკითხვის შედეგები*

დიაგრამა 1. რესპონდენტების პროფესიული პროფილი. გამოკითხულთა უმრავლესობა (35+ წლის ასაკის) გამოცდილი პროფესიონალია. რესპონდენტების უმრავლესობა (81%) მუშაობს მთავარ ბუღალტრად, ბუღალტრად ან ფინანსურ მენეჯერად. მიუხედავად იმისა, რომ მათ აქვთ ცოდნა ბუღალტრული სტანდარტების შესახებ, რესპონდენტთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ დამატებითი ტრენინგი მათთვის კვლავ საჭიროა.









დიაგრამა N 1. რესპონდენტების პროფესიული პროფილი  
წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

დიაგრამა 2. მონაწილე კომპანიების პროფილი. გამოკითხულ კომპანიათა უმრავლესობა (72%) არის შპს. 41% მიეკუთვნება IV კატეგორიას. ნიმუში მოიცავს უფრო მსხვილ კომპანიებსაც: I და II კატეგორიები - 22%, III კატეგორია - 24%.

გამოკითხვამ აჩვენა, რომ კომპანიების თითქმის ნახევარი (46%) არ იყენებს აუდიტის მომსახურებას, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ფინანსური ანგარიშგების დაახლოებით ეს ნაწილი აუდიტის გარეშე გამოქვეყნდება საჯარო პლატფორმაზე.



გამოკითხული 74 ბიზნესიდან 57 მდებარეობს თბილისში, ხოლო მხოლოდ 17 (23%) ოპერირებს საქართველოს სხვა ქალაქებში. ერთი მხრივ, ეს განაწილება შეიძლება მიუთითებდეს, რომ რეგიონულ ბიზნესებს შეიძლება ჰქონდეთ რეფორმის შესახებ ინფორმირებულობის განსხვავებული დონე. თუმცა, რადგან ეს ასახავს ქვეყანაში აქტიური რეგისტრირებული სუბიექტების რეალურ განაწილებას, სადაც უმრავლესობა დედაქალაქშია



კონცენტრირებული, ასეთი განაწილება იძლევა გონივრულ საფუძველს დასკვნების განზოგადებისთვის.



დიაგრამა N 2. მონაწილე კომპანიების პროფილი  
წყარო: შედგენილია ავტორის მიერ





დიაგრამა 3. მოლოდინები და დამოკიდებულება რეფორმის მიმართ. რესპონდენტთა 81% მიიჩნევს, რომ რეფორმა დადებით გავლენას მოახდენს კომპანიებზე, თუმცა მხოლოდ 42%-ს აქვს რეფორმ კარგად ან სრულყოფილად გაგებული. ეს მიუთითებს აღქმასა და ცოდნას შორის ასიმეტრიაზე.





დიაგრამა N 3. რეფორმის მიმართ არსებული მოლოდინები და დამოკიდებულებები  
წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

SARAS-ის გამოკითხვისა და ავტორის გამოკითხვის შედარებამ აჩვენა, რომ ბუღალტრული სტანდარტების ცოდნა მცირედით გაუმჯობესდა, თუმცა რესპონდენტებში ტრენინგების საჭიროება კვლავ მაღალია. მაგალითად, SARAS-ის კვლევაში რესპონდენტების 62% აცხადებდა, რომ IFRS კარგად იცის, ხოლო ავტორის გამოკითხვაში ეს მაჩვენებელი 69%-მდე გაიზარდა. მიუხედავად ამისა, იგივე ტენდენციაა ტრენინგების საჭიროების მხრივაც და თუ 2018 წელს 51% ისურვებდა ტრენინგს ბუღალტრულ სტანდარტებში ეს მაჩვენებელი 2019-ში 57%-ია.



დიაგრამა N 4. SARAS-ის გამოკითხვა (2018) და ავტორის გამოკითხვა (2019)  
წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

3.2 მცირე და საშუალო ბიზნესის რეფორმისთვის მზაობის ანალიზი - ექსპერტების შეფასება

სამმა ექსპერტმა, რომლებსაც ინტერვიუ ჩაუტარდათ, რეფორმის განხორციელებასთან დაკავშირებით რამდენიმე თანმიმდევრული შეშფოთება გამოთქვა კერძო სექტორის რეფორმისთვის მზაობასთან დაკავშირებით. ცხრილი 5 აჯამებს ძირითად თემებს და მათ სიხშირეს სამ რესპონდენტს შორის.

ცხრილი N 5. ექსპერტებთან ინტერვიუების შინაარსობრივი მატრიცა

ძირითადი საკითხი	მოხსენიების რაოდენობა (3-დან)	სიხშირე
ბუღალტერთა კომპეტენციების ნელი პროგრესი	3	მაღალი
რეფორმის დეტალების გაგების დეფიციტი	3	მაღალი
მცირე კომპანიებისთვის ხარჯების ზრდის რისკი	2	საშუალო

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ ბუღალტერთა კომპეტენციები: ყველა ექსპერტმა აღნიშნა, რომ ბუღალტერთა კომპეტენციები რჩება მთავარ გამოწვევად, თუმცა ეს პრობლემა გადაჭრადია სახელმწიფოსა და კერძო სექტორის ერთობლივი ძალისხმევით.

რეფორმის გაგების დეფიციტი: ინტერვიუებმა აჩვენა, რომ კერძო სექტორის კომპანიებში რეფორმის დეტალების ცოდნის ნაკლებობამ შეიძლება რეფორმის მიზნების მიღწევას შეუშალოს ხელი.

ხარჯების ზრდის რისკი: ორი ექსპერტის აზრით, რეფორმის დანერგვა მცირე კომპანიებისთვის ფინანსურ ტვირთს წარმოადგენს. ეს მოიცავს ბუღალტერთა და აუდიტორთა ანაზღაურების ზრდას, რეფორმის ფარგლებში გაჩენილი დამატებითი პასუხისმგებლობის გამო, და ბუღალტრული პროგრამების შეძენის ხარჯებს. ეს ეხება განსაკუთრებით იმ კომპანიებს, რომლებიც არასრულ ბუღალტერიას აწარმოებდა და რეფორმის გამო მოუწევს სრულყოფილი ბუღალტრული სერვისებით სარგებლობა. მესამე ექსპერტს ამ საკითხზე აქცენტი არ გაუკეთებია.

შეჯამების სახით შეგვიძლია წარმოვადგინოთ 2-ვე სახის კვლევის მიგნებების ანალიზი. ზემოთ განხილულია ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის საწყის ეტაპზე კერძო სექტორის მზადყოფნა, რომელიც შეფასდა 2019 წელს ჩატარებული გამოკითხვის (74 კომპანია) და სამი ექსპერტის ინტერვიუს საფუძველზე. კვლევის მიზანი იყო კერძო სექტორში რეფორმის აღქმის შეფასება, პროფესიული კომპეტენციებისა და ზოგადი მზაობის შესახებ ინფორმაციის მოძიება და რეფორმაში კომპანიების წარმატებულად

ჩართვის შესაძლო ბარიერების იდენტიფიცირება. საბოლოო ჯამში რეფორმისთვის მზაობის შეფასება და არსებული ხარვეზების მოგვარების გზების გამოკვეთა.

ძირითადი მიგნებები:

1. პროფესიული კომპეტენციები: მიუხედავად მცირედი გაუმჯობესებისა 2018-2019 წლებში, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ცოდნა კვლავ რჩება გამოწვევად. ტრენინგების საჭიროება მაღალია, რაც ხაზს უსვამს სახელმწიფოსა და კერძო სექტორის თანამშრომლობის როლს კომპეტენციების გაძლიერებაში.
2. რეფორმის აღქმა: კერძო სექტორი რეფორმას პოზიტიურად აფასებს (81% მიიჩნევს, რომ ის დადებით გავლენას მოახდენს), თუმცა მხოლოდ 42%-ს აქვს მისი კარგი ან სრულყოფილი გაგება. ეს ასიმეტრია აღქმასა და ცოდნას შორის შეიძლება რეფორმის ეფექტიანობის შემაფერხებელი იყოს.
3. ხარჯები, როგორც დამატებითი ბარიერი: მცირე კომპანიებისთვის მოსალოდნელია რეფორმასთან დაკავშირებული დამატებითი ფინანსური ტვირთის გაჩენა, რომელიც დაკავშირებულია ბუღალტერთა ანაზღაურების ზრდასთან, აუდიტორული მომსახურების საჭიროებასთან და პროგრამული უზრუნველყოფის შეძენასთან.

ექსპერტთა შეფასებები ადასტურებს გამოკითხვის შედეგებს: კომპეტენციების ნელი პროგრესი და რეფორმის დეტალების არასაკმარისი გაგება აღიქმება როგორც ძირითადი რისკები ექსპერტების მხრიდან;

მიუხედავად რეფორმის საწყის ეტაპზე, 2019 წელს გამოვლენილი პოზიტიური განწყობისა, რაც კერძო სექტორის გამოკითხვაში ჩანს, კვლევა მიუთითებს სისტემურ გამოწვევებზე, რომლებიც შეიძლება შეაფერხოს რეფორმის მოკლევადიანი ეფექტიანობა. აუცილებელია კომპეტენციების გაძლიერება, გამჭვირვალე და ინტენსიური კომუნიკაცია რეფორმის ნიუანსების შესახებ და მცირე ბიზნესებისთვის ხარჯების შემსუბუქების მექანიზმების შემუშავება.

### 3.3 საჯარო ანგარიშგების სტატისტიკა და რეფორმის აღსრულების ტენდენციები

ამ ნაწილში განხილულია ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის აღსრულების დინამიკა SARAS-ის (საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური) 2018-2024 წლებში საჯაროდ გავრცელებული ანგარიშების საფუძველზე და იგი შედარებულია ავტორის 2019 წლის პირველადი კვლევის (74 ბიზნესის გამოკითხვა) და სამი ექსპერტის ინტერვიუების მიგნებებთან.

SARAS სისტემურად აქვეყნებს: (ა) წარდგენის/გამჟღავნების მაჩვენებლებს კატეგორიების მიხედვით; (ბ) დეფექტებისა და ხარვეზების აღწერებს; (გ) ანალიტიკურ ანგარიშებსა და სტრატეგიულ დოკუმენტებს, სადაც ასახულია სისტემური სისუსტეები და განვითარების მიზნები (SARAS, 2021, 2022, 2023, 2024). ამავე წყაროებში აღწერილია საგანმანათლებლო ჩარევები და პროფესიული სტანდარტები.

SARAS-ის მონაცემების მიხედვით, I-III კატეგორიის სუბიექტებში წარდგენის მაჩვენებლები მდგრადად მაღალია და 2021 წელს პიკს 95%-ით აღწევს, ხოლო 2023-ში 93%-მდე მცირდება (SARAS, 2023). IV კატეგორიაში (მიკრო სუბიექტები, რომელიც სავალდებულო გასაჯაროებას 2021 წლიდან იწყებენ), ფიქსირდება შედარებით დაბალი და კლების ტენდენციის მქონე მაჩვენებლები (მაგ., 2021 - 80%, 2022 - 77-79%, 2023 - 72%) (SARAS, 2023). ეს ინფორმაცია აჩვენებს იმას, რომ მსხვილმა კომპანიებმა რეფორმის ტექნიკურ მოთხოვნებთან ადაპტაცია უკეთესად მოახდინეს, ხოლო მცირე ერთეულებში ქვეითდება შესაბამისობა ისეთი შესაძლო მიზეზების გამო, როგორცაა შეზღუდული რესურსები, პროფესიული უნარების ნაკლებობა და ფინანსური ტვირთის ზრდა; ეს ფაქტორები იდენტიფიცირებულია, როგორც 2019 წლის გამოკითხვაში, ისე ექსპერტულ ინტერვიუებში და კიდევ არის გადამოწმებული კვლევის შემდგომ ეტაპებზეც.

2024 წლის შესახებ SARAS მიუთითებს, რომ ჯამური წარდგენები დაახლოებით იგივე რაოდენობისაა, რაც 2023 წელს, თუმცა ზუსტი პროცენტული მაჩვენებლები კატეგორიების მიხედვით საჯაროდ აღარ ქვეყნდება; ტენდენციად დასახელებულია I-III კატეგორიებში გასაჯაროების მცირედი ზრდა, ხოლო IV კატეგორიაში კლება (SARAS, 2024).

ცხრილი N 6. გამჟღავნების/წარდგენის სტატისტიკა ფორმების კატეგორიების მიხედვით

წელი	კატ I-III (%)	კატ IV (%)	შენიშვნა
2018	96	-	IV არ წარადგენს
2019	90	-	IV არ წარადგენს
2020	94	-	IV არ წარადგენს
2021	95	80	ყველა წარადგენს
2022	94	77	IV კატ. კლება
2023	93	72	IV კატ. კლება
2024	↑ (I-III გაიზარდა)	↓ (IV შემცირდა)	ზუსტი % არ ქვეყნდება. მთლიანი რაოდენობა 2023-ის მსგავსია

წყარო: დამუშავებულია ავტორის მიერ, SARAS-ის 2018-2024 წლიური ანგარიშების მიხედვით).

*ფორმალური შესაბამისობა და ინფორმაციის ხარისხი*

წარდგენის მაჩვენებლები ასახავს მხოლოდ ფორმალურ შესაბამისობას; ამ ეტაპზე სისტემური, საჯაროდ ხელმისაწვდომი ინდიკატორები არ არსებობს, რომლებიც შეაფასებდა გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტორული ანგარიშების სიზუსტე-სანდოობასა და შინაარსობრივ ხარისხს. მართალია, SARAS ყოველწლიურ ანგარიშებში აღწერს ცალკეულ დეფექტებსა და დარღვევებს, მაგრამ ინდივიდუალური შემთხვევები საერთო ხარისხის შეფასების საშუალებას არ იძლევა. ანგარიშებიდან ჩანს, რომ ცოდნა რჩება მნიშვნელოვან ხარვეზად რეფორმის ეფექტიანობის მისაღწევად, „წარდგენის“ კარგი სტატისტიკის პარალელურად (SARAS, 2022 & 2023).

მნიშვნელოვანი ნიშანია 2020 წლის ანგარიშგებაზე გაცემული 26,262 წერილობითი გაფრთხილება (სულ 65,454 წარდგენიდან), ანუ კომპანიების დაახლოებით 40%-ს აღმოაჩნდა დეფექტები/ხარვეზები, რაც თავის მხრივ მიუთითებს ხარისხის გაძლიერების საჭიროებაზე (SARAS, 2021). ამ ხარვეზის გათვალისწინებით, SARAS-მა 2022 წლის პრიორიტეტად გამოაცხადა ანგარიშების ხარისხის გაუმჯობესება (SARAS, 2022) და ეს პრიორიტეტი კვლავ დღის წესრიგში რჩება 2024 წელსაც. (SARAS, 2023).

2018 წლიდან მოყოლებული, SARAS აქტიურად ახორციელებს კვლევით, საინფორმაციო და საგანმანათლებლო კამპანიებს, რომელთა მიზანია პროფესიული განათლების გაძლიერება და ბუღალტერთა და აუდიტორთა შორის ნდობის ზრდა.

2020 წელს დამკვიდრდა პროფესიული სერტიფიცირების და უწყვეტი განათლების სტანდარტები, რომლებიც სრულად შეესაბამება ევროკავშირის დირექტივებსა და საერთაშორისო ბუღალტერთა ფედერაციის (IFAC) მოთხოვნებს. ამავე წელს შეიქმნა სერტიფიცირებული ბუღალტრების რეესტრი, რაც პროფესიის ინსტიტუციური გაძლიერებისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია (SARAS, 2020).

2019-2022 წლებში SARAS-ის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო 2,200-ზე მეტმა მონაწილემ (2019: დაახლოებით 1,000; 2020: 400; 2021: IFRS-ის მიმართულებით - 128; 2022: მცირე და საშუალო საწარმოებზე და წარდგენის პროცედურებზე; დაახლოებით 700, (SARAS, 2021, 2022).

მიუხედავად ამ აქტიური ჩართულობისა, SARAS ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ანგარიშგების ხარისხის გაუმჯობესება კვლავ რჩება მნიშვნელოვან საბაზრო გამოწვევად (SARAS, 2022).

SARAS-ის 2023-2026 წლების სტრატეგია განსაზღვრავს ოთხ ძირითად მიზანს:

1. კაპიტალის ბაზრის განვითარების ხელშეწყობა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
2. პროფესიისადმი ნდობის გაზრდა;
3. ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივი და დინამიური დაახლოება;
4. ორგანიზაციული მდგრადობის უზრუნველყოფა.

პირველი ორი პრიორიტეტი პირდაპირ უკავშირდება გამჭვირვალობისა და სანდოობის ამაღლებას, ასევე ბუღალტერთა პროფესიული კომპეტენციების გაძლიერებას, რაც თანხვედრაშია ავტორის 2019 წლის კვლევის ძირითადი დასკვნებთან.

სურათს ავსებს 2019-2022 წლების პრაქტიკული გამოცდილების ანალიზი. მსოფლიო ბანკის 2022 წლის კვლევის მიხედვით, საქართველოში ბიზნესების დაახლოებით 79% არ იყენებს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტორულ მომსახურებას ერთდროულად. კომპანიები, როგორც წესი, ერთს ან მეორეს მიმართავენ ყველა სერვისისთვის (მსოფლიო ბანკი, 2022). ეს მონაცემი მიუთითებს პროფესიონალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის ინსტიტუციურ და საბაზრო ბარიერებზე, რაც დამატებით ართულებს ანგარიშგების ხარისხის სისტემურ გაუმჯობესებას.

3.4 ბიზნესის დამოკიდებულებების შემოწმება საჯარო ანგარიშგების სტატისტიკასთან შედარების გზით

2018-2024 წლების საჯარო მონაცემების ანალიზი ასაბუთებს 2019 წლის გამოკითხვისა და 3 ექსპერტის ინტერვიუს მიგნებებს:

1. მცირე პროგრესი ბუღალტრული სტანდარტების ცოდნაში, ტრენინგის მაღალი საჭიროება;
2. რეფორმის პოზიტიური აღქმა, მაგრამ დეტალების არასაკმარისი გაგება;
3. დამატებითი ხარჯების რისკი მცირე კომპანიებისთვის (ანაზღაურება, პროგრამული უზრუნველყოფა, აუდიტორული მომსახურება).

ეს სურათი თანხვედრაშია SARAS-ის სტატისტიკასთან: I-III კატეგორიებში სტაბილურად მაღალი წარდგენა, IV კატეგორიაში კი შემცირებული შესაბამისობა და კვლების

ტრაექტორია 2021 წლიდან (SARAS, 2023). შესაბამისად, ფორმალური შესაბამისობის მიღმა როგორც ჩანს დგას კომპეტენციისა და რესურსების საკითხები, რომლებიც აფერხებს გასაჯაროების მაჩვენებლების ზრდასა და ასევე სანდოობისა და ხარისხის მატებას.

*იმპლიკაციები და მომავალი კვლევის მიმართულებები*

1. საჯარო ინფორმაციის ხარისხის საზომები: საჭიროა სიზუსტე-სანდოობის სისტემური ინდიკატორების გაუმჯობესება, ანგარიშგებების შერჩევითი აუდიტი და მომხმარებლობის კვლევები („ვინ იყენებს მონაცემებს და როგორ“), რათა შეფასდეს რეფორმის რეალური ეფექტიანობა „წარდგენის“ მაჩვენებლებს მიღმა.

2. მიზნობრივი ჩარევები IV კატეგორიისთვის: კომპეტენციების გამყარება, ტექნოლოგიური მხარდაჭერა / სუბსიდირებული პროგრამული უზრუნველყოფა, შერბილებული აღსრულების გრაფიკი.

3. ინფორმირების გაღრმავება: რეფორმის ნიუანსური მოთხოვნების კომუნიკაცია იმ ფორმატითა და არხებით, რომლებიც რეალურად მიაღწევს მცირე ბიზნესამდე.

ნაშრომის ეს თავი აერთიანებს საჯარო მონაცემებს, ავტორის მიერ ჩატარებული პირველადი გამოკითხვის შედეგებსა და ექსპერტულ ინტერვიუებს, რათა გამოჩნდეს რეფორმის საწყისი ფაზის მთავარი ნიშნები. I-III კატეგორიებში ანგარიშგების წარდგენის მაჩვენებლები მაღალია (2021 წელს დაახლოებით 95%, 2023 წელს - 93%), მაშინ როცა IV კატეგორიაში ფიქსირდება კლებადი დინამიკა (დაახლოებით 80%-დან 72%-მდე 2023 წელს). ხარისხის სისტემური საზომები საჯაროდ არ იძებნება, ხოლო წარსულ წლებში დეფექტების შესახებ გაფრთხილებების მაღალი წილი აჩვენებს შინაარსობრივი ხარისხის გაუმჯობესების საჭიროებას. საგანმანათლებლო ნაბიჯების მიუხედავად, მოთხოვნა პრაქტიკულ ტრენინგებზე და პროფესიულ მხარდაჭერაზე მაღალია. შედეგი ერთია: ფორმალური წარდგენის მიღმა საჭიროა სანდო და გამოყენებადი ინფორმაცია და მისი უწყვეტი მონიტორინგი. შემდეგ თავში განახლებული მონაცემები და პერსპექტივები გვიჩვენებს, როგორ გარდაიქმნა ეს საწყისი ნიშნები მიმდინარე პრაქტიკად.

IV თავი. საქართველოს აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის შედეგები 2018-2024 წლებში მოცემულ თავში შეფასებულია აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის შედეგები ორი მიმართულებით: (1) მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსებზე წვდომა და (2) აღრიცხვის ჩარჩოს დაახლოება ევროკავშირის სტანდარტებთან.

ანალიზი ეფუძნება 2025 წლების კერძო სექტორის კვლევას და მისი შედეგების შედარებას 2019 წლის საბაზისო კვლევასთან (საბაზისო კვლევის მიგნებები ამ ნაშრომის მე-3 თავშია წარმოდგენილი). ასევე წარმოდგენილია როგორც ექსპერტული ინტერვიუს შედეგები, ასევე ბანკებთან ინტერვიუები. ანალიზს ამდიდრებს ოფიციალური ანგარიშებისა და სხვა მეორადი მონაცემების ანალიზი.

ანალიზი შეესაბამება კვლევის ჰიპოთეზასა და ამოცანებს.


ჰიპოთეზა:

საქართველოს აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმამ 2018-2024 წლებში SME-ების ფინანსებზე ხელმისაწვდომობაზე მნიშვნელოვანი პოზიტიური გავლენა ვერ მოახდინა, თუმცა ხელი შეუწყო აღრიცხვის ჩარჩოს ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაციას.

ჰიპოთეზის შემოწმების მიზნით კვლევის შემდეგი ამოცანებია დასმული:

1. SME-ების შეფასება ფინანსური ანგარიშგების ხარისხის ცვლილების შესახებ.
2. SME-ების შეფასება ფინანსებზე ხელმისაწვდომობის შესახებ.
3. ფინანსური ინსტიტუტების შეფასება SME-ების ფინანსური ინფორმაციის ხარისხისა და მისი დაკრედიტებაში გამოყენების შესახებ.
4. ოფიციალური ანგარიშების მიმოხილვა ჰარმონიზაციის პროგრესისა და მდგრადობის სტანდარტების დანერგვის შესახებ.

SME-ების ფინანსებზე წვდომის შეფასების თეორიული ლოგიკა შემდეგია: რეფორმა → ანგარიშგების ხარისხი/შიდა კონტროლი/პროფესიული კაპიტალი (მედიატორები) → ინფორმაციული ასიმეტრიის შემცირება → ნდობა → ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესება; ტრაექტორიაზე გავლენას ახდენს ინსტიტუციური გარემო და აღსრულება, ასევე ბანკების საკრედიტო პოლიტიკა და ფირმის მახასიათებლები (მოდერატორები). (იხ. ილუსტრაცია 2).



ილუსტრაცია N 2. კონცეპტუალური ჩარჩო - შედეგების სინთეზი  
წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

აღრიცხვის პრაქტიკის დაახლოების პროგრესის შეფასება ევროკავშირის სტანდარტებთან ხდება მეორადი მონაცემების კრიტიკული ანალიზის საშუალებით.

შემდეგი ცხრილი ასახავს ყველა კვლევითი ამოცანების შესრულების მეთოდებსა და კონკრეტულ საზომებს. მისი დანიშნულებაა მკითხველს მისცეს „რუკა“, თუ რა ტიპის მონაცემებზე და რა მეთოდურ ჩარჩოზე დგას კვლევის მიგნებები.

ცხრილი N 7. კვლევითი ამოცანების შესრულების რუკა

კვლევითი ამოცანა	თეორიული კავშირი	საზომი და სამიზნე ჯგუფი	ანალიზის მეთოდი
1. ანგარიშგების ხარისხი	რეფორმა → ანგარიშგების ხარისხი	იზომება მედიატორი: ანგარიშგების ხარისხის ცვლილება, შიდა კონტროლის პრაქტიკა, პროფესიული კაპიტალი  სამიზნე: SME-ები (ზომა/სექტორი/რეგიონი)	რაოდენობრივი კვლევის შედეგების ანალიზი:  საშუალო, მედიანა, სტანდარტული გადახრა, სიხშირეები, პროცენტული განაწილებები; $\chi^2$ ტესტი და Cramér's V; ANOVA,
2. ფინანსებზე წვდომა	ანგარიშგების ხარისხი → ასიმეტრიის შემცირება → წვდომა	იზომება: სესხის მიღების სიმარტივე, ბარიერები, სესხის წილი კაპიტალში  სამიზნე: SME-ები (ზომა/სექტორი/რეგიონი)	Kruskal-Wallis, $\eta^2$ ეფექტის ზომა; მრავალჯგუფობისა და მრავალჯგუფობისა (კოეფიციენტები, p-მნიშვნელობები, ნდობის ინტერვალები)
3. ბანკების ხედავა/გამოცდილება	ინსტიტუციური ჩარჩო → ანგარიშგების სანდოობა / გამოყენებადობა	იზომება: ბანკების შეფასება ფინანსური ინფორმაციის სანდოობაზე და გამოყენებადობაზე  სამიზნე: ბანკების საკრედიტო/რისკის მართვის წარმომადგენლები	ინტერვიუების შედეგები: თემატური ანალიზი

4. ჰარმონიზაციის პროგრესი	ინსტიტუციური გარემო → ხარისხის ზრდა → გრძელვადიანი ეფექტი	იზომება: ევროკავშირთან ჰარმონიზაციის პროგრესი; ESG/CSRD სტანდარტების დანერგვა  სამიზნე: ოფიციალური დოკუმენტები/ანგარიშები	ისტორიული მიმოხილვა და კრიტიკული ანალიზი
---------------------------	---	---	--

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ


კვლევითი ამოცანების რუკამ განსაზღვრა, როგორ უნდა გაანალიზდეს მონაცემები. ქვემოთ წარმოდგენილია მცირე და საშუალო ბიზნესის გამოცდილება და შეფასებები (2024-2025 წლების კერძო სექტორის კვლევა), ბანკებისა და ექსპერტული ინტერვიუები და მეორადი მონაცემების ანალიზი რათა კვლევითი კითხვებს პასუხი გაეცეს.

*კერძო სექტორის კვლევა (2025 წელი)*

კერძო სექტორის განმეორებით კვლევაში მონაწილეობა მიიღო 311-მა რესპონდენტმა. მათი პროფილი გვიჩვენებს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებულთა დიდი ნაწილი ქალია (დაახლოებით 66%), ხოლო ასაკობრივად ყველაზე აქტიური ჯგუფი 30-39 წლისაა (დაახლოებით 46%). ეს ასაკი ხშირად უკავშირდება პროფესიულ ზრდას და სტაბილურ დასაქმებას, რაც ზრდის პასუხების სანდოობას.

პროფესიების მიხედვით, გამოკვეთილია ბუღალტრები (დაახლოებით 37%) და ფინანსისტები (დაახლოებით 25%), ანუ ის ადამიანები, რომლებიც ყოველდღიურად მუშაობენ ანგარიშგებასთან და საკრედიტო საკითხებთან. ეს პროფესიული პროფილი ზრდის მონაცემების სანდოობას, რადგან ისინი უშუალოდ არიან ჩართული იმ პროცესებში, რომელთა შეფასებასაც კვლევა ისახავს მიზნად.

სამუშაო გამოცდილების მიხედვით, ყველაზე დიდი წილი აქვთ მათ, ვისაც 3-10 წლიანი სტაჟი აქვთ. ეს შეესაბამება SME-ებში კადრების სტაბილურობის ტიპიურ სურათს. (იხ. დიაგრამა 5). ეს გამოცდილება მიუთითებს იმაზე, რომ რესპონდენტებს აქვთ საკმარისი ცოდნა რეფორმის შედეგების შეფასებისთვის, რაც ზრდის კვლევის შიდა ვალიდობას.





დიაგრამა N 5. რესპონდენტების პროფილი  
წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

კომპანიების უმრავლესობა შპს-ს ფორმით არის რეგისტრირებული (დაახლოებით 92%), რაც საქართველოში ბიზნესის ტიპური ფორმაა. გეოგრაფიულად, კომპანიების 61% თბილისშია, თუმცა რეგიონებიც წარმოდგენილია, რაც საშუალებას გვაძლევს შევადაროთ სხვადასხვა რეგიონების მონაცემები. გეოგრაფიულად, 311 გამოკითხული კომპანიის 61% თბილისშია, 39% კი სხვა რეგიონებში. ეს ოდნავ აღემატება თბილისის რეალურ წილს ქვეყნის აქტიურ საწარმოებში (45.4%, საქსტატი, 2026), თუმცა, ვინაიდან მდებარეობა სტატისტიკურად არამნიშვნელოვანი ფაქტორია კვლევის ყველა მოდელში, ეს სხვაობა არ ახდენს გავლენას ძირითად დასკვნებზე.

სექტორულად დომინირებს მომსახურება (დაახლოებით 29%), სოფლის მეურნეობა (დაახლოებით 24%) და მშენებლობა (დაახლოებით 20%). ვაჭრობა (დაახლოებით 15%) მეოთხე მსხვილი სეგმენტია.

კატეგორიების მიხედვით, IV კატეგორია (მცირე კომპანიები) ყველაზე ფართოდაა წარმოდგენილი (დაახლოებით 66%). ეს ნიშნავს, რომ კვლევა ძირითადად ასახავს იმ ბიზნესების მდგომარეობას, რომლებიც ყველაზე მეტად დამოკიდებულნი არიან გარედან მიღებულ ფინანსებზე. (იხ. დიაგრამა 6). ეს ფაქტი კრიტიკულია, რადგან კვლევის მიზანი სწორედ SME-ების ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესების ანალიზია და არა მსხვილი კომპანიების.





დიაგრამა N 6. საწარმოთა პროფილი  
წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

#### 4.1 ფინანსური ანგარიშგების ხარისხი და არსებული გამოწვევები


##### ზოგადი ტენდენციები

როდესაც კერძო სექტორის 2025 წლის კვლევის ფარგლებში რესპონდენტები გამოთქვამენ აზრს იმის შესახებ, თუ როგორ შეიცვალა მათი ანგარიშგების ხარისხი ბოლო წლებში, დაახლოებით 76.5% ამბობს, რომ არ შეცვლილა. მხოლოდ 2.6% ფიქრობს, რომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, ხოლო 7% თვლის, რომ გაუარესდა (იხ. დიაგრამა 7). ეს შედეგი მიუთითებს რეფორმის შეზღუდულ ეფექტზე ანგარიშგების ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ მიუხედავად იმისა, რომ კომპანიების 93% ანგარიშგებას ასაჯაროებს, მხოლოდ 23% ამბობს, რომ ამ ანგარიშგებას შიდა პროცესებში იყენებს ან ბანკების / ინვესტორებისთვის პირდაპირ წარსადგენად ადგება. ეს ნიშნავს, რომ გამჭვირვალობა არსებობს, მაგრამ მისი პრაქტიკული გამოყენება დაბალია. ეს ასახავს „ფორმალური შესაბამისობის“ პრობლემას, სადაც ანგარიშგება მხოლოდ რეგულაციის დასაკმაყოფილებლად მზადდება და არა ბიზნეს გადაწყვეტილებების გასაუმჯობესებლად.

ამის მიზეზი როგორც კვლევაში ირკვევა არის ანგარიშგების ხარისხის სტაბილურობის პრობლემა ან/და ის, რომ მომხმარებლები (მენეჯერები, ბანკები) ჯერ კიდევ არ იყენებენ ამ ინფორმაციას აქტიურად. შესაბამისად საჯარო გამჭვირვალობა არსებობს, მაგრამ არ არის საკმარისი, რომ ანგარიშგების ხარისხი, დროულობა, ადეკვატურობა და გამოსადეგობა უზრუნველყოს. ეს მიგნება ხაზს უსვამს საჭიროებას, რომ რეფორმის

მომდევნო ეტაპი ფოკუსირდეს ანგარიშგების გამოყენებადობაზე და არა მხოლოდ მის გასაჯაროებაზე.



დიაგრამა N 7. ანგარიშგების ხარისხი და ბიზნესის მიერ მისი გამოყენება

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

ფინანსური ანგარიშგების ხარისხის სხვაობები კომპანიების მახასიათებლების მიხედვით

ამ ნაწილში მონაცემების ღრმა ანალიზი გვიჩვენებს, რომ ანგარიშგების ხარისხისა და მისი გამოყენების აღქმა ყველაზე მეტად განსხვავდება კომპანიის კატეგორიის მიხედვით. შედარებით ნაკლები განსხვავებაა მდებარეობით, ხოლო სექტორებს შორის განსხვავება თითქმის არ ჩანს. ეს განსხვავება შეიძლება მიუთითებდეს რესურსების ხელმისაწვდომობისა და პროფესიული კაპიტალის უთანასწორობაზე მცირე და საშუალო საწარმოთა შორის.

ეს ნიშნავს, რომ მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი არის კომპანიის კატეგორია - ანუ რამდენად დიდია კომპანია, რა რესურსები აქვს, და რამდენად განვითარებულია მისი შიდა პროცესები. დიდ კომპანიებში (I და II კატეგორია) ანგარიშგების ხარისხი და მისი გამოყენება უფრო მაღალია, ხოლო მცირე კომპანიებში (IV კატეგორია) ცვლილებები ნაკლებად შესამჩნევია.

ჯვარედინი ცხრილები ცხადყოფს (იხ. ცხრილი 8), რომ IV კატეგორიის კომპანიების 85% ამბობს, რომ ანგარიშგების ხარისხი არ შეცვლილა. გაუმჯობესება თითქმის არ ჩანს.

მეორეს მხრივ, I კატეგორიაში 44% ამბობს, რომ ხარისხი „უმნიშვნელოდ გაიზარდა“, ხოლო II კატეგორიაში „ზრდის“ შეფასება ჯამურად 34%-ს აღწევს.

სტატისტიკური ტესტი ( $\chi^2 = 129.72$ ;  $p < 0.001$ ) და ეფექტის ზომა (Cramér's  $V = 0.26$ ) მიუთითებს, რომ კავშირი ზომიერია, მაგრამ პრაქტიკულად მნიშვნელოვანია: ორგანიზაციის

ზომა (კატეგორია) გავლენას ახდენს ანგარიშგების გაუმჯობესებაზე, ხოლო მცირე კომპანიებში სურათი თითქმის უცვლელია.


ეს ნიშნავს, რომ რეფორმის შედეგები უფრო სწრაფად ჩანს დიდ კომპანიებში, ხოლო მიკრო და მცირე ბიზნესში პროგრესი ნელა მიმდინარეობს.

ცხრილი N 8. *ჯვარედინი ცხრილი: საწარმოს კატეგორია / ანგარიშგების ხარისხი*

საწარმოს კატეგორია / ანგარიშგების ხარისხის ცვლილება	არ შეცვლილა	მნიშვნელოვნად გაიზარდა	მნიშვნელოვნად შემცირდა	უმნიშვნელოდ გაიზარდა	შემცირდა	პასუხის გარეშე
მეოთხე	173 (84.8%)	2 (1.0%)	3 (1.5%)	2 (1.0%)	9 (4.4%)	15 (7.4%)
მეორე	15 (51.7%)	3 (10.3%)	2 (6.9%)	7 (24.1%)	2 (6.9%)	0 (0.0%)
მესამე	38 (79.2%)	1 (2.1%)	2 (4.2%)	1 (2.1%)	3 (6.2%)	3 (6.2%)
პირველი	12 (44.4%)	2 (7.4%)	0 (0.0%)	12 (44.4%)	1 (3.7%)	0 (0.0%)
სდპ	0 (0.0%)	0 (0.0%)	0 (0.0%)	1 (50.0%)	0 (0.0%)	1 (50.0%)

Chi-square	129.72
p-value	0.00
Cramér's V	0.26

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ



დიაგრამა N 8. *საწარმოს კატეგორია/ანგარიშგების ცვლილება*

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

სექტორებს შორის განსხვავებები ანგარიშგების ხარისხის შეფასებაში

სტატისტიკურად მნიშვნელოვნად არ ითვლება (p დაახლოებით 0.08), ხოლო ეფექტის ზომა (Cramér's V = 0.09) მიუთითებს, რომ კავშირი სუსტია. (იხ. ცხრილი 9).

მიუხედავად ამისა, რამდენიმე მცირე ტენდენცია მაინც ჩანს:

1. თითქმის ყველა სექტორში დომინირებს პასუხი „არ შეცვლილა“

2. „უმნიშვნელო/მნიშვნელოვანი“ ზრდა შედარებით ხშირად გვხვდება ვაჭრობასა და საკვებში

3. მომსახურებასა და სოფლის მეურნეობაში პროგრესის ნიშნები კიდევ უფრო სუსტია

უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეულ სექტორებში ნიმუშის ზომა ძალიან მცირეა (მაგ., IT მხოლოდ 3 კომპანია), რაც ზრდის შეცდომის ალბათობას და ამცირებს სტატისტიკური ტესტის სიმძლავრეს.

ამიტომ, სექტორული განსხვავებების უფრო ზუსტი დასადგენად მომავალში საჭიროა ან უფრო დიდი ნიმუში, ან სეგმენტების გაერთიანება.

ცხრილი N 9. გვარედინი ცხრილი: საქმიანობის სექტორი / ანგარიშების ხარისხი

საქმიანობის სექტორი / ანგარიშების ხარისხი	არ შეცვლილა	მნიშვნელოვნად გაიზარდა	მნიშვნელოვნად შემცირდა	უმნიშვნელოდ გაიზარდა	შემცირდა	პასუხის გარეშე
IT	2 (66.7%)	0 (0.0%)	0 (0.0%)	1 (33.3%)	0 (0.0%)	0 (0.0%)
ვაჭრობა	37 (80.4%)	2 (4.3%)	0 (0.0%)	4 (8.7%)	1 (2.2%)	2 (4.3%)
მომსახურება	75 (82.4%)	1 (1.1%)	3 (3.3%)	4 (4.4%)	4 (4.4%)	4 (4.4%)
მშენებლობა	44 (69.8%)	2 (3.2%)	3 (4.8%)	7 (11.1%)	4 (6.3%)	3 (4.8%)
საკვები	9 (69.2%)	1 (7.7%)	0 (0.0%)	1 (7.7%)	1 (7.7%)	1 (7.7%)
სოფლის მეურნეობა	60 (80.0%)	2 (2.7%)	1 (1.3%)	2 (2.7%)	4 (5.3%)	6 (8.0%)
ფინანსები	6 (66.7%)	0 (0.0%)	0 (0.0%)	3 (33.3%)	0 (0.0%)	0 (0.0%)
წარმოება	5 (50.0%)	0 (0.0%)	0 (0.0%)	1 (10.0%)	1 (10.0%)	3 (30.0%)

Chi-square	53.30
p-value	0.08
Cramér's V	0.09

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

მდებარეობის მიხედვით განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია (p დაახლოებით 0.002), თუმცა ეფექტის ზომა (Cramér's V დაახლოებით 0.146) მიუთითებს, რომ კავშირი ზომიერად სუსტია. (იხ. ცხრილი 10). თბილისსა და დიდ ქალაქებში

(„უმნიშვნელო/მნიშვნელოვანი“ ზრდის) პასუხები შედარებით უფრო ხშირად გვხვდება, თუმცა, საერთო სურათში კვლავ დომინირებს „არ შეცვლილა“ (თბილისში დაახლოებით 76%)

რეგიონული ქალაქების ნაწილი (მაგ., თელავი, გორი) აჩვენებს ცვალებად სურათს, მაგრამ მცირე ნიმუშები (ოზურგეთი, ლენტეხი და სხვ.) გვაძილებს ვიყოთ ფრთხილად ინტერპრეტაციაში.

პრაქტიკულად, ურბანულ გარემოში არსებული პროფესიული სერვისები, ტრენინგები და აუტოსორსინგის შესაძლებლობები შეიძლება ქმნიდეს იმ მცირე „გამონაკლის ეფექტებს“, რაც p-მნიშვნელობაში აისახა.

თუმცა ამ ეტაპზე ეს ეფექტი ინკრემენტულია, ანუ ჯერ კიდევ არ არის მასშტაბური ცვლილება.

ცხრილი N 10. *ჯვარედინი ცხრილი: საწარმოს მდებარეობა / ანგარიშგების ხარისხი*

საწარმოს მდებარეობა / ანგარიშგების ხარისხი	არ შეცვლილა	მნიშვნელოვნად გაიზარდა	მნიშვნელოვნად შემცირდა	უმნიშვნელოდ გაიზარდა	შემცირდა	პასუხის გარეშე
2+ ქალაქი	0 (0.0%)	1 (33.3%)	0 (0.0%)	0 (0.0%)	0 (0.0%)	2 (66.7%)
ახალციხე	1 (50.0%)	0 (0.0%)	0 (0.0%)	0 (0.0%)	0 (0.0%)	1 (50.0%)
ბათუმი	36 (81.8%)	0 (0.0%)	0 (0.0%)	4 (9.1%)	3 (6.8%)	1 (2.3%)
გორი	9 (90.0%)	1 (10.0%)	0 (0.0%)	0 (0.0%)	0 (0.0%)	0 (0.0%)
ზუგდიდი	4 (80.0%)	0 (0.0%)	0 (0.0%)	0 (0.0%)	0 (0.0%)	1 (20.0%)
თბილისი	145 (76.3%)	5 (2.6%)	5 (2.6%)	18 (9.5%)	8 (4.2%)	9 (4.7%)
თელავი	5 (55.6%)	1 (11.1%)	1 (11.1%)	0 (0.0%)	0 (0.0%)	2 (22.2%)
ლენტეხი	11 (84.6%)	0 (0.0%)	0 (0.0%)	1 (7.7%)	1 (7.7%)	0 (0.0%)
ოზურგეთი	2 (100.0%)	0 (0.0%)	0 (0.0%)	0 (0.0%)	0 (0.0%)	0 (0.0%)
ქუთაისი	25 (78.1%)	0 (0.0%)	1 (3.1%)	0 (0.0%)	3 (9.4%)	3 (9.4%)

Chi-square	82.9879835 2
p-value	0.00232515 8
Cramér's V	0.14648032 6

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

ჯვარედინი ცხრილების ანალიზიდან ჩანს, რომ ანგარიშგების ხარისხის ცვლილება ყველაზე მკაფიოდ ჩანს კომპანიის კატეგორიის (ზომის) მიხედვით, ხოლო სექტორული და რეგიონული განსხვავებები შედარებით სუსტია. ეს ნიშნავს, რომ რეფორმის გავლენა ჯერ კიდევ შიდა ორგანიზაციულ ფაქტორებზეა დამოკიდებული, და გარეგანი ფაქტორები (სექტორი, მდებარეობა) ნაკლებად ახდენს გავლენას.

*ანგარიშგების ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორები და პრაქტიკული გამოყენება*

ამ ნაწილში წარმოდგენილია სხვადასხვა სტატისტიკური მეთოდით მიღებული შედეგები, რომლებიც გვიჩვენებს, რა განსაზღვრავს ანგარიშგების ხარისხს კომპანიებში. ანალიზი მოიცავს აღწერით სტატისტიკას, ANOVA და Kruskal-Wallis ტესტებს, და რეგრესიულ ანალიზს, რომლებიც ადასტურებს, რომ კომპანიის კატეგორია, ანუ ზომა არის ანგარიშგების ხარისხის მთავარი განმსაზღვრელი.

*ანგარიშგების ხარისხი კომპანიის კატეგორიის მიხედვით:* ანგარიშგების ხარისხის შეფასების საშუალო ქულები ცხადყოფს, რომ I კატეგორია იძლევა ყველაზე მაღალ შეფასებას (M დაახლოებით 3.56; მედიანა 4), II კატეგორია ასევე მაღალია (M დაახლოებით 3.24), ხოლო IV კატეგორია რჩება დაბალ ნიშნულზე (M დაახლოებით 2.95). (იხ. ცხრილი 11).

ორივე ტესტმა: ANOVA და Kruskal-Wallis, აჩვენა, რომ განსხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია.

ეფექტის ზომა ( $\eta^2$  დაახლოებით 0.12) მიუთითებს, რომ კომპანიის კატეგორია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, თუმცა არა სრულად.

ეს შედეგი სრულად ესადაგება წინა ჯვარედინი ცხრილების შედეგებს: ცვლილებები ყველაზე მკაფიოდ ჩანს დიდ კომპანიებში, სადაც სავარაუდოდ მეტი რესურსებია.

ცხრილი N 11. ANOVA: საწარმოს კატეგორია / ანგარიშგების ხარისხი

საწარმოს კატეგორია / ანგარიშგების ხარისხის ცვლილება	შეფასების საშუალო	სტანდარტული დევიაცია	მედიანა	რაოდენობა
მეოთხე	2.95	0.40	3.00	189
მეორე	3.24	0.99	3.00	29
მესამე	2.91	0.60	3.00	45
პირველი	3.56	0.70	4.00	27
სდპ	4.00	0.00	4.00	1

ANOVA:

F	p-value	$\eta^2$ ( $\eta^2_{\text{partial}}$ )
9.51	0.00	0.12

Kruskal-Wallis:

H	p-value
48.09	0.00

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

სექტორების მიხედვით საშუალო მაჩვენებლები ერთმანეთთან ძალიან ახლოსაა. (იხ. ცხრილი 13). მომსახურება M დაახლოებით 2.95; სოფლის მეურნეობა M დაახლოებით 3.00; მშენებლობა M დაახლოებით 3.02; ვაჭრობა M დაახლოებით 3.16; IT და ფინანსები M დაახლოებით 3.33.

არც ANOVA-მ, არც Kruskal-Wallis-მა არ აჩვენა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება.

ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სექტორი ამ ეტაპზე არ არის განმსაზღვრელი ფაქტორი, ხოლო კომპანიის კატეგორია, კვლავ მთავარი ფაქტორია.

ცხრილი N 12. ANOVA: საქმიანობის სექტორი / ანგარიშგების ხარისხის ცვლილება

საქმიანობის სექტორი / ანგარიშგების ხარისხის ცვლილება	შეფასების საშუალო	სტანდარტული დევიაცია	მედიანა	რაოდენობა
IT	3.33	0.58	3.00	3
ვაჭრობა	3.16	0.53	3.00	44
მომსახურება	2.95	0.53	3.00	87
მშენებლობა	3.02	0.72	3.00	60
საკვები	3.17	0.72	3.00	12
სოფლის მეურნეობა	3.00	0.51	3.00	69
ფინანსები	3.33	0.50	3.00	9
წარმოება	3.00	0.58	3.00	7

ANOVA:

F	p-value	$\eta^2$ ( $\eta^2_{\text{partial}}$ )
1.12	0.35	0.03

Kruskal-Wallis:

H	p-value
9.88	0.20

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

რეგრესიული მოდელები ადასტურებს იმ შედეგებს, რაც უკვე გამოჩნდა ჯვარედინი ცხრილებითა და საშუალო მაჩვენებლების შედარებით.

მთავარი მიგნება კვლავ იგივეა: კომპანიის კატეგორია: ანუ ზომა, არის ყველაზე სტაბილური ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ანგარიშგების ხარისხზე. (იხ. ცხრილი 14).

*კომპანიის კატეგორია: გავლენა და ეფექტი*

1. I კატეგორია:  $\beta$  დაახლოებით 0.60;  $p < 0.001$
2. II კატეგორია:  $\beta$  დაახლოებით 0.29;  $p$  დაახლოებით 0.009
3. III კატეგორია: ეფექტი უმნიშვნელოა
4. IV კატეგორია: საბაზისო დონე

ეს შედეგები აჩვენებს, რომ მხოლოდ I და II კატეგორიებში აღიქმება ანგარიშგების ხარისხი როგორც გაუმჯობესებული, ხოლო მცირე კომპანიებში (IV) ცვლილებები ნაკლებად შესამჩნევია.

*პოზიცია და სექტორი: უმეტესად არ ახდენს გავლენას ანგარიშგების ხარისხის აღქმაზე*

პოზიციის მიხედვით: ბუღალტერი, მენეჯერი, მარკეტინგი და სხვა, არც ერთი კოეფიციენტი არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. ეს ნიშნავს, რომ დაკავებული როლი არ განსაზღვრავს ანგარიშგების ხარისხის აღქმას.

სექტორის მიხედვით მხოლოდ IT აჩვენებს პოზიტიურ ეფექტს ( $\beta$  დაახლოებით 3.33;  $p < 0.001$ ), მაგრამ ნიმუში ძალიან მცირეა ( $n = 3$ ), რაც არ იძლევა განზოგადების საშუალებას.

ცხრილი N 13. რეგრესიული ანალიზი: ანგარიშგების ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორები

ანგარიშგების ხარისხი	კოეფ.	სტ. შეცდომა	t	p	95% CI	p-ს გავლენა
<b>პოზიცია</b>						
ადმინისტრაცია	3.18	0.14	22.44	0.000	[2.90, 3.46]	***
ბუღალტერია	-0.15	0.15	-0.98	0.327	[-0.45, 0.15]	
გაყიდვები	-0.21	0.17	-1.19	0.236	[-0.55, 0.14]	
გენერალური მენეჯერი	-0.13	0.19	-0.73	0.467	[-0.50, 0.23]	
დამფუძნებელი	-0.38	0.23	-1.62	0.107	[-0.83, 0.08]	
მარკეტინგი	-0.18	0.3	-0.59	0.553	[-0.76, 0.41]	
პროექტები	-0.18	0.19	-0.92	0.360	[-0.56, 0.20]	
ფინანსები	-0.09	0.16	-0.58	0.560	[-0.40, 0.22]	
<b>სექტორი</b>						
IT	3.33	0.33	9.96	0.000	[2.67, 3.99]	***
ვაჭრობა	-0.17	0.35	-0.5	0.615	[-0.85, 0.51]	
მომსახურება	-0.38	0.34	-1.11	0.266	[-1.05, 0.29]	
მშენებლობა	-0.32	0.34	-0.92	0.356	[-0.99, 0.36]	
საკვები	-0.17	0.37	-0.45	0.656	[-0.90, 0.57]	
სოფლის მეურნეობა	-0.33	0.34	-0.98	0.330	[-1.01, 0.34]	
ფინანსები	0	0.39	0	1.000	[-0.76, 0.76]	
წარმოება	-0.33	0.4	-0.83	0.405	[-1.12, 0.45]	

კომპანიის კატეგორია						
მეოთხე / ინტერცეპტი	2.95	0.04	73.94	0.000	[2.87, 3.03]	***
მეორე	0.29	0.11	2.64	0.009	[0.07, 0.50]	**
მესამე	-0.04	0.09	-0.45	0.651	[-0.22, 0.14]	
პირველი	0.6	0.11	5.34	0.000	[0.38, 0.83]	***
სდპ	1.05	0.55	1.9	0.058	[-0.04, 2.13]	

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

ჯვარედინი ცხრილი გვიჩვენებს, რომ ანგარიშგების გამოყენება (შიდა ან გარე გადაწყვეტილებებში) კიდევ უფრო ძლიერად არის დაკავშირებული კომპანიის კატეგორიასთან. (იხ. ცხრილი 14).

1. I და II კატეგორიებში თითქმის ყველა კომპანია ამბობს, რომ გამოყენება რეალურად ხდება („ვეთანხმები/სრულიად ვეთანხმები” დაახლოებით 100%)

2. IV კატეგორიაში კი დომინირებს უარყოფითი შეფასება („არ ვეთანხმები/კატეგორიულად არ ვეთანხმები” ჯამურად დაახლოებით 74%)

სტატისტიკური ტესტი ( $\chi^2 = 263.70$ ;  $p < 0.001$ ) და ეფექტის ზომა (Cramér's  $V = 0.39$ ) მიუთითებს, რომ კავშირი ძლიერია.

ეს ნიშნავს, რომ გამჭვირვალობა ღირებულებას იძენს მხოლოდ მაშინ, როცა კომპანიას არის შედარებით მსხვილი ზომის და გამომდინარე აქედან აქვს შესაძლებლობები, პროცესები, კადრები და ინსტრუმენტები, რომ გამოქვეყნებული ინფორმაცია რეალურად გამოიყენოს.

მარტივად რომ ვთქვათ: გამჭვირვალობა თავისთავად არ ნიშნავს გამოყენებას, საჭიროა შესაბამისი ორგანიზაციული გარემო, რომ ინფორმაცია მართვისა და დაფინანსების მოპოვების ნაწილად იქცეს.


ცხრილი N 14. *ჯვარედინი ცხრილი: საწარმოს კატეგორია / იყენებს გასაჯაროებულ ანგარიშგებას*

საწარმოს კატეგორია / იყენებს გასაჯაროებულ ანგარიშგებას	არ ვეთანხმები	არც ვეთანხმები და არც უარყოფ	ვეთანხმები	კატეგორიულად არ ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები	პასუხის გარეშე
მეოთხე	82 (40.2%)	28 (13.7%)	7 (3.4%)	70 (34.3%)	2 (1.0%)	15 (7.4%)
მეორე	0 (0.0%)	0 (0.0%)	27 (93.1%)	0 (0.0%)	2 (6.9%)	0 (0.0%)

მესამე	21 (43.8%)	6 (12.5%)	4 (8.3%)	13 (27.1%)	3 (6.2%)	1 (2.1%)
პირველი	0 (0.0%)	0 (0.0%)	25 (92.6%)	0 (0.0%)	2 (7.4%)	0 (0.0%)
სდპ	0 (0.0%)	0 (0.0%)	1 (50.0%)	0 (0.0%)	0 (0.0%)	1 (50.0%)

Chi-square	263.70
p-value	0.00
Cramér's V	0.39

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ



დიაგრამა N 9. საწარმოს კატეგორია / იყენებს გასაჯაროებულ ანგარიშგებას

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

### რეგრესიული ანალიზი

(ცხრილი 15) ცხადყოფს, რომ კომპანიის კატეგორია მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ანგარიშგების გამოყენების ინტენსივობას.

IV კატეგორია წარმოადგენს საბაზისო დონეს (β დაახლოებით 1.88), ხოლო I და II კატეგორიები მნიშვნელოვნად უფრო მაღალ შეფასებებს იძლევიან (β დაახლოებით 2.19 ორივეგან;  $p < 0.001$ ).

ეს მიუთითებს, რომ მსხვილ კომპანიებში გამჭვირვალობა უკეთ ინტეგრირდება პრაქტიკაში, ანუ საჯარო ანგარიშგება რეალურად გამოიყენება გადაწყვეტილებების მიღებისას.

III კატეგორია ასევე პოზიტიურია, თუმცა ეფექტი ზომიერია (β დაახლოებით 0.33;  $p$  დაახლოებით 0.017), რაც ნიშნავს, რომ ამ ჯგუფში გამოიყენება უკვე იწყებს ფეხის მოკიდებას, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის სისტემური.

საინტერესოა, რომ საჯარო სამართლის პირი (სდპ) აჩვენებს ყველაზე მაღალ კოეფიციენტს (β დაახლოებით 2.12), რაც შესაძლოა მიუთითებდეს მაღალი სტანდარტების არსებობაზე.

თუმცა, მაღალი სტანდარტული შეცდომა და მცირე ნიმუში ( $n = 1$ ) ინტერპრეტაციას სიფრთხილეს მოითხოვს.

ცხრილი N 15. რეგრესიული ანალიზი: გასაჯაროებული ინფორმაციის გამოყენება / კომპანიის კატეგორია

გასაჯაროებული ინფორმაციის გამოყენება / კომპანიის კატეგორია	კოეფ. სტ. შეცდომა	t	p	95% CI	p-ს გავლენა	
მეოთხე / ინტერცეპტი	1.88	0.06	30.69	0.000	[1.76, 2.00]	***
მეორე	2.19	0.17	12.99	0.000	[1.85, 2.52]	***
მესამე	0.33	0.14	2.39	0.017	[0.06, 0.60]	*
პირველი	2.19	0.17	12.62	0.000	[1.85, 2.53]	***
სდპ	2.12	0.85	2.5	0.013	[0.45, 3.78]	*

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

კვლევის ყველა ეტაპზე, ჯვარედინ ცხრილებში, საშუალო ქულების შედარებასა და რეგრესიულ ანალიზში, ცალსახად გამოიკვეთა, რომ კომპანიის კატეგორია არის მთავარი განმსაზღვრელი როგორც ანგარიშგების ხარისხისთვის, ისე მისი გამოყენებისთვის.

I და II კატეგორიები გამოირჩევიან ანგარიშგების ხარისხის მაღალი შეფასებებით და ინტენსიური გამოყენებით (β დაახლოებით 2.19;  $p < 0.001$ ), რაც მიუთითებს, რომ მსხვილ კომპანიებში გამჭვირვალობა რეალურად ინტეგრირდება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

IV კატეგორია რჩება საბაზისო დონეზე (β დაახლოებით 1.88), ხოლო III კატეგორია აჩვენებს ზომიერად პოზიტიურ ეფექტს (β დაახლოებით 0.33;  $p$  დაახლოებით 0.017).

მდებარეობის გავლენა: ზომიერი მაგრამ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა მდებარეობის ეფექტი ზომიერია (Cramér's V დაახლოებით 0.146) და ძირითადად ურბანულ სეგმენტში იძლევა მცირე, თუმცა სტატისტიკურად მნიშვნელოვან „დამატებით სარგებელს“. თბილისსა და დიდ ქალაქებში შედარებით ხშირად გვხვდება „უმნიშვნელო/მნიშვნელოვანი“ ზრდის შეფასებები, თუმცა საერთო სურათში კვლავ დომინირებს „არ შეცვლილა“ (თბილისში დაახლოებით 76%).

ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ ურბანულ გარემოში პროფესიული სერვისები, ტრენინგები და აუტსორსინგის შესაძლებლობები უფრო ხელმისაწვდომია, რაც ქმნის მცირე „გამონაკლის ეფექტებს“.

სექტორული განსხვავებები ამ ეტაპზე სუსტია ( $p$  დაახლოებით 0.08; Cramér's V დაახლოებით 0.09), ხოლო საშუალო ქულები ერთმანეთთან ძალიან ახლოსაა: მომსახურება

M დაახლოებით 2.95; სოფლის მეურნეობა M დაახლოებით 3.00; მშენებლობა M დაახლოებით 3.02; ვაჭრობა M დაახლოებით 3.16; IT/ფინანსები M დაახლოებით 3.33.

ეს მიუთითებს, რომ სექტორი ამ ეტაპზე მეორეხარისხოვანი ფაქტორია, ხოლო სისტემური განსხვავებები პირველ რიგში კომპანიის კატეგორიას უკავშირდება.

კვლევის შედეგებმა ცალსახად აჩვენა, რომ ანგარიშგების ხარისხის ცვლილება და მისი გამოყენება მჭიდროდ უკავშირდება კომპანიის კატეგორიას, ანუ ზომას, რაც გულისხმობს მეტ რესურსებსა და მეტად განვითარებული პროცესების სტრუქტურას.

1. I და II კატეგორიები გამოირჩევიან ანგარიშგების ხარისხის მაღალი შეფასებით, ანგარიშგების ინტენსიური გამოყენებით და უკეთესი წვდომით ფინანსებზე

2. IV კატეგორია რჩება საბაზისო დონეზე, სადაც ხარისხი, გამოყენება და წვდომა ნაკლებად შესამჩნევია

3. მდებარეობის ეფექტი ზომიერია და ურბანულ სეგმენტში იძლევა მცირე, თუმცა სტატისტიკურად მნიშვნელოვან „დამატებით სარგებელს“

4. სექტორული განსხვავებები სუსტია და არ ქმნის სისტემურ გავლენას მიგნებები აჩვენებს, რომ მცირე კომპანიებს სჭირდებათ დამატებითი მხარდაჭერა, რათა გამჭვირვალობა რეალურად იქცეს ხარისხიანი ანგარიშგების შექმნისა და გამოყენების საშუალებად და საბოლოოდ გავლენა მოახდინოს დაფინანსების ფასზე, საკრედიტო პირობებზე, და ზოგადად დაფინანსების ხელმისაწვდომობაზე.

ასეთი მხარდაჭერა შეიძლება მოიცავდეს:

1. ტექნიკური დახმარებას
2. სტანდარტიზებული ინსტრუმენტების შეთავაზებას
3. ტრენინგი და კონსულტაციებს

4.2 დაფინანსებაზე წვდომა და არსებული გამოწვევები


*ზოგადი ტენდენციები*

კომპანიების ნახევარზე მეტი (დაახლოებით 56%) ამბობს, რომ ფინანსებზე წვდომა რთულია, ხოლო დამატებით 13% თვლის, რომ ძალიან რთულია. მხოლოდ 20% აფასებს წვდომას როგორც მარტივს. ეს ნიშნავს, რომ ბიზნესების უმრავლესობა გრძნობს სირთულეებს დაფინანსების მიღებაში.

ასევე, 89% ამბობს, რომ 2018-2025 წლებში წვდომის სიმარტივე არ შეცვლილა. ეს მიუთითებს, რომ რეფორმამ ჯერ ვერ მოახდინა საკრედიტო არხების რეალური გაუმჯობესება. (იხ. დიაგრამა 10).

დაფინანსების ფასისა და სესხის წილის კაპიტალში ცვლილებებიც თითქმის იგივე სურათს აჩვენებს - უმრავლესობა ამბობს, რომ არ შეცვლილა. ეს ნიშნავს, რომ კაპიტალის სტრუქტურა უცვლელია, და შესაბამისად, წვდომის განცდაც არ იცვლება.

ამ ფონზე, მხოლოდ ანგარიშგების გასაჯაროება არ არის საკმარისი. საჭიროა ბანკებთან და ექსპერტებთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობა, სტანდარტიზებული შეფასების სისტემები და ისეთი მექანიზმები, რომლებიც ანგარიშგებას გარდაქმნის სიგნალებად, რაც რეალურად იმოქმედებს საკრედიტო გადაწყვეტილებებზე.



დიაგრამა N 10. რეფორმის შესახებ არსებული ინფორმირებულობა, გამოწვევები და შესაძლებლობები

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

დაფინანსებაზე წვდომის სხვაობები კომპანიების მახასიათებლების მიხედვით

კომპანიის კატეგორია აღმოჩნდა ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს, როგორ აფასებენ კომპანიები დაფინანსებაზე წვდომას. (იხ. ცხრილი 16).

IV კატეგორიაში დომინირებს სირთულის ნარატივი: „რთულია“ დაახლოებით 70%; „ძალიან რთულია“ დაახლოებით 14%; „მარტივია“ მხოლოდ დაახლოებით 5%. I და II კატეგორიებში სურათი საპირისპიროა: „მარტივია/ძალიან მარტივია“ I: დაახლოებით 81%; II: დაახლოებით 69%; „რთულია“ I: დაახლოებით 15%; II: დაახლოებით 17%


სტატისტიკური ტესტი ( $\chi^2 = 174.38$ ;  $p < 0.001$ ) და ეფექტის ზომა (Cramér's  $V = 0.31$ ) მიუთითებს, რომ კავშირი ზომიერად ძლიერია. ეს ნიშნავს, რომ ორგანიზაციული მასშტაბი პირდაპირ ცვლის საკრედიტო არხების ხელმისაწვდომობის აღქმას, რაც უფრო მაღალია კომპანიის კატეგორია, მით უფრო მარტივად აფასებენ ფინანსებაზე წვდომას.

ცხრილი N 16. *ჯვარედინი ცხრილი: საწარმოს კატეგორია / დაფინანსებაზე წვდომა*

საწარმოს კატეგორია / დაფინანსებაზე წვდომა	არც რთულია და არც მარტივი	მარტივია	რთულია	ძალიან მარტივია	ძალიან რთულია	პასუხის გარეშე
მეოთხე	8 (3.9%)	10 (4.9%)	142 (69.6%)	0 (0.0%)	29 (14.2%)	15 (7.4%)
მეორე	3 (10.3%)	18 (62.1%)	5 (17.2%)	2 (6.9%)	1 (3.4%)	0 (0.0%)
მესამე	1 (2.1%)	12 (25.0%)	23 (47.9%)	0 (0.0%)	9 (18.8%)	3 (6.2%)
პირველი	0 (0.0%)	18 (66.7%)	4 (14.8%)	4 (14.8%)	1 (3.7%)	0 (0.0%)
სდპ	0 (0.0%)	0 (0.0%)	1 (50.0%)	0 (0.0%)	0 (0.0%)	1 (50.0%)

Chi-square	174.38
p-value	0.00
Cramér's V	0.31

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ



დიაგრამა N 11. *საწარმოს კატეგორია / დაფინანსებაზე წვდომა*

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

დროში დაფინანსებაზე წვდომის ცვლილება უმეტესად არ შეცვლილა.

ყველა კატეგორიაში „არ შეცვლილა“ მერყეობს დაახლოებით 86%-96%-ის ფარგლებში. (იხ. ცხრილი 17).

თუმცა I და II კატეგორიებში ფიქსირდება მცირე, მაგრამ ხილული ზრდის ნიშნები: „უმნიშვნელოდ გაიზარდა“ შეადგენს დაახლოებით 11%-ს. ეს მიუთითებს, რომ დაბალი ან საშუალო გაუმჯობესება პირველ რიგში მსხვილ კომპანიებში ჩანს.


ეფექტის ზომა (Cramér's V = 0.18) მიუთითებს, რომ კავშირი ზომიერია, რაც ადასტურებს: ცვლილება მასშტაბური არ არის, თუმცა ზედა კატეგორიები მაინც აჩვენებენ მცირე პოზიტიურ მიკროდინამიკას.

ცხრილი N 17. *ჯვარედინი ცხრილი: საწარმოს კატეგორია / დაფინანსებაზე წვდომის სიმარტივე*

საწარმოს კატეგორია / დაფინანსებაზე წვდომის სიმარტივე	არ შეცვლილა	უმნიშვნელოდ გაიზარდა	შემცირდა	პასუხის გარეშე
მეოთხე	181 (88.7%)	3 (1.5%)	5 (2.5%)	15 (7.4%)
მეორე	25 (86.2%)	3 (10.3%)	1 (3.4%)	0 (0.0%)
მესამე	46 (95.8%)	0 (0.0%)	1 (2.1%)	1 (2.1%)
პირველი	24 (88.9%)	3 (11.1%)	0 (0.0%)	0 (0.0%)
სდპ	1 (50.0%)	0 (0.0%)	0 (0.0%)	1 (50.0%)

Chi-square	44.51
p-value	0.00
Cramér's V	0.18

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ



დიაგრამა N 12. *საწარმოს კატეგორია / დაფინანსებაზე წვდომის სიმარტივე*

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

კომპანიების გეოგრაფიული განაწილება გვიჩვენებს, რომ მდებარეობა გავლენას ახდენს დაფინანსებაზე წვდომის აღქმაზე, თუმცა ეს გავლენა სუსტია.

თბილისში „მარტივია“ პასუხი შეადგენს დაახლოებით 19.5%-ს, ხოლო „ძალიან მარტივია“ მხოლოდ 2.6%-ს. მიუხედავად ამისა, „რთულია“ კვლავ დომინანტია (დაახლოებით 59%).

ბათუმში სურათი კიდევ უფრო პოლარიზებულია: „მარტივია“ დაახლოებით 18%, მაგრამ „ძალიან რთულია“ აღწევს 21%-ს.

რეგიონულ ქალაქებში (გორი, ქუთაისი, ლენტეხი) „რთულია“ და „ძალიან რთულია“ საერთო ჯამში კვლავ ჭარბობს, თუმცა პროცენტული სხვაობები მერყეობს.

სტატისტიკური ტესტი ( $\chi^2 = 73.84$ ;  $p$  დაახლოებით 0.016) და ეფექტის ზომა (Cramér's V დაახლოებით 0.124) მიუთითებს, რომ ურბანიზაცია ქმნის მცირე უპირატესობას, მაგრამ ეს არ ცვლის საერთო სურათს: ფინანსებაზე წვდომის სირთულე მთლიანობაში დომინანტია, თუნდაც დიდ ქალაქებში.

ცხრილი N 18. *ჯვარედინი ცხრილი: საწარმოს მდებარეობა / დაფინანსებაზე წვდომა*

საწარმოს მდებარეობა / დაფინანსებაზე წვდომა	არც რთულია და არც მარტივი	მარტივია	რთულია	ძალიან მარტივია	ძალიან რთულია	პასუხის გარეშე
2+ ქალაქი	1 (33.3%)	0 (0.0%)	0 (0.0%)	0 (0.0%)	0 (0.0%)	2 (66.7%)
ახალციხე	0 (0.0%)	0 (0.0%)	1 (50.0%)	0 (0.0%)	0 (0.0%)	1 (50.0%)
ბათუმი	0 (0.0%)	8 (18.2%)	25 (56.8%)	1 (2.3%)	9 (20.5%)	1 (2.3%)
გორი	1 (10.0%)	2 (20.0%)	5 (50.0%)	0 (0.0%)	2 (20.0%)	0 (0.0%)
ზუგდიდი	0 (0.0%)	1 (20.0%)	3 (60.0%)	0 (0.0%)	0 (0.0%)	1 (20.0%)
თბილისი	8 (4.2%)	37 (19.5%)	112 (58.9%)	5 (2.6%)	19 (10.0%)	9 (4.7%)
თელავი	0 (0.0%)	2 (22.2%)	5 (55.6%)	0 (0.0%)	0 (0.0%)	2 (22.2%)
ლენტეხი	0 (0.0%)	3 (23.1%)	7 (53.8%)	0 (0.0%)	3 (23.1%)	0 (0.0%)
ოზურგეთი	0 (0.0%)	0 (0.0%)	2 (100.0%)	0 (0.0%)	0 (0.0%)	0 (0.0%)
ქუთაისი	2 (6.2%)	5 (15.6%)	15 (46.9%)	0 (0.0%)	7 (21.9%)	3 (9.4%)

Chi-square	73.84101733
p-value	0.015808156
Cramér's V	0.124409652

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ სექტორების მიხედვით დაფინანსებაზე წვდომის განსხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის ( $p$  დაახლოებით 0.07), ხოლო ეფექტის ზომა მცირეა (Cramér's V დაახლოებით 0.10). მიუხედავად ამისა, გარკვეული

ტენდენციები მაინც ჩანს: სოფლის მეურნეობაში „რთულია“ აღწევს დაახლოებით 71%-ს; მომსახურებაში დაახლოებით 52%; მშენებლობაში დაახლოებით 54%; ვაჭრობაში სურათი ოდნავ რბილდება: „მარტივია“ შეადგენს დაახლოებით 28%.

წარმოების ნიმუში მცირეა (n = 7) და აჩვენებს მაღალი დისპერსიის პროფილს („მარტივია“ დაახლოებით 30% და „რთულია“ დაახლოებით 30%), რაც ინტერპრეტაციას სიფრთხილეს მოითხოვს.

საერთო დასკვნა იგივე რჩება: სექტორი მეორეხარისხოვანი ფაქტორია, ხოლო სისტემურ განსხვავებებს კომპანიის კატეგორია განსაზღვრავს.

ცხრილი N 19. *ჯვარედინი ცხრილი: საქმიანობის სექტორი / დაფინანსებაზე წვდომა*

საქმიანობის სექტორი / დაფინანსებაზე წვდომა	არც რთულია და არც მარტივი	მარტივია	რთულია	ძალიან მარტივია	ძალიან რთულია	პასუხის გარეშე
IT	0 (0.0%)	0 (0.0%)	3 (100.0%)	0 (0.0%)	0 (0.0%)	0 (0.0%)
ვაჭრობა	2 (4.3%)	13 (28.3%)	23 (50.0%)	1 (2.2%)	5 (10.9%)	2 (4.3%)
მომსახურება	4 (4.4%)	17 (18.7%)	47 (51.6%)	3 (3.3%)	16 (17.6%)	4 (4.4%)
მშენებლობა	2 (3.2%)	13 (20.6%)	34 (54.0%)	1 (1.6%)	10 (15.9%)	3 (4.8%)
საკვები	0 (0.0%)	4 (30.8%)	7 (53.8%)	0 (0.0%)	1 (7.7%)	1 (7.7%)
სოფლის მეურნეობა	3 (4.0%)	6 (8.0%)	53 (70.7%)	0 (0.0%)	7 (9.3%)	6 (8.0%)
ფინანსები	1 (11.1%)	2 (22.2%)	5 (55.6%)	0 (0.0%)	1 (11.1%)	0 (0.0%)
წარმოება	0 (0.0%)	3 (30.0%)	3 (30.0%)	1 (10.0%)	0 (0.0%)	3 (30.0%)

Chi-square	54.01
p-value	0.07
Cramér's V	0.10

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

*ფინანსებზე წვდომის განმსაზღვრელი ფაქტორები და ფასის დინამიკა*

ფინანსებზე წვდომის საშუალო ქულები მნიშვნელოვნად იზრდება IV კატეგორიიდან I კატეგორიამდე: IV კატეგორია - 1.99; III - 2.36; II - 3.52; I - 3.74 (მედიანები: III კატეგორიაში - 2, ხოლო I და II კატეგორიებში - 4). ეფექტის ზომა  $\eta^2$  დაახლოებით 0.39 მიუთითებს ძლიერ გავლენაზე, რაც ნიშნავს, რომ კომპანიის ზომა და კატეგორია არა მხოლოდ უკავშირდება წვდომის აღქმას, არამედ მისი მთავარი განმსაზღვრელია.

არაპარამეტრული ტესტიც ადასტურებს იგივე შედეგს ( $H=90.35$ ;  $p<0.001$ ): კომპანიის კატეგორია არის ფინანსებზე წვდომის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი.

ცხრილი N 20. Anova: საწარმოს კატეგორია / ფინანსებზე წვდომის სიმარტივე

საწარმოს კატეგორია / ფინანსებზე წვდომის სიმარტივე	შეფასების საშუალო	სტანდარტული დევიაცია	მედიანა	რაოდენობა
მეოთხე	1.99	0.64	2.00	189
მეორე	3.52	0.99	4.00	29
მესამე	2.36	1.09	2.00	45
პირველი	3.74	1.02	4.00	27
საზოგადოებრივი დაინტერესების პირი	2.00	0.00	2.00	1

ANOVA

F	p-value	$\eta^2$ ( $\eta^2_{\text{partial}}$ )
45.01	0.00	0.39

Kruskal-Wallis:

H	p-value
90.35	0.00

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

სექტორების საშუალო ქულები ერთმანეთთან ძალიან ახლოსაა: მომსახურება - 2.36; მშენებლობა - 2.35; სოფლის მეურნეობა - 2.12; ვაჭრობა - 2.59. წარმოების საშუალო შედარებით მაღალია (3.29), თუმცა ეს ეფუძნება მხოლოდ მცირე ნიმუშს (n=7), რაც ზრდის ვარიაციას და ამცირებს დასკვნის სანდოობას. ეს შედეგი კიდევ ერთხელ ადასტურებს საერთო ტენდენციას: სექტორი უმეტესად მეორეხარისხოვანია, ხოლო ფინანსებზე წვდომის მთავარ განმსაზღვრელად რჩება კომპანიის კატეგორია.

ცხრილი N 21. Anova: საქმიანობის სექტორი / ფინანსებზე წვდომის სიმარტივე

საქმიანობის სექტორი / ფინანსებზე წვდომის სიმარტივე	შეფასების საშუალო	სტანდარტული დევიაცია	მედიანა	რაოდენობა
IT	2.00	0.00	2.00	3
ვაჭრობა	2.59	1.11	2.00	44
მომსახურება	2.36	1.10	2.00	87
მშენებლობა	2.35	1.05	2.00	60
საკვები	2.58	1.08	2.00	12
სოფლის მეურნეობა	2.12	0.70	2.00	69
ფინანსები	2.44	1.01	2.00	9
წარმოება	3.29	1.25	4.00	7

ANOVA

F	p-value	$\eta^2$ ( $\eta^2_{\text{partial}}$ )
1.91	0.07	0.05

Kruskal-Wallis:

H	p-value
9.99	0.19

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

ანოვასა და კრასკალ-უოლისის ტესტების შედეგების გასაღრმავებლად, ორივე ძირითადი საკვლევი ცვლადისთვის - ანგარიშგების ხარისხი და ფინანსებზე წვდომა (ასევე გამოქვეყნებული ინფორმაციის გამოყენებისთვის) გაშვებულ იქნა ერთფაქტორიანი OLS რეგრესია. რეგრესიულმა ანალიზმა გამოავლინა კომპანიის კატეგორია როგორც ძირითადი პრედიქტორი. შედეგები შეჯამებულია ცხრილში N22, ხოლო რეგრესიული შედეგების ცალკეული ცხრილები წარმოდგენილია ნაშრომის სხვადასხვა ნაწილშიც.

ცხრილი N 22. რეგრესიის შედეგების შეჯამება — კომპანიის კატეგორია და დამოკიდებული ცვლადები

მოდელი	დამოკ. ცვლადი	n	R <sup>2</sup>	Adj. R <sup>2</sup>	F	p	ძირ. მიგნება (IV კატ.=საბაზისო)
1	ანგარიშგების ხარისხის ცვლილება	291	0.117	0.105	9.51	<0.001***	კატ.I β=0.60*** კატ.II β=0.29** კატ.III β=-0.04 ns
2	ფინანსებზე წვდომის სიმარტივე	291	0.386	0.378	45.01	<0.001***	კატ.I β=1.75*** კატ.II β=1.52*** კატ.III β=0.36**
3	გასაჯაროებული ინფ. გამოყენება	293	0.507	0.500	73.97	<0.001***	კატ.I β=2.19*** კატ.II β=2.19*** კატ.III β=0.33*

\*\*\*p<0.001 \*\*p<0.01 \*p<0.05 ns = სტატისტიკურად არამნიშვნელოვანი / სექტორი და პოზიცია - ყველა მოდელში ns (p>0.05)

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

სამივე მოდელში კომპანიის კატეგორია სტატისტიკურად მნიშვნელოვანი მაპროგნოზებელი ფაქტორია. ინფორმაციის გამოყენების მოდელი ყველაზე ძლიერია (R<sup>2</sup>=0.507) — კომპანიის კატეგორია განსაზღვრავს განსხვავებების 50.7%-ს.

სექტორი და პოზიცია ყველა მოდელში სტატისტიკურად არამნიშვნელოვანი აღმოჩნდა (p>0.05), რაც ადასტურებს, რომ კომპანიის ზომა - და არა სექტორი ან რესპონდენტის პოზიცია - განსაზღვრავს განსხვავებებს ყველა ცვლადში.

რეგრესიის შედეგები ქმნის მკაფიო სურათს: კომპანიის კატეგორია არის ძლიერი განმსაზღვრელი ფაქტორი. I კატეგორია (β დაახლოებით 1.75; p<0.001), II (β დაახლოებით

1.52;  $p < 0.001$ ) და III (β დაახლოებით 0.36;  $p$  დაახლოებით 0.007) აჩვენებს მნიშვნელოვან გავლენას ფინანსებზე აღქმულ წვდომაზე IV კატეგორიასთან შედარებით.

სექტორული ეფექტები სუსტია: მხოლოდ IT სექტორი ჩანს მნიშვნელოვანი გავლენის მქონე (β დაახლოებით 2.00;  $p$  დაახლოებით 0.001), თუმცა ძალიან მცირე ნიმუში ( $n=3$ ) ზღუდავს ინტერპრეტაციოს შესაძლებლობას.

წარმოება მნიშვნელობის ზღვარზეა (β დაახლოებით 1.29;  $p$  დაახლოებით 0.065), ხოლო დანარჩენი სექტორები სტატისტიკურად არ არის მნიშვნელოვანი.

მთლიანობაში, მოდელი ადასტურებს, რომ ფინანსებზე წვდომის მთავარი განმსაზღვრელი არის კომპანიის კატეგორია ხოლო სექტორის გავლენა მხოლოდ ეპიზოდურად ჩნდება.

ცხრილი N 23. რეგრესიული ანალიზი: ფინანსებზე წვდომის სიმარტივე

ფინანსებზე წვდომის სიმარტივე	კოეფ. სტ.	შეცდომა	t	p	95% CI	p-ს გავლენა
<b>სექტორი</b>						
IT	2.00	0.58	3.45	0.001	[0.86, 3.14]	***
ვაჭრობა	0.59	0.60	0.99	0.325	[-0.59, 1.77]	
მომსახურება	0.36	0.59	0.60	0.547	[-0.81, 1.52]	
მშენებლობა	0.35	0.59	0.59	0.557	[-0.82, 1.52]	
საკვები	0.58	0.65	0.90	0.369	[-0.69, 1.86]	
სოფლის მეურნეობა	0.12	0.59	0.20	0.845	[-1.05, 1.28]	
ფინანსები	0.44	0.67	0.66	0.508	[-0.87, 1.76]	
წარმოება	1.29	0.69	1.85	0.065	[-0.08, 2.65]	
<b>კომპანიის კატეგორია</b>						
მეოთხე / ინტერცეპტი	1.99	0.06	34.21	0.000	[1.88, 2.11]	***
მეორე	1.52	0.16	9.52	0.000	[1.21, 1.84]	***
მესამე	0.36	0.13	2.71	0.007	[0.10, 0.62]	**
პირველი	1.75	0.16	10.59	0.000	[1.42, 2.07]	***
სდპ	0.01	0.80	0.01	0.995	[-1.58, 1.59]	

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

ფასის ცვლილებები მთლიანობაში სტაბილურობისკენ იხრება, განსაკუთრებით IV კატეგორიაში, სადაც „არ შეცვლილა“ შეადგენს დაახლოებით 59%-ს. (იხ. ცხრილი 23).

თუმცა I-III კატეგორიებში სურათი უფრო ცვალებადია: ზრდა

„მნიშვნელოვნად/უმნიშვნელოდ” I: დაახლოებით 37%; III: დაახლოებით 47%; კლება: II: დაახლოებით 21%; I: დაახლოებით 15%.

ეს არამონოტონური სურათი მიუთითებს, რომ მსხვილი კომპანიები აქტიურად გადაადგილდებიან სხვადასხვა საკრედიტო პროდუქტებსა და პირობებს შორის, ზოგ შემთხვევაში ხარჯი მატულობს, ზოგ შემთხვევაში მცირდება.


მცირე კომპანიებისთვის კი ფასი შედარებით უცვლელია. ეფექტის ზომა (Cramér's V = 0.24) მიუთითებს, რომ კავშირი ზომიერია, რაც ადასტურებს, რომ ფასის დინამიკა კომპანიის კატეგორიის მიხედვით განსხვავდება, თუმცა სურათი ერთგვაროვანი არ არის.

ცხრილი N 24. *ჯვარედინი ცხრილი: საწარმოს კატეგორია / დაფინანსების ფასი*

საწარმოს კატეგორია / დაფინანსების ფასი	არ შეცვლილა	მნიშვნელოვნად გაიზარდა	უმნიშვნელოდ გაიზარდა	შემცირდა	პასუხის გარეშე
მეოთხე	129 (58.9%)	14 (6.4%)	46 (21.0%)	0 (0.0%)	15 (6.8%)
მეორე	11 (37.9%)	3 (10.3%)	9 (31.0%)	6 (20.7%)	0 (0.0%)
მესამე	24 (49.0%)	8 (16.3%)	15 (30.6%)	0 (0.0%)	1 (2.0%)
პირველი	13 (48.1%)	6 (22.2%)	4 (14.8%)	4 (14.8%)	0 (0.0%)
სდპ	1 (33.3%)	0 (0.0%)	0 (0.0%)	0 (0.0%)	1 (33.3%)

Chi-square	90.99
p-value	0.00
Cramér's V	0.24

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ



დიაგრამა N 13. საწარმოს კატეგორია / დაფინანსების ფასი

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

ფასის ცვლილებებში სექტორული განსხვავებები უკვე აღწევს სტატისტიკურ მნიშვნელობას, თუმცა ეფექტი კვლავ სუსტია (Cramér's V დაახლოებით 0.12). ვაჭრობასა და მშენებლობაში „მნიშვნელოვნად/უმნიშვნელოდ გაიზარდა“ ჯამურად შეადგენს დაახლოებით 29-33%-ს. მომსახურების სექტორში დომინირებს სტაბილურობა: „არ შეცვლილა“ დაახლოებით 55%, ხოლო „უმნიშვნელოდ გაიზარდა“ დაახლოებით 27%.

საკვების სექტორში ერთდროულად ჩანს როგორც ზრდის, ისე კლების მაღალი წილები (თითოეული დაახლოებით 21%), რაც შესაძლოა განპირობებული იყოს პროდუქტის ციკლებით და სეზონური ფასების მერყეობით.

დასკვნა: ფასის დინამიკა, განსხვავებით „სუფთა წვდომისგან,“ უფრო მეტად დამოკიდებულია სექტორზე, თუმცა ეფექტი მაინც ზომიერია. ეს მიუთითებს, რომ საკრედიტო ხარჯების ცვლილება შეიძლება იყოს დაკავშირებული კონკრეტული სექტორის ოპერაციულ გარემოსთან და ბაზრის პირობებთან.

ცხრილი N 25. *ჯვარედინი ცხრილი: საქმიანობის სექტორი / დაფინანსების ფასი*

საქმიანობის სექტორი / დაფინანსების ფასი	არ შეცვლილა	მნიშვნელოვნად გაიზარდა	უმნიშვნელოდ გაიზარდა	შემცირდა	პასუხის გარეშე
IT	3 (100.0%)	0 (0.0%)	0 (0.0%)	0 (0.0%)	0 (0.0%)
ვაჭრობა	29 (60.4%)	7 (14.6%)	7 (14.6%)	1 (2.1%)	2 (4.2%)
მომსახურება	52 (54.7%)	5 (5.3%)	26 (27.4%)	4 (4.2%)	4 (4.2%)
მშენებლობა	36 (54.5%)	7 (10.6%)	15 (22.7%)	2 (3.0%)	3 (4.5%)
საკვები	3 (21.4%)	1 (7.1%)	5 (35.7%)	3 (21.4%)	1 (7.1%)
სოფლის მეურნეობა	43 (53.1%)	9 (11.1%)	17 (21.0%)	0 (0.0%)	6 (7.4%)
ფინანსები	6 (66.7%)	1 (11.1%)	2 (22.2%)	0 (0.0%)	0 (0.0%)
წარმოება	6 (54.5%)	1 (9.1%)	2 (18.2%)	0 (0.0%)	1 (9.1%)

Chi-square	50.39
p-value	0.02
Cramér's V	0.12

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

#### 4.3 დამატებითი ინდიკატორები: SME-ების დამოკიდებულებები რეფორმის მიმართ

ამ ნაწილში გაანალიზებულია დამატებითი მაჩვენებლები რაც SME-ების კვლევის დროს შეგროვდა და რაც რეფორმის კონტექსტის ახსნას აადვილებს. ეს მაჩვენებლები მოიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს. სიღრმისეულად შეფასდა ცვლადები, რომლებიც აჩვენებენ სტატისტიკურად მნიშვნელოვან გავლენას და მათი ახნა მნიშვნელოვანია, ხოლო

მოკლედ განხილულია ის ცვლადები, რაც სტატისტიკურად მნიშვნელოვნად არ გამოვლინდა.

*რეფორმის ცნობადობა და გატარებული ცვლილებები*


როდესაც რესპონდენტებმა უპასუხეს კითხვას, შეამჩნიეს თუ არა ბუღალტრულ სფეროში ცვლილებები რეფორმის შემდეგ, დაახლოებით 70% პასუხობს, რომ ცვლილებები ნამდვილად მოხდა. მხოლოდ 17% ამბობს „არ ვიცი“, რაც აჩვენებს, რომ ცოდნა და ცნობიერება უკვე არსებობს: კომპანიებმა დაინახეს, რომ რეფორმამ მათ საქმიანობაში რაღაც შეცვალა. (იხ. დიაგრამა 14).

საკითხი, სადაც პოზიცია ასევე მკაფიოა, არის ბუღალტრული მომსახურების ფასის ზრდა. აქ დაახლოებით 61% ამბობს, რომ ფასი გაიზარდა, რაც ნიშნავს, რომ კომპანიებს დასჭირდათ დამატებითი რესურსი ან სპეციალისტი, რათა რეფორმის მოთხოვნები შეესრულებინათ. ეს ნიშნავს, რომ რეფორმის მოთხოვნების შესრულება ძველი რესურსებით შეუძლებელი იქნებოდა, და კომპანიებს მოუწიათ ახალი ცოდნის ან მომსახურების მოზიდვა. თუმცა, ეს ცოდნა ჯერ კიდევ არ არის საკმარისი იმისთვის, რომ რეფორმა აღქმულ იქნას როგორც რეალური სარგებელი.

როდესაც უპასუხეს კითხვას, როგორ აფასებენ რეფორმას, პასუხები ხშირად ნეიტრალურია: ანუ არც უარყოფენ, არც ადასტურებენ. ბევრ საკითხზე 50-70%-მდე პასუხობს „არც ვეთანხმები, არც უარყოფ.“ ეს ტიპური სურათია იმ რეფორმებისთვის, სადაც პროცედურები შეიცვალა, მაგრამ შედეგები ჯერ არ ჩანს მკაფიოდ, მაგალითად, დროის ეკონომია, ფინანსური სარგებელი ან ეფექტიანობა.

ასე რომ ბუღალტრულ მომსახურებაზე ფასის ზრდამ ჯერ ვერ გამოიწვია დამოკიდებულებების ცვლილება. კომპანიები ჯერ კიდევ არ თვლიან, რომ გაზრდილ ხარჯს მოაქვს უკეთესი ხარისხის ანგარიშგება ან ფინანსური სარგებელი მათთვის. ამიტომ საჭიროა პრაგმატული კომუნიკაცია, კონკრეტული მაგალითები, ქეისები და ბენჩმარკები, რომლებიც აჩვენებს, როგორ შეიძლება სტანდარტიზებულმა ანგარიშგებამ რეალურად გააუმჯობესოს საკრედიტო პირობები: დაბალი პროცენტი, სწრაფი დამტკიცება, ნაკლები უზრუნველყოფა.

ასეთი კომუნიკაცია დაეხმარება ბიზნესს გააცნობიეროს რეფორმის რეალური სარგებელი და დაინახოს, როდის შეიძლება ეს სარგებელი რეალურად გამოჩნდეს.



დიაგრამა N 14. რეფორმის მიმართ არსებული დამოკიდებულებები და პრაქტიკა  
წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

კომპანიის კატეგორიასა და რეფორმასთან დაკავშირებულ გამოწვევებს შორის არსებობს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი ( $\chi^2 = 68.11$ ;  $p < 0.001$ ;  $V = 0.17$ ).

ასოციაცია სუსტი-ზომიერია, მაგრამ ტენდენცია აშკარაა:

IV კატეგორია ძირითადად ნეიტრალურია, არც უარყოფს, არც ეთანხმება.

I და II კატეგორიები უფრო ხშირად გამოხატავენ უარყოფით დამოკიდებულებას.

III კატეგორია პოლარიზებულია, ერთდროულად იზრდება როგორც თანხმობა, ისე უარყოფა.


ეს შედეგი ლოგიკური ჩანს კომპანიების კატეგორიებს შორის რესურსების ასიმეტრიიდან გამომდინარე: რაც უფრო მაღალია კომპანიის კატეგორია და მეტი შიდა რესურსი გააჩნია, მით ნაკლებია „ტკივილი“ მოთხოვნებთან ადაპტაციის პროცესში.

ცხრილი N 26. *ჯვარედინი ცხრილი: საწარმოს კატეგორია / გამოწვევები*

საწარმოს კატეგორია / გამოწვევები რეფორმასთან მიმართებაში	არ ვეთანხმები	არც ვეთანხმები და არც უარვყოფ	ვეთანხმები	კატეგორიულად არ ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები	პასუხის გარეშე
მეოთხე	58 (28.4%)	71 (34.8%)	29 (14.2%)	11 (5.4%)	20 (9.8%)	15 (7.4%)
მეორე	19 (65.5%)	9 (31.0%)	0 (0.0%)	1 (3.4%)	0 (0.0%)	0 (0.0%)
მესამე	11 (22.9%)	14 (29.2%)	9 (18.8%)	4 (8.3%)	9 (18.8%)	1 (2.1%)
პირველი	14 (51.9%)	13 (48.1%)	0 (0.0%)	0 (0.0%)	0 (0.0%)	0 (0.0%)
სდპ	1 (50.0%)	0 (0.0%)	0 (0.0%)	0 (0.0%)	0 (0.0%)	1 (50.0%)

Chi-square	68.11
p-value	0.00
Cramér's V	0.17

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ



დიაგრამა N 15. საწარმოს კატეგორია / გამოწვევები რეფორმასთან მიმართებაში  
წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

*გამოწვევების სტატისტიკური ანალიზი*

ANOVA უზრუნველყოფს ლოგიკურ თანმიმდევრობას: კროსტაბულაციით გამოვლენილი ტენდენციები გადამოწმდეს საშუალო მნიშვნელობების დონეზე, რათა გამოვლინდეს, რამდენად სისტემურია განსხვავებები.

1. საქმიანობის სექტორი და რეფორმის გამოწვევები

საშუალო მონაცემები განსხვავდება სექტორებს შორის:

ყველაზე მაღალი გამოწვევები დაფიქსირდა წარმოებაში (M=3.14) და სოფლის მეურნეობაში (M=3.04); ყველაზე დაბალი: ვაჭრობაში (M=2.59) და ფინანსებში (M=2.67). თუმცა, ANOVA არ ადასტურებს სისტემურ განსხვავებას (F = 0.88; p = 0.53;  $\eta^2_{\text{partial}}$  დაახლოებით 0.02; Kruskal-Wallis H = 8.02; p = 0.33). ეს ნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ზოგ სექტორში გამოწვევები უფრო შესამჩნევია, სტატისტიკურად ეს განსხვავებები უმნიშვნელოა.

2. კომპანიის კატეგორია და რეფორმის გამოწვევები

აქ განსხვავება უფრო თვალსაჩინოა:

ყველაზე მაღალი საშუალო გამოწვევები დაფიქსირდა III კატეგორიაში (M=3.18) და IV-ში (M=2.94);

ყველაზე დაბალი: II (M=2.28) და I (M=2.48) კატეგორიებში.

სტატისტიკურად განსხვავება მნიშვნელოვანია (ANOVA F = 4.95; p < 0.001;  $\eta^2_{\text{partial}}$  დაახლოებით 0.06; Kruskal-Wallis H = 19.49; p < 0.001), თუმცა ეფექტის ზომა მცირე-ზომიერია.

ეს ნიშნავს, რომ რაც უფრო დიდი და მოწესრიგებულია კომპანია, მით ნაკლებად აღიქვამს რეფორმას გამოწვევად, ხოლო პატარა კომპანიებში გამოწვევები უფრო შესამჩნევია.

ცხრილი N 27. Anova: საწარმოს კატეგორია / გამოწვევები

საწარმოს კატეგორია / გამოწვევები	შეფასების საშუალო	სტანდარტული დევიაცია	მედიანა	რაოდენობა
მეოთხე	2.94	1.06	3.00	189
მეორე	2.28	0.53	2.00	29
მესამე	3.18	1.25	3.00	45
პირველი	2.48	0.51	2.00	27
სდპ	2.00		2.00	1

NOVA

F	p-value	$\eta^2$ ( $\eta^2_{\text{partial}}$ )
4.95	0.00	0.06

Kruskal-Wallis:

H	p-value
19.49	0.00

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

ცხრილი N 28. Anova: საქმიანობის სექტორი / გამოწვევები

საქმიანობის სექტორი / გამოწვევები	შეფასების საშუალო	სტანდარტული დევიაცია	მედიანა	რაოდენობა
IT	3.00	1.73	2.00	3
ვაჭრობა	2.59	1.04	2.00	44
მომსახურება	2.89	1.03	3.00	87
მშენებლობა	2.82	1.03	3.00	60
საკვები	2.92	1.24	3.00	12
სოფლის მეურნეობა	3.04	1.04	3.00	69
ფინანსები	2.67	0.87	2.00	9
წარმოება	3.14	0.90	3.00	7

ANOVA

F	p-value	$\eta^2$ ( $\eta^2_{\text{partial}}$ )
0.88	0.53	0.02

Kruskal-Wallis:

H	p-value
8.02	0.33

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

*რეგრესიული ანალიზი*

1. ძირითადი ფაქტორები

რეგრესიის შედეგები ადასტურებს, რომ კომპანიის კატეგორია არის სტაბილური და ძლიერი განმსაზღვრელი ფაქტორი რეფორმის შედეგებთან და დაკავშირებულ აღქმებთან მიმართებით. პოზიცია და სექტორი უმეტეს შემთხვევაში გავლენას არ ახდენს.

2. ფინანსებზე წვდომის აღქმა

პოზიციებისა და სექტორების გავლენა არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი, სისტემური განსხვავება არ ჩანს.

კომპანიის კატეგორია აშკარად მოქმედებს:

I კატეგორია:  $\beta$  დაახლოებით 1.75;  $p < 0.001$

II კატეგორია:  $\beta$  დაახლოებით 1.52;  $p < 0.001$

III კატეგორია:  $\beta$  დაახლოებით 0.36;  $p$  დაახლოებით 0.007

ეს ნიშნავს, რომ დიდი კომპანიები ფინანსებზე წვდომას უფრო მარტივად აღიქვამენ, ვიდრე IV კატეგორია.

წარმოება ( $\beta$  დაახლოებით 1.29;  $p$  დაახლოებით 0.065) შესაძლოა მიანიშნებდეს ტენდენციას, მაგრამ მცირე ნიმუშის გამო დასკვნა ფრთხილად უნდა გაკეთდეს.

3. ცვლილებები ბუღალტერიაში

I და II კატეგორიებში ცვლილებების აღქმა სტატისტიკურად მნიშვნელოვანია:

I კატეგორია:  $\beta$  დაახლოებით 1.29;  $p < 0.001$

II კატეგორია:  $\beta$  დაახლოებით 0.97;  $p < 0.001$

III კატეგორიაში ეფექტი არ არის მნიშვნელოვანი.

ეს ადასტურებს, რომ დიდი კომპანიები ან უფრო აქტიურად ახორციელებენ ცვლილებებს, ან უკეთ აქვთ დოკუმენტირებული, რაც ზრდის მათი ხილვადობას.

4. რეფორმის გამოწვევები

IV კატეგორია წარმოადგენს მაღალ საბაზისო დონეს ( $\beta$  დაახლოებით 2.94;  $p < 0.001$ ).

II კატეგორია:  $\beta$  დაახლოებით -0.67;  $p$  დაახლოებით 0.001

I კატეგორია:  $\beta$  დაახლოებით -0.46;  $p$  დაახლოებით 0.028

III კატეგორიის ეფექტი არ არის მნიშვნელოვანი.

ეს ნიშნავს, რომ რაც უფრო დიდი და მოწესრიგებულია კომპანია, მით უფრო ნაკლებად აღიქვამს რეფორმას გამოწვევად.

4. ანგარიშგების ხარისხი

ფინანსების სექტორში მაღალი ცვალებადობა (SD დაახლოებით 0.73), მაგრამ სტატისტიკურად ეს განსხვავებები არ დასტურდება.

IT სექტორის მაღალი საშუალო (M დაახლოებით 3.33) მცირე ნიმუშის გამო (n = 3) ვერ განიხილება როგორც ზოგადი ტენდენცია.

ცხრილი N 29. რეგრესიული ანალიზი: საწარმოს კატეგორია / ცვლილებები ბუღალტერიაში

საწარმოს კატეგორია / ცვლილებები ბუღალტერიაში	კოეფ.	სტ. შეცდომა	t	p	95% CI	p-ს გავლენა
მეთხე / ინტერცეპტი	1.34	0.05	25.56	0.000	[1.24, 1.45]	***
მეორე	0.97	0.14	6.71	0.000	[0.68, 1.25]	***
მესამე	-0.15	0.12	-1.29	0.197	[-0.38, 0.08]	
პირველი	1.29	0.15	8.65	0.000	[0.99, 1.58]	***
სდპ	-0.34	0.72	-0.47	0.635	[-1.77, 1.08]	

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

ცხრილი N 30. რეგრესიული ანალიზი: საწარმოს კატეგორია / გამოწვევები რეფორმასთან მიმართებით

საწარმოს კატეგორია / გამოწვევები რეფორმასთან მიმართებით	კოეფ.	სტ. შეცდომა	t	p	95% CI	p-ს გავლენა
მეთხე / ინტერცეპტი	2.94	0.07	39.92	0.000	[2.80, 3.09]	***
მეორე	-0.67	0.2	-3.3	0.001	[-1.06, -0.27]	**
მესამე	0.23	0.17	1.38	0.168	[-0.10, 0.55]	
პირველი	-0.46	0.21	-2.21	0.028	[-0.87, -0.05]	*
სდპ	-0.94	1.02	-0.93	0.355	[-2.94, 1.06]	

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

კავშირი ძლიერია რეფორმის დადებითი გავლენის შეფასებისას

( $\chi^2 = 129.13$ ;  $p < 0.001$ ;  $V = 0.26$ ): რაც უფრო მაღალია კომპანიის კატეგორია, მით უფრო დადებითად აფასებს რეფორმას.

I კატეგორიის კომპანიებში 44%-მა თქვა, რომ „ეთანხმება“ ან „სრულიად ეთანხმება“ რეფორმის დადებით გავლენას.

IV კატეგორიაში უმეტესობა ნეიტრალურია, არც უარყოფს, არც ადასტურებს.

ეს ტენდენცია პირდაპირ ასახავს რეალობას: დიდი ორგანიზაციები უკეთ იყენებენ რეფორმის თანმდევ შესაძლებლობებს.


ცხრილი N 31. გვარედინი ცხრილი: საწარმოს კატეგორია / რეფორმის დადებითი გავლენა

საწარმოს კატეგორია / რეფორმის	არც ვეთანხმები და არც უარყოფ	ვეთანხმები	კატეგორიულად არ ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები	პასუხის გარეშე

დადებითი გავლენა						
მეოთხე	23 (11.3%)	124 (60.8%)	30 (14.7%)	13 (6.4%)	14 (6.9%)	0 (0.0%)
მეორე	3 (10.3%)	17 (58.6%)	5 (17.2%)	3 (10.3%)	1 (3.4%)	0 (0.0%)
მესამე	11 (22.9%)	23 (47.9%)	6 (12.5%)	3 (6.2%)	3 (6.2%)	2 (4.2%)
პირველი	4 (14.8%)	9 (33.3%)	10 (37.0%)	2 (7.4%)	2 (7.4%)	0 (0.0%)
სდპ	0 (0.0%)	1 (50.0%)	1 (50.0%)	0 (0.0%)	0 (0.0%)	0 (0.0%)

Chi-square	129.13
p-value	0.00
Cramér's V	0.26

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ



დიაგრამა N 16. საწარმოს კატეგორია / რეფორმის დადებითი გავლენა  
წყარო: (ავტორის შექმნილი)

სტატისტიკური ანალიზი აჩვენებს, რომ რეფორმის დადებითი გავლენის შეფასება მნიშვნელოვნად განსხვავდება სექტორების მიხედვით ( $\chi^2 = 176.65$ ;  $p < 0.001$ ;  $V = 0.30$ ).

ძირითადი ტენდენციები:

ვაჭრობისა და ფინანსების სექტორებში კომპანიები უფრო ხშირად ეთანხმებიან, რომ რეფორმამ დადებითი გავლენა მოახდინა.

მომსახურებისა და მშენებლობის სექტორებში შეფასებები უფრო ნეიტრალურია - უმეტესობა არც უარყოფს, არც ადასტურებს. აღსანიშნავია, რომ მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის სექტორებში ნეიტრალური პოზიციის მაღალი წილი (60% და 56%) შესაძლოა უკავშირდებოდეს ამ სექტორებისთვის სპეციფიკური სტანდარტების განხორციელების

სირთულეებს, თუმცა ამ კავშირის დეტალური შესწავლა სცდება წინამდებარე კვლევის ფარგლებს და საინტერესო მიმართულებას წარმოადგენს სამომავლო კვლევებისთვის.

ეს ნიშნავს, რომ სექტორი მნიშვნელოვან როლს თამაშობს რეფორმის აღქმაში, თუმცა პოზიტიური დამოკიდებულება განსაკუთრებით ვაჭრობასა და ფინანსებში ჩანს.

*ცხრილი N 32. ჯვარედინი ცხრილი: საქმიანობის სექტორი / რეფორმის დადებითი გავლენა*

საქმიანობის სექტორი / რეფორმის დადებითი გავლენა	არ ვეთანხმები	არც ვეთანხმები და არც უარვყოფ	ვეთანხმები	კატეგორიულად არ ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები	პასუხი ს გარეშე
IT	1 (33.3%)	1 (33.3%)	0 (0.0%)	0 (0.0%)	1 (33.3%)	0 (0.0%)
ვაჭრობა	7 (15.2%)	20 (43.5%)	11 (23.9%)	6 (13.0%)	2 (4.3%)	0 (0.0%)
მომსახურება	13 (14.3%)	56 (61.5%)	13 (14.3%)	5 (5.5%)	4 (4.4%)	0 (0.0%)
მშენებლობა	9 (14.3%)	38 (60.3%)	8 (12.7%)	4 (6.3%)	4 (6.3%)	0 (0.0%)
საკვები	0 (0.0%)	9 (69.2%)	2 (15.4%)	0 (0.0%)	2 (15.4%)	0 (0.0%)
სოფლის მეურნეობა	9 (12.0%)	42 (56.0%)	13 (17.3%)	4 (5.3%)	7 (9.3%)	0 (0.0%)
ფინანსები	0 (0.0%)	3 (33.3%)	5 (55.6%)	1 (11.1%)	0 (0.0%)	0 (0.0%)
წარმოება	2 (20.0%)	5 (50.0%)	0 (0.0%)	1 (10.0%)	0 (0.0%)	2 (20.0%)

Chi-square	176.65
p-value	0.00
Cramér's V	0.30

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

*დამატებითი კითხვები და სუსტი კავშირები*

სტატისტიკურად სუსტი კავშირები ცალკე დაჯგუფდა. მათი ძირითადი შედეგები ასეთია:

1. საწარმოს კატეგორია და ცვლილებები ბუღალტერიაში

( $\chi^2 = 159.14$ ;  $p < 0.001$ ;  $V = 0.39$ ) კავშირი საკმაოდ ძლიერია.

III კატეგორიის კომპანიებში 87.5%-მა და IV კატეგორიაში 76.5%-მა დადებითად უპასუხა ამ შეკითხვას - განახორციელეს თუ არა ცვლილებები ბუღალტერიაში რეფორმის გამო.

ეს ნიშნავს, რომ მიკრო და მცირე კომპანიებს მოუწიათ ცვლილებების განხორციელება და რესურსის ჩადება რომ რეფორმაში ჩართულიყვნენ. ამავდროულად კი ნიშნავს, რომ რეფორმის ძირითადი წესები უკვე ინტეგრირებულია მათ ყოველდღიურ საქმიანობაში.

საპირისპიროდ დიდ კომპანიებში ბუღალტრული ცოდნა ხშირად უკვე არსებობს შიდა თანამშრომლებს შორის, ხოლო შიდა რესურსების არსებობა ამცირებს საჭიროებას ცვლილებები განახორციელონ ბუღალტერიაში.

2. საწარმოს კატეგორია და ბუღალტრული მომსახურების ფასი

( $\chi^2 = 35.37$ ;  $p < 0.001$ ;  $V = 0.26$ ) ფასების ცვლილება ერთგვაროვანი არ არის:

II კატეგორიაში 76%-მა და III-ში 58%-მა აღნიშნა, რომ ფასი გაიზარდა, ეს ასახავს უფრო რთულ სერვისებზე მოთხოვნას და შესაბამისობის ხარჯების ზრდას.

IV კატეგორიაში 35%-მა თქვა, რომ ფასი არ შეცვლილა, თუმცა ზრდის ნიშნებიც შეინიშნება.

3. საწარმოს კატეგორია და რეფორმის მიზნები შესრულდა

( $\chi^2 = 84.42$ ;  $p < 0.001$ ;  $V = 0.20$ ) კავშირი სუსტია, მაგრამ ტენდენცია აშკარაა:

IV კატეგორიაში 67% ნეიტრალურია.

I კატეგორიაში 30% ეთანხმება, რომ მიზნები შესრულდა. რაც უფრო მსხვილია კომპანია, მით უფრო ოპტიმისტურად აფასებს რეფორმას.

4. საქმიანობის სექტორი და რეფორმის მიზნები შესრულდა

( $\chi^2 = 82.39$ ;  $p < 0.001$ ;  $V = 0.17$ ) სექტორებს შორის განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, მაგრამ ეფექტი სუსტია:

უმეტეს სექტორში ნეიტრალური შეფასება ჭარბობს.

ვაჭრობა და ფინანსები უფრო პოზიტიურია.

IT და წარმოება მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი, ამიტომ საჭიროა სიფრთხილე ინტერპრეტაციისას.

5. მდებარეობა და გამოწვევები რეფორმასთან მიმართებაში

( $\chi^2$  დაახლოებით 50.68;  $p$  დაახლოებით 0.447;  $V$  დაახლოებით 0.018) კომპანიის მდებარეობას პრაქტიკულად არ აქვს გავლენა გამოწვევების აღქმაზე. ეფექტი ძალიან სუსტია და სტატისტიკურად არ არის მნიშვნელოვანი.

6. მდებარეობა და რეფორმის მიზნები შესრულდა ან/და დადებითი გავლენა მოახდინა

( $\chi^2$  დაახლოებით 167.19;  $p < 0.001$ ;  $V$  დაახლოებით 0.277 და  $\chi^2$  დაახლოებით 167.03;  $p < 0.001$ ;  $V$  დაახლოებით 0.276) ორივე შემთხვევაში ეფექტი ზომიერია:

თბილისში ნეიტრალური შეფასება ჭარბობს, თუმცა პოზიტიური პასუხებიც ბევრია.

რეგიონებში სურათი განსხვავებულია, ზოგან ოპტიმიზმი, სხვაგან სკეპტიციზმი.

4.4 SME-ების აღქმებისა და დამოკიდებულებების ცვლილება 2019 წლიდან 2025 წლამდე ანგარიშგების რეფორმის შეფასებისას 2019 და 2025 წლების მონაცემებს შორის პირდაპირი შედარება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა კითხვების შინაარსი რეალურად ემთხვევა. 2019 წლის კვლევაში გამოყენებული იყო უფრო მარტივი, ტიპის კითხვები, ხოლო 2025 წელს, დეტალური შეფასებები, ძირითადად ლიკერტის სკალაზე. ეს განსხვავება ნიშნავს, რომ მხოლოდ შინაარსობრივად იდენტურ ინდიკატორებზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნები. ამასთან, ნიმუშების ზომა და სტრუქტურაც განსხვავებულია: 2019 წელს გამოკითხვაში მონაწილეობდა 74 რესპონდენტი, ხოლო 2025-ში - 311.

დემოგრაფიული და პროფესიული პროფილი 2025 წელს რესპონდენტების ასაკი ოდნავ შემცირებულია, რაც მიუთითებს „გახალგაზრდავების“ ტენდენციაზე.

2019 წელს უმრავლესობა წარმოადგენდა მაღალ პოზიციებს:

- მთავარი ბუღალტერი - 38%,
- ბუღალტერი - 27%,
- მენეჯერი - 18%.

2025 წელს კი ლიდერობენ:

- ბუღალტრები - დაახლოებით 37%,
- ფინანსური მენეჯერები / ფინანსური როლები - დაახლოებით 25%.


ეს ცვლილება მიუთითებს პროფესიული სტრუქტურის „გაბრტყელებაზე“, სადაც ყოველდღიურ ოპერაციებთან დაკავშირებული პოზიციები უფრო ფართოდ არიან წარმოდგენილი.

სტაჟი (>5 წელი)

ორივე წელს თითქმის იდენტურია:

- 2019-ში - 61%,
- 2025-ში - 59%.

ეს ნიშნავს, რომ კარიერული გამოცდილება და ასაკობრივი დიაპაზონი რადიკალურად არ შეცვლილა. თუმცა 2025 წლის მონაცემებში მაინც შეინიშნება ახალგაზრდა პროფესიონალების ინტეგრაცია, რაც გამოიხატება მაღალი პოზიციების წილის შემცირებაში და როლების დივერსიფიკაციაში.




დიაგრამა N 17. პროფესიული პროფილი 2019 და 2025 წლების კვლევებში  
წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

ანგარიშგების რეფორმის შეფასებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ის, თუ როგორ იცვლება კომპანიების დამოკიდებულება „ცოდნის“ და „ჩართულობის“ მიმართ დროთა განმავლობაში. 2019 წლის კვლევის ფარგლებში მხოლოდ 38% რესპონდენტმა მიიჩნია, რომ კარგად იყო ინფორმირებული რეფორმის მოთხოვნების შესახებ. ეს მაჩვენებელი ასახავდა იმდროინდელ ზედაპირულ ცოდნას, რომელიც ძირითადად ეფუძნებოდა ზოგად ცნობიერებას და არა ცვლილებების სისტემურ გაგებას.

2025 წლის მონაცემები აჩვენებს მკვეთრად განსხვავებულ სურათს: კომპანიების 93% უკვე მონაწილეობს რეფორმაში. თუმცა აქ უნდა აღინიშნოს, რომ „მონაწილეობა“ უფრო ოპერაციულ აქტივობას გულისხმობს, ვიდრე ღრმა ცოდნას. მიუხედავად იმისა, რომ „ინფორმირებულობა“ და „ჩართულობა“ სხვადასხვა ტიპის ინდიკატორებია, მათი თანადაკვირვება გვაძლევს შესაძლებლობას დავინახოთ ტენდენცია, როგორ გადავიდა სისტემა ზედაპირული ცოდნიდან პრაქტიკულ შესაბამისობამდე. (იხ. დიაგრამა 18).

ეს ცვლილება განსაკუთრებით თვალსაჩინოა იმ ფონზე, რომ 2025 წლის კვლევაში ანგარიშგების გამჟღავნების დონე საკმაოდ მაღალია. თუმცა, ამავე დროს, ანგარიშგების გამოყენება კომპანიების ან ინვესტორების მიერ რჩება შეზღუდულად, განსაკუთრებით IV კატეგორიის კომპანიებში. ეს ნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ კომპანიები აქტიურად მონაწილეობენ რეფორმაში, მათი უნარები, გამოიყენონ ეს ინფორმაცია ეფექტურად, ჯერ კიდევ არ არის სრულად განვითარებული.

ამრიგად, 2019 წლის „პოტენციური ცოდნა“ 2025-ში გარდაიქმნა პრაქტიკულ ჩართულობად, რაც მიუთითებს სისტემურ პროგრესზე. თუმცა, ამ პროგრესს თან ახლავს ახალი გამოწვევები - კერძოდ, როგორ გადავიდეს ორგანიზაციული ჩართულობა ინფორმაციის რეალურ გამოყენებაზე, განსაკუთრებით მცირე ზომის ანუ IV კატეგორიის კომპანიებში.



დიაგრამა N 18. 2019-2025 წლების შედარება: რეფორმის გაგება და რეფორმაში მონაწილეობა  
წყარო: შედგენილია ავტორის მიერ


ანგარიშგების რეფორმის მიმართ დამოკიდებულება 2019 წლიდან 2025 წლამდე პერიოდში მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციის გზას გადის. 2019 წლის საბაზისო კვლევაში კომპანიების დაახლოებით 81% გამოხატავდა პოზიტიურ მოლოდინს რეფორმის შედეგების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისთვის მათი ფაქტობრივი ინფორმირებულობა და რეფორმასთან შეხება საკმაოდ შეზღუდული იყო. ეს ოპტიმიზმი მეტწილად ეფუძნებოდა მოლოდინს, ვიდრე გამოცდილებას. (იხ. დიაგრამა 19).


2025 წლის მონაცემები აჩვენებს განსხვავებულ სურათს: პრაქტიკული გამოცდილებისა და ყოველდღიური ადაპტაციის ფონზე კომპანიების პოზიცია მნიშვნელოვნად შეიცვალა. ახლა უკვე დომინირებს ნეიტრალური დამოკიდებულება. კომპანიები ნაკლებად გამოხატავენ მკაფიო თანხმობას ან უარყოფას რეფორმის დადებითი გავლენის შესახებ, რაც აშკარად განსხვავდება 2019 წლის მოლოდინებისგან.

ეს ცვლილება ლოგიკურია და ასახავს იმ სხვაობას, რომელიც წარმოიშობა მოლოდინებსა და რეალურ გამოცდილებას შორის. თავდაპირველი ოპტიმიზმი, რომელიც 2019 წელს არსებობდა, 2025-ში გადადის ნეიტრალურ ფაზაში, სადაც კომპანიები ხშირად ირჩევენ პოზიციას „არც ვეთანხმები და არც უარყოფ.“ ეს ნარატივი შეიძლება

მიუთითებდეს ორ შესაძლო მიზეზზე: ერთი მხრივ, ეფექტის სუსტი მატერიალიზაცია, ანუ რეფორმის შედეგები ჯერ კიდევ არ იგრძნობა სრულად; მეორე მხრივ, ინფორმაციის გამოყენების ბარიერები, მაგალითად, სტანდარტების ინტეგრაციის სირთულე შიდა პროცესებში ან კომუნიკაციის დაბალი ხარისხი კრედიტორებსა და ინვესტორებთან.

ამრიგად, რეფორმის ზეგავლენის აღქმა 2019-2025 წლებში გადადის ოპტიმისტური მოლოდინებიდან პრაქტიკულ რეალობამდე, სადაც პოზიციები უფრო ფრთხილი და დაკვირვებულაია. ეს განსხვავება ხაზს უსვამს იმ საჭიროებას, რომ რეფორმის ეფექტიანობის შეფასება უნდა ეფუძნებოდეს არა მხოლოდ მოლოდინებს, არამედ რეალურ გამოცდილებას და რეფორმაში ორგანიზაციების ინტეგრაციის შედეგად გამოვლენილ შედეგებს.






დიაგრამა N 19. 2019 და 2025 წლების კვლევების შედარება რეფორმის შედეგიანობის შესახებ  
წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

#### 4.4.1 ანგარიშგების ხარისხთან დაკავშირებული დამოკიდებულებების შედარება

ანგარიშგების ხარისხის შეფასება 2025 წლის მონაცემებში გამოირჩევა გარკვეული ნეიტრალურობით. რესპონდენტების დაახლოებით სამი მეოთხედი აღნიშნავს, რომ ანგარიშგების ხარისხი „არ შეცვლილა“, რაც მიუთითებს იმაზე, რომ რეფორმის შედეგად მიღებული ცვლილებები ჯერ არ აღიქმება, როგორც ხარისხობრივი გაუმჯობესება. ამ ფონზე განსაკუთრებით თვალსაჩინოა გამჟღავნებული ანგარიშგების გამოყენების დაბალი დონე, რაც ყველაზე მკვეთრად ვლინდება IV კატეგორიის კომპანიებში.

საპირისპირო სურათი ფიქსირდება I და II კატეგორიებში, სადაც ინფორმაციის გამოყენების პრაქტიკა მნიშვნელოვნად მაღალია. ეს მიუთითებს იმაზე, რომ მსხვილი ზომის კომპანიებში გამჟღავნებული ანგარიშგება უფრო მეტად გამოიყენება, რაც შესაძლოა უკავშირდებოდეს მათ ოპერაციულ გამართულობასა და სტანდარტების უფრო მარტივ ინტეგრაციას.

2025 წლის აღნიშნული შედეგები წარმოადგენს მნიშვნელოვან კონტრასტს 2019 წლის მაღალ ოპტიმიზმთან შედარებით. იმ პერიოდში კომპანიების დიდი ნაწილი ელოდა, რომ რეფორმა დადებითად იმოქმედებდა საწარმოზე. თუმცა 2019 წელსვე ბუღალტრული უნარების გაძლიერება ტრენინგების გზით მოთხოვნილი იყო. 2025 წლის მონაცემები აჩვენებს, რომ ხარისხის გაუმჯობესება ჯერ არ არის მასობრივად აღქმული. შესაბამისად, რეფორმის ეფექტიანობის შეფასება ამ ეტაპზე უფრო მეტად ეფუძნება ინფორმაციის გამოყენების პრაქტიკულ დონეს, ვიდრე აღქმულ ხარისხობრივ ცვლილებებს.



დიაგრამა N 20. 2019-2025 კვლევების შედეგები: ბუღალტრული სტანდარტების კომპეტენციებიდან ანგარიშების ხარისხამდე  
წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

#### 4.4.2 დაფინანსებაზე წვდომასთან დაკავშირებული დამოკიდებულებების შედარება

2025 წლის მონაცემები აჩვენებს, რომ კომპანიების უმეტესობას დაფინანსებაზე წვდომა რთულად ეჩვენება. ამასთან, რესპონდენტების დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ წვდომის მდგომარეობა წლების განმავლობაში არ შეცვლილა. ფასის ცვლილებებსა და კაპიტალში სესხის წილზე დაკვირვებისას, უმეტეს შემთხვევაში ფიქსირდება სტატუს-ქვო, ანუ არსებული მდგომარეობის შენარჩუნება. 2019 წლის კვლევაში ამ თემაზე ეკვივალენტური კითხვები ნაკლებად გვქონდა, რაც ზღუდავს პირდაპირი შედარების შესაძლებლობას. თუმცა 2025 წლის აღმოჩენები ნათლად აჩვენებს, რომ გამჭვირვალობის ზრდა ავტომატურად არ გარდაიქმნება ფინანსებზე წვდომის გზად. იმისათვის, რომ გამჟღავნებული მონაცემები რეალურად გახდეს ფინანსური წვდომის განმაპირობებელი, საჭიროა დამატებითი

მექანიზმები - განსაკუთრებით ამ ინფორმაციის ხარისხი სანდოობა და დროულობა. ეს საჭიროება განსაკუთრებით თვალსაჩინოა IV კატეგორიის კომპანიებში, სადაც ინფორმაციის გამოყენების დაბალი დონე მნიშვნელოვან ბარიერებს ქმნის.

კომპანიის კატეგორია 2025 წელს თვალსაჩინო ფაქტორია, ხოლო 2019 წელს ეს არ იგრძნობოდა

2025 წლის მონაცემებში კომპანიის კატეგორია იქცა ერთ-ერთ მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად. თითქმის ყველა საკვანძო ინდიკატორში, ანგარიშგების ხარისხის მაჩვენებლები, მისი გამოყენება თუ ფინანსებზე წვდომის სიმარტივე, კატეგორიებს შორის მკაფიო განსხვავებები ფიქსირდება. I და II კატეგორიები გამოირჩევიან უფრო პოზიტიური შეფასებებით, III კატეგორია წარმოადგენს საშუალო ვარიანტს, ხოლო IV კატეგორიაში დომინირებს ნეიტრალური განწყობა და მინიშნება ბარიერებზე/პრობლემებზე. 2019 წლის მცირე ნიმუში და „დიახ/არა” ტიპის კითხვები ნაკლებად აჩენდა ამ ფაქტორს, თუმცა 2025 წლის ლიკერტის ტიპის მონაცემები ამ ფაქტორს სისტემურად ავლენს და აძლიერებს კომპანიების კატეგორიების მიხედვით ანალიზის მნიშვნელობას.

#### *სექტორული განსხვავებები*

სექტორული ჭრილი 2025 წლის მონაცემებში აჩვენებს, რომ რეფორმის მიზნების შესრულება სექტორებს შორის ერთნაირად ხასიათდება, თუმცა რეფორმის დადებითი გავლენა უფრო განსხვავებულია სექტორების მიხედვით. ვაჭრობისა და ფინანსების სექტორებში ოპტიმიზმი შედარებით მაღალია. სოფლის მეურნეობაში სურათი შერეულია, ხოლო მომსახურებისა და მშენებლობის სექტორებში დომინირებს ნეიტრალური პოზიცია. 2019 წლის მონაცემები ამ მხრივ უფრო „მოლოდინის რეჟიმში” იყო და ნაკლებად იძლეოდა დეტალურ სურათს სექტორული განსხვავებების შესახებ.

#### *რა შეიცვალა 2019-2025 წლებში და რას ნიშნავს ეს პრაქტიკაში*

2019 წლის კვლევაში რეფორმის აღქმა ძირითადად ეფუძნებოდა მოლოდინებს და არა გამოცდილებას. კომპანიების დამოკიდებულება იყო აშკარად ოპტიმისტური, თუმცა ეს პოზიცია ნაკლებად იყო გამყარებული ფაქტობრივი ჩართულობით ან სისტემური ცოდნით. 2025 წლის მონაცემები აჩვენებს, რომ ეს მოლოდინები გადაიქცა პრაქტიკულ, ყოველდღიურ პროცესად. რეფორმა უკვე ინტეგრირებულია კომპანიების საქმიანობაში, თუმცა მისი რეალური სარგებელი, ჯერ ფართოდ არ იგრძნობა. ეს არ ნიშნავს უკუსვლას; ეს მიუთითებს, რომ ინსტიტუციონალიზაციის ფაზა დასრულებულია: ჩართულობის დონე მაღალია,

გამჟღავნება სტაბილურია. ახლა საჭიროა შემდეგი ნაბიჯი, გამჭვირვალობის გარდაქმნა ინფორმაციის გამოყენების სიგნალად, რომელიც გავლენას მოახდენს როგორც ბანკების და ინვესტორების გადაწყვეტილებებზე, ასევე შიდა მენეჯმენტის მაჩვენებლებზე (KPIs).

დემოგრაფიულ და პროფესიულ ჭრილში 2025 წელი გამოირჩევა როლების დივერსიფიკაციით და ოპერატიული პოზიციების გააქტიურებით. თუ 2019 წელს მხოლოდ ბუღალტრები გამოიკითხნენ და სხვა პოზიციის თანამშრომლებს სავარაუდოდ არ ექნებოდათ რეფორმის ნიუანსების შესახებ ცოდნა, 2025 წლის კვლევაში უკვე მრავალი პოზიციაა ჩართული და რეფორმის მრავალმხრივი ხედვა არსებობს კომპანიებში.

ამასთან ბუღალტრული სერვისების და გარე რესურსირების ფასები, შესაბამისობის რეგულარული მოთხოვნები და პროცესის ხარჯები ამცირებს ადრინდელ ოპტიმიზმს.

კომპანიის კატეგორია იქცა შედეგების ცენტრალურ განმსაზღვრელად: I და II კატეგორიები უკეთ იყენებენ ანგარიშგებას, აფიქსირებენ უფრო მაღალ ხარისხს და დაფინანსებაზე წვდომაც შედარებით მარტივად აღიქმება. IV კატეგორიაში კი კვლავ დომინირებს ინერცია და ბარიერები, რაც აფერხებს რეფორმის სარგებლის სრულ რეალიზაციას.

სექტორული განსხვავებები შედარებით სუსტია „მიზნების შესრულების“ შეფასებაში, თუმცა „დადებითი გავლენის“ მიმართ უფრო მგრძობიარეა. ვაჭრობისა და ფინანსების სექტორებში ოპტიმიზმი შედარებით მაღალია, რაც მიუთითებს, რომ რეფორმის „მარგი პროდუქტი“ განსხვავდება ეკონომიკური არხების მიხედვით. სოფლის მეურნეობაში სურათი შერეულია, ხოლო მომსახურებისა და მშენებლობის სექტორებში დომინირებს ნეიტრალური პოზიცია.

პოლიტიკის იმპლიკაციები ამ ტრაექტორიიდან საკმაოდ მკაფიოა. თუ 2019-2025 წლების პერიოდი იყო მოლოდინიდან ინსტიტუციონალიზაციამდე გადასვლის ფაზა, მაშინ შემდეგი ეტაპის ამოცანა უნდა იყოს გამჭვირვალობიდან გამოყენებადობამდე გადასვლა. ამისთვის საჭიროა სტანდარტიზებული სქორინგის სისტემები და სექტორული ბენჩმარკები ბანკებისთვის, ასევე პრაქტიკული „დეშბორდები“ მენეჯმენტისთვის. I-II კატეგორიებში ეს მაჩვენებლები შესაძლოა უკვე წარმატებით მუშაობს, ხოლო III-IV კატეგორიებისთვის საჭიროა ტექნიკური მხარდაჭერა, შრომატევადი პროცესების ავტომატიზაცია და „გადამთარგმნელი“ ინტერფეისები, რომლებიც გაამარტივებს კომუნიკაციას ინვესტორებთან და სესხის მიმწოდებელთან. სწორედ ამ გზით შეიძლება 2025 წლის ნეიტრალური პოზიცია

შემდგომ წლებში გარდაიქმნას „მზარდ“ პოზიტივად - როცა ანგარიშგების ხარისხი და მისი აქტიური გამოყენება გარე მომხმარებლების მიერ გახდება არა მხოლოდ ფორმალური, არამედ რეალურად მოტივაციური და მატერიალურად შესამჩნევი.

#### 4.5 გასაჯაროებული ფინანსური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და გამოყენება ფინანსური ინსტიტუტების მიერ

აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის შედეგებისა და ეფექტიანობის შეფასება ხანგრძლივ პერიოდს საჭიროებს. შესაბამისად, ჩვენი კვლევის მიზანი იყო რეფორმის განხორციელების პროცესზე ხანგრძლივი დაკვირვება. 2025 წელს, რეფორმის ამოქმედებიდან ხუთი წლის შემდეგ, ჩატარდა ინტერვიუები საქართველოს სამი წამყვანი კომერციული ბანკის წარმომადგენლებთან, სულ ოთხ პირთან (სამი ინტერვიუ, მათ შორის ერთი ერთობლივად ორ რესპონდენტთან). რესპონდენტები წარმოადგენდნენ მაღალი და საშუალო მენეჯმენტის დონეს და მონაწილეობდნენ SME დაკრედიტების პროცესში. მათი პოზიციები იყო: SME-ების საკრედიტო ანალიზის დეპარტამენტის უფროსი; მიკრო და მცირე ბიზნესის კომერციული მართვის გუნდის ლიდერი; SME საბანკო მომსახურების გუნდის ლიდერი; ფინანსური ანალიზის დეპარტამენტის ხელმძღვანელი. ინტერვიუს კითხვარი მოიცავდა თემებს SME-ების დაფინანსების ტენდენციებზე, საკრედიტო წვდომის სირთულეებზე, ანგარიშგების ხარისხზე, [reportal.ge](http://reportal.ge)-ის გამოყენებაზე, აუდიტის როლსა და რეკომენდაციებზე, რაც SME-ების ანგარიშგების ხარისხს, სანდოობასა და გამოყენებადობას გაზრდის. ინტერვიუების ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი ის იყო, რომ ბანკები მცირე და საშუალო კომპანიების (III და IV კატეგორიები) გასაჯაროებულ ფინანსურ ანგარიშგებებს საკრედიტო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, თითქმის არ ეყრდნობიან. ისინი ანგარიშგებებს მხოლოდ მონაცემების გადამოწმების მიზნით იყენებენ და საკრედიტო ანალიზის მთავარ წყაროდ კვლავ უშუალოდ კომპანიისგან მიღებულ უახლეს ფინანსურ მონაცემებს მიიჩნევენ. (იხ. ცხრილი 32).

ცხრილი N 33. საბანკო სექტორთან ინტერვიუში გამოვლენილი ძირითადი საკითხები

ძირითადი საკითხები	ხსენებების რაოდენობა (3-დან)	სიხშირე
ფინანსური ანგარიშგების დაბალი ხარისხი	3	მაღალი
გასაჯაროებული ინფორმაციის დროულობა	3	მაღალი
რეკომენდაციები ხარისხის გაუმჯობესებისთვის	2	საშუალო

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ ბანკების ერთობლივი შეფასებით, სახელმწიფო პორტალზე გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგებები არ არის საკმარისად სანდო. განსაკუთრებით ეს შეეხება III და IV კატეგორიის კომპანიებს, მცირე და საშუალო ბიზნესების უმრავლესობას, რომლებიც ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (IFRS for SME) მიხედვით აწარმოებენ ანგარიშგებებს და უმეტესად აუდიტორების გარეშე აქვეყნებენ, რადგან ეს მათთვის ნებაყოფლობითია. შესაბამისად, ბანკები სესხის დამტკიცების პროცესში ფინანსურ მონაცემებს პირდაპირ კომპანიებისგან ითხოვენ. მხოლოდ მსხვილი კომპანიების ანგარიშგებები მიიჩნევა შედარებით სანდოდ. 2019 წლის შემდეგ, საბანკო სექტორის შეფასებით, SME-ების ანგარიშგების ხარისხი არსებითად არ გაუმჯობესებულა. ტენდენცია ფიქსირდება მხოლოდ იმ მცირე ნაწილში, სადაც ახალგაზრდა მეწარმეები იყენებენ აღრიცხვის ავტომატიზებულ სისტემებს. თუმცა არსებული ბიზნესების დიდი ნაწილი კვლავ აღრიცხვის ძველ სტილს მიყვება და უწინდებური ხარისხის ინფორმაციას აწვდის ბანკებს.

რესპონდენტების შეფასებით, შემოსავლების სამსახურის საგადასახადო დეკლარაციები ბევრად უფრო სანდოა. ისინი გადის სისტემურ შემოწმებას, მაშინ როდესაც ფინანსური ანგარიშგების პორტალზე მონაცემების წარდგენა აღიქმება მხოლოდ ფორმალურ ვალდებულებად, რომელიც კომპანიების ანგარიშგების რეალურ ხარისხს იშვიათად ასახავს. ამ პრობლემას აძლიერებს კონტროლის მექანიზმების სისუსტე და სისტემური გადამოწმების პრაქტიკის არარსებობა.

აღინიშნა, რომ ბანკებისათვის კრედიტის განხილვისას გადამწყვეტია უახლესი ფინანსური მონაცემები, მიმდინარე წლის ან ბოლო კვარტლის შედეგები. თუმცა, საჯარო ფინანსური ანგარიშგება დაგვიანებით ქვეყნდება: ანგარიშები, როგორც წესი, წინა წლის მონაცემებს მოიცავს და გამოქვეყნდება მხოლოდ მომდევნო წლის მესამე კვარტალში. შესაბამისად გასაჯაროებული ანგარიშგება დაკრედიტების პროცესში მთავარ ინფორმაციულ წყაროდ ვერ გამოდგება. ეს დროითი ჩამორჩენა მნიშვნელოვნად ამცირებს საჯარო მონაცემების გამოყენების შესაძლებლობას საბანკო გადაწყვეტილებებში. ბანკები პორტალის მონაცემებს მხოლოდ მაშინ ამოწმებენ, როდესაც კომპანიისგან წარმოდგენილ მონაცემებში საეჭვო ციფრებსა ან ხარვეზებს აღმოაჩენენ.

ეს მიგნებები ცხადყოფს, რომ რეფორმის მიზნის - ფინანსური გამჭვირვალობის უზრუნველყოფის გზით SME-ების ფინანსებზე წვდომის გაზრდა - მიღწევა შეუძლებელია მხოლოდ ანგარიშგების სავალდებულო გასაჯაროებით. საჭიროა ისეთი დამატებითი

ნაბიჯები, რომლებიც გაზრდის ბანკების ნდობას გასაჯაროებული მონაცემების მიმართ. აღსრულების საკვანძო ელემენტები: ვადების დაცვა, ავტომატური შემოწმებები და მცირე კომპანიებისთვის აუდიტის ხელმისაწვდომობა, არის გარდაუვალი წინაპირობა, რომ საჯარო მონაცემები იქცეს საკრედიტო სიგნალად.

საბანკო სექტორის ხედვით, ფინანსური გამჭვირვალობა პირდაპირ გავლენას ახდენს რისკების შეფასებასა და სესხების გაცემის შესაძლებლობაზე. ამჟამად, საბანკო სექტორი ძირითადად უზრუნველყოფაზე დაფუძნებულ სესხებზეა ორიენტირებული და ნაკლებად იღებს გასაჯაროებულ ფინანსურ ინდიკატორებზე დაყრდნობილ გადაწყვეტილებებს, რაც SME-ების არასათანადო დონის ანგარიშგებებიდან გამომდინარეობს.

რესპონდენტების მოსაზრებით SME-ების ანგარიშგების დაბალ ხარისხს ქვეყანაში შემდეგი დაბრკოლებები იწვევს: ფინანსური წიგნიერების დაბალი დონე, ბიზნესების შიდა ფინანსური ანალიზის სუსტი პრაქტიკა, ტრადიციული სამუშაო ჩვევების შეცვლის სურვილის ნაკლებობა.

ინტერვიუების დროს გამოითქვა რამდენიმე რეკომენდაცია SME-ების ფინანსური ანგარიშგების ხარისხის გასაუმჯობესებლად. რეკომენდაციები საყურადღებოა იმ კუთხით, რომ სწორედ მათი შესრულება გამოიწვევს ბანკებისთვის SME-ების გასაჯაროებული ინფორმაციის სანდოობის ამაღლებას. გამოთქმული რეკომენდაციები სცდება მხოლოდ ფინანსური წიგნიერების ამაღლების საჭიროებას და შეიძლება დაჯგუფდეს სამ ძირითად მიმართულებად:

1. ფინანსური ანგარიშგებების პორტალის ფუნქციონალის გაუმჯობესება: არსებული ავტომატური შემოწმების სისტემის განახლება და ანალიტიკური მექანიზმების დამატება, რომლებიც მონაცემების ლოგიკურ თანხვედრას შეამოწმებს და გაუჯობებს რეკომენდაციებს გაცემს.
2. ფინანსური წიგნიერების ამაღლების ახალი ინიციატივების ხელშეწყობა: გარდა ბუღალტრულ სტანდარტებში კომპანიების პერსონალის გადამზადებისა, ბიზნესებზე მორგებული ბუღალტრული და აუდიტორული კონსულტაციების შეთავაზება SME-ებისთვის და ამ გზით ფინანსური ანალიზის კულტურის განვითარება კომპანიებში.
3. SME-ების ინტეგრაციის წახალისება მსხვილი ფინანსური ინსტიტუტების მიერ გამოყენებულ აღრიცხვის პროგრამებთან, რაც ხელს შეუწყობს რეალურ დროში ფინანსური ინფორმაციის გაცვლას და ბაზარზე ინფორმაციული ასიმეტრიის შემცირებას.

#### 4.6 SME-ების ფინანსური წიგნიერება და მისი გავლენა ანგარიშგების ხარისხსა და ფინანსურ ხელმისაწვდომობაზე

ფინანსური წიგნიერება პირდაპირ მოქმედებს საწარმოს ანგარიშგების ხარისხზე, შიდა ფინანსური მენეჯმენტის გამართულობაზე და, შედეგად, ფინანსებზე ხელმისაწვდომობაზე. როგორც ამ კვლევის სხვა ქვეთავები აჩვენებს, ბანკები SME-ების საჯარო ანგარიშგებას ხშირად ვერ იყენებენ გადაწყვეტილებებში მონაცემების ხარისხისა და დროითი შეუსაბამობის გამო; ამ ფონზე ფინანსური წიგნიერება არის ის ბაზისი, რომლის არქონაც ითარგმნება ცუდ ბუღალტრულ პრაქტიკებსა და ინფორმაციის დაბალ სანდოობაში.

2021 წლის ივნის-ოქტომბერში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (სებ) მონაწილეობა მიიღო „მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსური განათლების“ კვლევაში ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მეთოდოლოგიის ფარგლებში. ადგილობრივმა კონსულტანტმა (კომპანია ACT) განახორციელა სავსელი სამუშაოები საქართველოში და გამოკითხა 1,002 ბიზნესის მფლობელი ან/და ინდივიდუალურ მეწარმე, რათა შეფასებულიყო ფინანსური ცოდნა, ქცევა და დამოკიდებულება ფინანსურ პროდუქტებთან დაკავშირებით; კვლევის ინსტრუმენტი იყო ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კითხვარის ლოკალურად ადაპტირებული ვერსია. ადგილობრივი შედეგები გადაეგზავნა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციას და შევიდა მისი 2021 წლის შედეგებით ანგარიშში (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, 2021; სებ, 2021).

მიუხედავად იმისა, რომ კვლევის მიხედვით SME-ების ფინანსური ცოდნის დონე საშუალოზე მაღალია (დაახლოებით 62%), ეს სუსტად აისახება ქცევებსა და დამოკიდებულებაში. კერძოდ, გამოკითხულთა მხოლოდ დაახლოებით 36% იყენებს ცალ-ცალკე საბანკო ანგარიშებს პირადი და ბიზნეს საჭიროებებისთვის, ხოლო მხოლოდ დაახლოებით 31% ადარებს სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტების შეთავაზებებს ფინანსური სერვისების/პროდუქტების შექმნისას. დამატებით, ბიზნესების მხოლოდ დაახლოებით 50% სარგებლობს ბუღალტრული მომსახურებით; დანარჩენები ფინანსებს თვითონ მართავს და ხშირად ქალაქში დაფუძნებულ ჩანაწერებს ინარჩუნებს პროგრამული უზრუნველყოფის ნაცვლად. ასევე ფიქსირდება ტერიტორიული ასიმეტრია:

თბილისში ფინანსური განათლების დონე უმეტესად მაღალია, ვიდრე რეგიონებში (სებ, 2021; ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, 2021).

საერთაშორისო ჭრილში, საქართველოში მცირე ბიზნესების ფინანსური განათლების ინდექსი 14 მონაწილე ქვეყნიდან (ეს ქვეყნებია: საფრანგეთი, იტალია, გერმანია, ნიდერლანდები, პორტუგალია, რუსეთი, ესპანეთი, თურქეთი, საუდის არაბეთი, პერუ, მექსიკა, ბრაზილია, ჩინეთი და საქართველო) მე-13-ე ადგილს იკავებს მიკრო/მცირე სეგმენტში ( $\leq 9$  დასაქმებული), ხოლო საშუალო სეგმენტში (10-49 დასაქმებული) პოზიცია მე-9-ეა. აღნიშნული განსხვავება მიუთითებს სისტემურ გამოწვევაზე: საჭიროა როგორც ცოდნის გაღრმავება, ისე ფინანსური ქცევისა და დამოკიდებულების ცვლილება (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, 2021) განსაკუთრებით მიკრო და მცირე ბიზნესებს შორის.

მიიჩნევა, რომ ფინანსური წიგნიერება იწვევს სათანადო სწორი აღრიცხვისა და ფინანსური მართვის პროცესებს, რაც ინფორმაციის საბოლოო ხარისხსა და სანდოობას წარმოშობს. ზემოაღნიშნული ქცევითი პროფილი, ბიზნეს და პირადი ანგარიშების განუყოფლობა, სასესხო და საკრედიტო პროდუქტების შედარების მექანიზმების არქონა, ბუღალტრული მხარდაჭერის არასისტემურობა, პირდაპირ აჩვენებს ამ მხრივ პროცესების განვითარების დაბალ დონეზე კომპანიებში. ეს პრობლემები კი რეფორმის მოთხოვნების დანერგვის ბარიერია: თუნდაც არსებობდეს ნორმატიული მოთხოვნები და ფინანსური ანგარიშგების პორტალის გამოყენების აუცილებლობა, დაბალი ფინანსური წიგნიერება და კომპანიების შიდა ანალიტიკის სუსტი კულტურა, გავლენას ახდენს ანგარიშგების შინაარსობრივ ხარისხზე, დროულობასა და შესაძარისობაზე. სწორედ ამიტომ, ბანკებთან ინტერვიუებში ფიქსირდება საჯარო ანგარიშგების დაბალი გამოყენება და კომპანიებისგან დამატებით მოთხოვნილ უახლეს შიდა მონაცემებზე დაყრდნობის პრაქტიკა. საჯარო ანგარიშგების მონაცემები ჯერჯერობით ვერ აკმაყოფილებს საბანკო მოთხოვნებს სანდოობისა და დროითი შეუსაბამობის გამო.

აღნიშნული კვლევის შედეგები თანხვედრაშია ამ ნაშრომის ემპირიულ მიგნებებთან: სადაც ორგანიზაციის ზომა და შესაბამისად კადრების კომპეტენცია მაღალია (I-II კატეგორიები), იქ ანგარიშგების ხარისხი/გამოყენება გადაწყვეტილებებზე და ფინანსური წვდომა უკეთესია. ფინანსური წიგნიერების დაბალი დონე, განსაკუთრებით მიკრო/მცირე სეგმენტში, ხსნის, რატომ ნარჩუნდება იგივე დონე ანგარიშგების ხარისხში და ფინანსებზე

წვდომაში და რატომ არ ხდება გამჭვირვალობის ავტომატური თარგმნა საკრედიტო პრემიუმად.

ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევებისა და ამ საჯარო კვლევის შედეგების ანალიზი გამოკვეთს შემდეგ კონკრეტულ საჭიროებებს და ბიზნესის მხარდაჭერის მექანიზმებს.

1. კომპეტენციების გაზრდა: მიზნობრივი ტრენინგები ბუღალტერიასა და ფინანსურ ანალიტიკაში, განსაკუთრებით რეგიონებში, სადაც ფინანსური წიგნიერების ინდექსი დაბალია (სებ, 2021; ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, 2021).

2. პროცესების სტანდარტიზაცია: მცირე ბიზნესისთვის შემუშავებული შაბლონები, მონაცემთა მინიმალური პაკეტი, ხარჯების პროგნოზირების მარტივი ინსტრუმენტები - ანგარიშგების ხარისხის ასამაღლებლად.

3. ბანკებთან ინფორმაციის მიმოცვლის ინტერფეისი: სტანდარტიზებული შეფასების სისტემის მოთხოვნების შესაბამისი გზამკვლევები SME-ებისთვის (რა მონაცემი, რა სიხშირით, რა ფორმატით უნდა ჰქონდეთ მისაწოდებელი ბანკებისთვის).

4. დიფერენცირებული სტიმულები: მიკრო/მცირე სეგმენტისთვის ბუღალტრულ მომსახურებაზე ვაუჩერები/კოპინანსირება, რათა ქალაქებში დაფუძნებული აღრიცხვიდან გადავიდნენ ციფრულ აღრიცხვაზე.

5. მონიტორინგი: პერიოდული შემოწმება, რომ შეფასდეს ინტერვენციების ეფექტი (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, 2021; სებ, 2021).

ამრიგად იკვეთება, რომ ფინანსური წიგნიერების დეფიციტი საქართველოში - განსაკუთრებით მიკრო/მცირე სუბიექტებში, არის ძირითადი განმსაზღვრელი, რომელიც აერთიანებს ამ კვლევის სხვა მიგნებებს: დაბალი ხარისხის ანგარიშგება, ბანკების მიერ კომპანიების გასაჯაროვებელი ინფორმაციის არასაკმარისი გამოყენება. შესაბამისად აქცენტი უნდა გაკეთდეს არა მხოლოდ ფორმალურ შესაბამისობაზე, არამედ კომპანიების შიდა შესაძლებლობების გაძლიერებაზე, რომ გამჭვირვალობა გადაითარგმნის სანდო და დროულ სიგნალებად ფინანსურ არხებში.

4.7 საქართველოს ბუღალტრული სტანდარტების ჰარმონიზაცია ევროკავშირის ჩარჩოსთან საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმა ეფუძნება ევროკავშირის ბუღალტრულ დირექტივასთან (Accounting Directive 2013/34/EU) თანმიმდევრულ დაახლოებას. მისი მთავარი მიზანია არა მხოლოდ ტექნიკური შესაბამისობა, არამედ ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ანგარიშგების გამჭვირვალობას, ხარისხს და შედარებადობას. ეს ქმნის სანდო მონაცემთა ბაზას ფინანსური გადაწყვეტილებებისათვის და აძლიერებს ქვეყნის ინტეგრაციას ევროპულ ეკონომიკურ სივრცეში. (ევროკომისია / European Commission, 2013/2023).

რეფორმის განხორციელებისას SARAS-მა მოამზადა შესაბამისობის მატრიცა, რომელიც აჩვენებს, როგორ აისახა ევროკავშირის დირექტივის მოთხოვნები ქართულ კანონმდებლობაში. (SARAS, 2017)

ქვემოთ წარმოდგენილია ევროკავშირისა და საქართველოს მოთხოვნების შედარება (იხ. ცხრილი 33).

ცხრილი N 34. ევროკავშირისა და საქართველოს ბუღალტრული სტანდარტების მოთხოვნები

კომპანიის კატეგორია	EU Accounting Directive მოთხოვნა	საქართველოს მოთხოვნა
საზ. დაინტერესების პირი (სდპ)	IFRS + აუდიტი სავალდებულო	IFRS + აუდიტი სავალდებულო
დიდი კომპანიები	IFRS	IFRS
საშუალო კომპანიები	IFRS ან გამარტივებული	IFRS for SMEs
მცირე/მიკრო კომპანიები	გამარტივებული ანგარიშგება	IFRS for SMEs ან SARAS-ის გამარტივებული

წყარო: (SARAS, 2017)

საქართველოს კანონმდებლობა კომპანიებს ყოფს ოთხ კატეგორიად (I-IV) და განსაზღვრავს შესაბამის სტანდარტებს: სდპ-ები და I კატეგორია - სრული IFRS; II-III კატეგორია - ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (IFRS for SMEs) (სურვილის შემთხვევაში სრული IFRS); IV კატეგორია/მიკრო - IFRS, ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (IFRS for SMEs) ან SARAS-ის გამარტივებული სტანდარტი. აუდიტი სავალდებულოა მხოლოდ მსხვილი კომპანიებისთვის, ხოლო მცირე და მიკრო კომპანიები გათავისუფლებული არიან, რაც პროპორციულობის პრინციპს ასახავს.

ჰარმონიზაციის პრაქტიკული შედეგია reportal.ge - ოფიციალური საჯარო პორტალი, სადაც კომპანიები ტვირთავენ ფინანსურ ანგარიშებს. ეს პლატფორმა ზრდის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ინვესტორებისა და კრედიტორებისთვის და ამცირებს ინფორმაციულ ასიმეტრიას. 2024 წლისთვის პორტალზე 80,000-ზე მეტი ანგარიში იყო გამოქვეყნებული, რაც გამჭვირვალობის ზრდის მკაფიო ინდიკატორია. (SARAS, 2024). ჰარმონიზაციის შემდგომ ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება XBRL-ის (eXtensible Business Reporting Language) გლობალური ციფრული სტანდარტის დანერგვას. XBRL უზრუნველყოფს ფინანსური მონაცემების ავტომატური დამუშავებისთვის შესაფერის სტრუქტურირებულ ფორმატში წარდგენას, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს ანგარიშგების ანალიზს რეგულატორების, ბანკებისა და ინვესტორების მიერ. SARAS აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით, რაც მომავალში შესაძლებელს გახდის ქართული კომპანიების ანგარიშგების საერთაშორისო პლატფორმებზე განთავსებასა და უცხოელ ინვესტორთა ხელმისაწვდომობის გაზრდას ფინანსურ ინფორმაციაზე. XBRL-ის დანერგვის ანალიზი წინამდებარე კვლევის ფარგლებს სცდება, თუმცა ეს მიმართულება მნიშვნელოვან სამომავლო კვლევის თემას წარმოადგენს საქართველოს ციფრული ანგარიშგების განვითარების კონტექსტში.

2023 წელს ევროკავშირმა განაახლა ზომითი ბარიერები და 25%-ით გაზარდა აქტივებისა და ბრუნვის ზღვარი, რათა ინფლაციის ეფექტი აირეკლოს და SME-ებისთვის პროპორციულობის პრინციპი შენარჩუნდეს (ევროკომისია, 2023/2775). ეს ცვლილება მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რადგან მომავალში ჰარმონიზაციის პროცესში შესაძლოა საჭირო გახდეს ადგილობრივი ბარიერების გადახედვა.

ცხრილი N 35. ევროკავშირისა და საქართველოს ზომითი ბარიერები

კატეგორია	საქართველო (ლარი)	ევროკავშირი (EUR)
I კატეგორია	<p>აქტივები &lt; 50 მლნ</p> <p>შემოსავლები &lt; 100 მლნ</p> <p>თანამშრომლები &lt; 250</p>	<p>აქტივები &gt; 25 მლნ</p> <p>შემოსავლები &gt; 50 მლნ</p> <p>თანამშრომლები &gt; 250</p>
II კატეგორია (საშუალო)	<p>აქტივები &lt; 10 მლნ</p> <p>შემოსავლები &lt; 20 მლნ</p> <p>თანამშრომლები &lt; 50</p>	<p>აქტივები ≤ 25 მლნ</p> <p>შემოსავლები ≤ 50 მლნ</p> <p>თანამშრომლები ≤ 250</p>
III კატეგორია (მცირე)	<p>აქტივები &lt; 1 მლნ</p> <p>შემოსავლები &lt; 2 მლნ</p> <p>თანამშრომლები &lt; 10</p>	<p>აქტივები ≤ 5 მლნ</p> <p>შემოსავლები ≤ 10 მლნ</p> <p>თანამშრომლები ≤ 50</p>

IV კატეგორია (მიკრო)	აქტივები < 1 მლნ შემოსავლები < 2 მლნ თანამშრომლები < 10	აქტივები ≤ 450,000 შემოსავლები ≤ 900,000 თანამშრომლები ≤ 10
----------------------	---	---

წყარო: (SARAS, 2017; ევროკომისია 2023)

ამ ეტაპზე საქართველოში IFRS-ის დანერგვამ და საჯარო ანგარიშგების პრაქტიკამ შექმნა საფუძველი ჰარმონიზაციის შემდეგი ეტაპისთვის - მდგრადობის ანგარიშგების ინტეგრაციისთვის. ESG ანგარიშგება მოითხოვს სანდო ფინანსურ მონაცემებს, ამიტომ IFRS-ის სტაბილური გამოყენება აუცილებელი წინაპირობაა. საქართველოში უკვე დასრულებულია ESRS-ის თარგმნა (ევროპული მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტები / European Sustainability Reporting Standards), ხოლო CSRD-ის (კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივა / Corporate Sustainability Reporting Directive) ეტაპობრივი დანერგვა რეკომენდირებულია 2027 წლიდან მსხვილი კომპანიებისთვის. (SARAS, 2024)

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის საქართველოს ჰარმონიზაციის პროცესი გამოირჩევა ინსტიტუციური სიღრმითა და გამჭვირვალობის მექანიზმებით. სომხეთმა ევროკავშირთან გაფართოებული პარტნიორობის შეთანხმების ფარგლებში დააკორექტირა სხვადასხვა კანონი და ნებადართული აქვს ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (IFRS for SMEs), თუმცა პრაქტიკაში დანერგვა არათანაბარია. აზერბაიჯანში IFRS სავალდებულოა საჯარო დაინტერესების პირებისთვის, ხოლო საშუალო და მსხვილი კომპანიები იყენებენ ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (IFRS for SMEs); მცირე საწარმოები კი ადგილობრივ გამარტივებულ წესებს. არც სომხეთს და არც აზერბაიჯანს არ გააჩნიათ საჯარო ანგარიშგების პლატფორმა ან ESRS-ის თარგმანი, რაც საქართველოს უპირატესობას უსვამს ხაზს გამჭვირვალობისა და მდგრადობის ანგარიშგების მზადყოფნის თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, ყველა ქვეყანაში საერთო გამოწვევად რჩება SME-ების შესაბამისობა და ESG ინტეგრაცია, რაც მიუთითებს, რომ ჰარმონიზაცია ჯერ კიდევ მიმდინარე პროცესია და არა დასრულებული შედეგი (European Commission, 2023; SARAS, 2024; NBG, 2024).

შესაბამისად, რეფორმის განვლილ პერიოდში საქართველოში ჩამოყალიბდა სისტემა, სადაც ანგარიშგება საჯაროა, სტანდარტები ერთიანია, ხოლო ზედამხედველობა გამკაცრებულია. ეს გარემო ამცირებს ინფორმაციულ ასიმეტრიას, ზრდის ინვესტორთა ნდობას და ქმნის წინაპირობას მდგრადობის ანგარიშგების განვითარებისთვის საქართველოში. ამ ნაწილში SME-ების როლს შემდეგი სექცია აანალიზებს.

#### 4.7.1 მდგრადობის ანგარიშგების პერსპექტივა და SME-ების როლი

ევროკავშირის ახალი რეგულაციური ჩარჩო - CSRD და მასთან დაკავშირებული ESRS არსებითად ცვლის ანგარიშგების პარადიგმას. CSRD ავალდებულებს კომპანიებს გაამჟღავნონ ინფორმაცია არა მხოლოდ ფინანსურ შედეგებზე, არამედ გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით (ESG) ფაქტორებზე, ორმაგი მატერიალობის პრინციპით (როგორ მოქმედებს ბიზნესი გარემოზე და როგორ მოქმედებს გარემო ბიზნესზე). ეს მიდგომა სრულ თანხვედრაშია ევროპული მწვანე შეთანხმების (European Green Deal) მიზნებთან და ქმნის სტანდარტიზებულ, სანდო მონაცემთა ბაზას ინვესტორებისთვის, ბანკებისთვის და რეგულატორებისთვის (პირველი / 2023; Urban Sandal / ურბან სანდალ, 2024).

საქართველოსთვის ეს ნიშნავს, რომ ჰარმონიზაციის შემდეგ ეტაპზე აუცილებელია მდგრადობის ანგარიშგების ინტეგრაცია. SARAS-მა უკვე თარგმნა ESRS-ის სრული პაკეტი და გეგმავს მისი ეტაპობრივი დანერგვის დაწყებას 2027 წლიდან მსხვილი კომპანიებისთვის, თუმცა ევროკავშირის ბოლო გადაწყვეტილება ESG ანგარიშგების გამარტივების შესახებ (Omnibus რეფორმა, 2025) არსებითად ცვლის ამ პერსპექტივას. ახალი შეთანხმებით, ESG ანგარიშგების ვალდებულება გავრცელდება მხოლოდ ძალიან დიდ კომპანიებზე (>1,000 თანამშრომელი და €450 მლნ ბრუნვა), SME-ები გათავისუფლდებიან სავალდებულო ESG ანგარიშგებისგან, რაც ნიშნავს, რომ საქართველოს ჰარმონიზაციის ტემპი შესაძლოა შენელდეს და 2027 წლის მიზანი გადაიხედოს.

ცხრილი N 36. *ESG ანგარიშგების მოთხოვნები ევროკავშირში. თავდაპირველი გეგმა და Omnibus რეფორმის შემდგომი ცვლილებები*

მახასიათებელი	CSRD-ის თავდაპირველი გეგმა	Omnibus რეფორმის შემდეგ (2025)
გავრცელების სფერო	დიდი კომპანიები + SME-ები ეტაპობრივად	მხოლოდ ძალიან დიდი კომპანიები (>1,000 თანამშრომელი, €450 მლნ ბრუნვა)
მიწოდების ჯაჭვის შემოწმება	ყველა დიდი კომპანია	მხოლოდ უმსხვილესი (>5,000 თანამშრომელი, €1.5 მლრდ ბრუნვა)
ტრანზიციის გეგმები	სავალდებულო ყველა სუბიექტისთვის	ამოღებულია
SME-ები	სავალდებულო ESG ანგარიშგება 2027 წლიდან	გათავისუფლებული სავალდებულო ESG ანგარიშგებისგან; ნებაყოფლობითი VSME რჩება

ადმინისტრაციული ტვირთი	მაღალი SME-ებისთვის	მნიშვნელოვნად შემცირებული (80%-ზე მეტი კომპანია გათავისუფლდა)
------------------------	---------------------	---

წყარო: (Council of the European Union / ევროსაბჭო, 2025)

SME-ებისთვის ევროკავშირმა 2025 წელს შემოიღო ნებაყოფლობითი სტანდარტი - VSME (Voluntary Sustainability Reporting Standard for SMEs / ნებაყოფლობითი მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) რომელიც ამცირებს ადმინისტრაციულ ტვირთს და უზრუნველყოფს ESG მონაცემების პროპორციულ გამჟღავნებას, განსაკუთრებით იმ მცირე კომპანიებისთვის, რომლებიც თანამშრომლობენ ბანკებთან ან დიდ პარტნიორებთან. (European Commission, 2025).

საქართველოს შემთხვევაში ეროვნული ბანკი (სეზ) ასრულებს სტრატეგიულ როლს მდგრადი ანგარიშგების განვითარებაში. სეზ-მა შეიმუშავა გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი ანგარიშგებისა და გამჟღავნების პრინციპები (ESG Reporting & Disclosure principles) და 2023 წელს ESG გზამკვლევი (ESG Guidelines), რომლებიც ბანკებს ავალდებულებს ESG რისკების იდენტიფიცირებასა და ანგარიშგებას. გარდა ამისა, 2022 წელს დამტკიცდა მდგრადი დაფინანსების ტაქსონომია (Sustainable Finance Taxonomy - ეკონომიკური საქმიანობების კლასიფიკაცია გარემოსდაცვითი და სოციალური მიზნების მიხედვით), ხოლო 2024 წელს დაინერგა ESG რისკების რადარი (ESG Risk Radar - ინსტრუმენტი, რომელიც აფასებს სექტორულ ESG რისკებს და ქმნის რისკების ვიზუალურ რუკებს). ეს მექანიზმები ზრდის მონაცემების ხარისხს, ამცირებს ESG მონაცემების არასწორი ან მოჭვენებითი წარმოდგენის რისკს და აძლიერებს ინვესტორთა ნდობას. (NBG / ეროვნული ბანკი, 2022, 2023, 2024)

SME-ებისთვის ESG ანგარიშგება გამოწვევებთან ერთად ქმნის შესაძლებლობებს. რეგიონული გამოცდილება (აღმოსავლეთ ევროპა, სამხრეთ კავკასია) ცხადყოფს, რომ ESG ანგარიშგების დანერგვა რთულია მცირე კომპანიებისთვის, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ის ზრდის ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობას და საერთაშორისო ინტეგრაციას. პირველი (2025) მიუთითებს, რომ საქართველოში ESG ანგარიშგების დაბალი დონე არა მხოლოდ რეგულაციური მოთხოვნების არარსებობით, არამედ შიდა მმართველობითი ფაქტორებით არის განპირობებული.

სხვა კვლევები მიუთითებენ, რომ SME-ებისთვის ძირითადი დაბრკოლებებია მონაცემთა შეგროვება, სტანდარტების ინტერპრეტაცია და დანერგვის ხარჯები (Sabauri /

საბაური, 2022; Sandal /სანდალ, 2024). თუმცა მეორე მხრივ, ასევე აჩვენებენ, რომ ESG-ის ხარისხიანი შესრულება ზრდის ფინანსურ წვდომას, აუმჯობესებს საკრედიტო პირობებს და ამცირებს რისკებს (Mihalache et al. / მიჰალაში და სხვანი, 2023; Sandal & Sutor / სანდალი და სუტორი/ 2024).

ევროკავშირის Omnibus რეფორმის ფონზე, საქართველოსთვის პრაგმატული გზა არის ეტაპობრივი ჰარმონიზაცია ნებაყოფლობითი სტანდარტების (VSME) გამოყენებით, ტრენინგებით, სტანდარტიზებული შაბლონებით და IT ინფრასტრუქტურის გაძლიერებით, ვიდრე სავალდებულო ESG ანგარიშგების სწრაფი დანერგვით. შესაბამისად, ეროვნული გეგმა უნდა ადაპტირდეს: SME-სთვის სავალდებულო ESG-ის ნაცვლად, შემუშავდეს VSME-ს მინიმალური პაკეტი და განვითარდეს ბანკების მოთხოვნებთან მორგებული შაბლონები, რათა ბიზნესს ჰქონდეს მოტივაცია დაინახოს, როგორ მიიყვანს ანგარიშგება დაფინანსების წყაროსთან.

ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი ნაბიჯები, რომლებიც განხილული ლიტერატურიდან გამომდინარე რეკომენდირებულია საქართველოში SME-ების მდგრადი ანგარიშგების პრაქტიკის დასანერგად:

1. VSME სტანდარტის გამოყენება ეტაპობრივად: მინიმალური ESG მონაცემების მოთხოვნიდან დამატებითი ESG ინფორმაციის გამჟღავნებამდე ეტაპობრივი მოთხოვნები SME-ებისთვის
2. ბანკებთან მონაცემების შეთანხმება: ESG ინფორმაცია უნდა იყოს ხელმისაწვდომი ბანკებისთვის, რადგან ისინი უკვე ითხოვენ ამ მონაცემებს საკრედიტო გადაწყვეტილებების დროს. ეროვნული ბანკის ESG გზამკვლევი და ტაქსონომია ამ პროცესს გაამარტივებს.
3. reportal.ge პლატფორმის გამოყენება იმავე მონაცემებისთვის, რაც ბანკებს მიეწოდება: ფინანსური და ESG მონაცემების ატვირთვა ერთიან სისტემაში ზრდის გამჭვირვალობას და ამცირებს შეცდომების რისკს.
4. ტრენინგები და კონსულტაციები: SME-ებს სჭირდება პრაქტიკული დახმარება, რომ სწორად შეაგროვონ ESG მონაცემები და მოამზადონ ანგარიშები.
5. ტექნოლოგიური მხარდაჭერა: IT სისტემების გაუმჯობესება და მონაცემების გაცვლის მარტივი გზები (მაგ., ავტომატური ინტეგრაცია ბანკებთან) SME-ებს დაეხმარება პროცესის გამარტივებაში.

ამრიგად, ჰარმონიზაციის პროგრესი აშკარაა, თუმცა მდგრადობის ანგარიშგების დანერგვა ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა, რაც კვლევით კითხვაზე პასუხისას მიუთითებს ნაწილობრივ მიღწეულ მიზანზე.

#### 4.8 2018-2024 წლებში რეფორმის განხორციელებისას გამოვლენილი ტენდენციების ექსპერტული შეფასება

ეს ნაწილი აერთიანებს ექსპერტის ხედვას რეფორმის შედეგებზე: SME-ების ანგარიშგების ხარისხზე, ფინანსებზე წვდომასა და ჰარმონიზაციის პროგრესზე

ტექსტი ეფუძნება 2025 წლის ექსპერტული ინტერვიუს თემატურ ანალიზს. ინტერვიუს რესპონდენტი აკადემიური წრის წარმომადგენელია, რომელიც ამ კვლევის თემატიკის წარმატებული მკვლევარია.

ინტერვიუ დისტანციურად ჩატარდა და გაგრძელდა დაახლოებით ერთი საათი. ანალიზი დაყოფილია შემდეგ თემებად:

1. რეფორმასთან დაკავშირებული ხედვის ევოლუცია (2019 → 2025)
2. რეფორმის აღსრულება
3. რეფორმის გავლენა ფინანსურ სექტორზე
4. SME-ების კვლევის შედეგების ანალიზი
5. ESG სტანდარტები და მდგრადობის ანგარიშგების ინტეგრაცია
6. რეკომენდაციები

ინტერვიუს დროს გაანალიზდა სხვა წყაროებიდან უკვე მიღებული მონაცემები: SME-ების გამოკითხვა, საბანკო ინტერვიუები, SARAS-ის ოფიციალური მასალები და ევროკავშირთან ჰარმონიზაციისა და ESG-ის განვითარების მასალები. ამ წყაროების განხილვა და სინთეზი აჩვენებს, როგორ ერწყმის რეფორმის აკადემიური ხედვა პრაქტიკულ რეალობას.

#### *რეფორმასთან დაკავშირებული ხედვის ევოლუცია (2019 → 2025):*

ექსპერტის თქმით, 2019 წელს ბიზნესის განწყობა ოპტიმისტური იყო, თუმცა ტექნიკური ხარვეზები აშკარად არსებობდა. 2019 წლის შემდეგ ხარვეზების ნაწილი დაიხვეწა პრაქტიკაში მიჩვევის გამო, რაც ბუნებრივი პროცესია. პოზიტიური ცვლილება შეინიშნება იქ, სადაც კომპანიებს აუდიტი კანონით არ ევალებათ, მაგრამ ზოგიერთმა მაინც ირჩევს აუდიტის ჩატარებას, რაც ზრდის ანგარიშგების ხარისხსა და სანდოობას. ხარვეზების გარდა

ასევე შემცირდა ხარჯებთან დაკავშირებული პრობლემები. კომპანიებს თავდაპირველად მოუწიათ შესაბამისობისთვის ხარჯების გაწევა და ეს დროთა განმავლობაში შემცირდა, რაც მოსალოდნელი იყო და წინასწარ პროგნოზირებაც შეიძლებოდა.

*რეფორმის აღსრულება:*

ექსპერტის შეფასებით, რეფორმის აღსრულება გარკვეულწილად წინ წავიდა ჩვევების ჩამოყალიბებით და ნებაყოფლობითი აუდიტის პრაქტიკით, თუმცა ეს მხოლოდ ძალიან მცირე რაოდენობის კომპანიებს ეხება. აღსრულების სისტემაში კვლავ სერიოზული ხარვეზებია. მიუხედავად იმისა, რომ SME-ების დიდი ნაწილი ტვირთავს ანგარიშებს, ეს მაჩვენებელი მაღავს სისტემურ პრობლემებს: უმეტესობა ანგარიშგებას ბოლო ვადაზე ასრულებს, რაც მიუთითებს რეგულაციაზე ორიენტირებულ, ფორმალურ მიდგომაზე და არა ბაზარზე ორიენტირებულ გამჭვირვალობაზე.

ექსპერტი ხაზს უსვამს, რომ ვადების დაცვა და ანგარიშგების დროითი ჩამორჩენა რჩება ძირითად ბარიერად. ნაადრევი გამოქვეყნება იშვიათია (მხოლოდ 1%), ხოლო აუდიტის დაბალი გავრცელება ზღუდავს ბანკების ნდობას SME-ების საჯარო ანგარიშგების მიმართ. გარდა ამისა, წარდგენის ვადების დარღვევა კვლავ მაღალია: დაახლოებით 30% შემთხვევებში ვადა ირღვევა, ხოლო 70% ანგარიშს ზუსტად ვადის მოსვლის დროს აქვეყნებს. SME-ების გასაჯაროების საშუალო მაჩვენებელი, რომელიც 80%-ზე ქვემოთაა, კანონის სერიოზული დარღვევაა და არ უნდა შეფასდეს როგორც წარმატებული აღსრულება.

ექსპერტის დასკვნით, რეფორმის აღსრულება ჯერ კიდევ საჭიროებს მკაცრ კონტროლს არა მხოლოდ ხარისხზე, არამედ ვადების დაცვაზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს დროული და გამჭვირვალე ანგარიშგება.

*რეფორმის გავლენა ფინანსურ სექტორზე:*

ფინანსურ სექტორზე რეფორმის გავლენამ დროთა განმავლობაში არსებითი ცვლილებები გამოიწვია. წარსულში ბანკების მთავარი აქცენტი კეთდებოდა უზრუნველყოფაზე და კომპანიის ვებსაიტის ხარისხზე (რაც უკეთესი იყო ვებგვერდი და მეტი ინფორმაცია მოიძიებოდა, მით მეტი შანსი ჰქონდა კომპანიას სესხის მიღებაზე). დღეს კი მესამე მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა პლატფორმაზე გასაჯაროებული ანგარიშგება.

აუდიტირებული ანგარიშგების მქონე კომპანიები განსაკუთრებულ უპირატესობას ინარჩუნებენ, რადგან მათ მონაცემებს ბანკები და სხვა ფინანსური ინსტიტუტები უფრო სანდოდ მიიჩნევენ.

ექსპერტის თქმით, გასაკვირი არ არის, რომ ქართული ბანკები ჯერ კიდევ არ ეყრდნობიან მცირე და მიკრო კომპანიების საჯარო ანგარიშგებას, რადგან მათ იშვიათად აქვთ აუდიტი და წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი ხშირად არასაკმარისია. მიუხედავად ამისა, პროგრესი თვალსაჩინოა, და მოსალოდნელია, რომ ანგარიშგების კულტურა კიდევ უფრო განვითარდება, რათა პლატფორმაზე განთავსებული ინფორმაცია გადამოწმების ერთ-ერთ წყაროდ იქცეს.

ეს პოზიცია ემთხვევა საბანკო ინტერვიუების შედეგებს: ბანკები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მხოლოდ აუდიტირებულ ინფორმაციას იყენებენ საჯარო პორტალიდან, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს გამჭვირვალობის კრიტიკულ მნიშვნელობას ფინანსური გადაწყვეტილებებში.

*SME-ების კვლევის შედეგების ანალიზი:*

მცირე და საშუალო ბიზნესებში რეფორმის აღქმა ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია. კომპანიების დიდი ნაწილი ანგარიშგებას მხოლოდ რეგულაციის შესრულების მიზნით აკეთებს და არ უყურებს, როგორც ბიზნესისთვის ღირებულების შემმატებელ პრაქტიკას.

აუდიტის ნაკლებობა კვლავ რჩება სანდოობის მთავარ ბარიერად, რაც ფინანსურ სექტორთან ურთიერთობას ართულებს.

ამასთან, ანგარიშგების კულტურა ნელ-ნელა ყალიბდება: კომპანიები იწყებენ ინფორმაციის გამჭვირვალობის მნიშვნელობის აღქმას, განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა ESG სტანდარტები და აუდიტი ფინანსურ გადაწყვეტილებებზე გავლენას ახდენს.

პროგრესის დასაჩქარებლად საჭიროა კომუნიკაციის გამარტივება და მიზნობრივი მხარდაჭერა, რათა SME-ებმა დაინახონ ანგარიშგების ღირებულება არა მხოლოდ კანონმდებლობის, არამედ ბაზარზე პოზიციონირების კონტექსტში.

*ESG სტანდარტები და მდგრადობის ანგარიშგების ინტეგრაცია:*

ექსპერტის თქმით, ESG ანგარიშგება საქართველოში ჯერ საწყის ეტაპზეა და ძირითადად დიდ ან ექსპორტზე ორიენტირებულ კომპანიებს ეხება.

ევროკავშირის ბოლო ცვლილებებით SME-ებისთვის ESG მოთხოვნები აღარ იქნება სავალდებულო, რაც ამცირებს წნეხს, მაგრამ ამავე დროს ამცირებს მოტივაციას. მისი შეფასებით, პროგრესი ნელი იქნება, მაგრამ მიმართულება მკაფიოა: ESG სტანდარტები მომავალში გახდება მნიშვნელოვანი ფაქტორი საერთაშორისო ვაჭრობისა და დაფინანსების

პირობებში, ხოლო მცირე კომპანიებისთვის საჭიროა გამარტივებული სახელმძღვანელოები და ეტაპობრივი ინტეგრაცია არსებული აღრიცხვის რეფორმის ფარგლებში, რომ დამატებითი ინდიკატორების წარდგენა უმტკივნეულო იყოს.

*რეკომენდაციები და სამომავლო ნაბიჯები:*

ექსპერტი მიიჩნევს, რომ რეფორმის აღსრულება ჯერ კიდევ ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევაა: საჭიროა ვადების მკაცრი კონტროლი და სტიმულების შექმნა, რათა ანგარიშგება აღიქმებოდეს არა მხოლოდ კანონმდებლობის მოთხოვნად, არამედ ბიზნესის ღირებულების ნაწილად.

აუდიტის ხელმისაწვდომობის გაზრდა მცირე კომპანიებისთვის კრიტიკულია, რადგან სანდოობის პრობლემა პირდაპირ ზღუდავს ფინანსურ სექტორთან ურთიერთობას.

ESG მიმართულებით სწრაფი პროგრესი არ არის მოსალოდნელი, ამიტომ აქცენტი უნდა გაკეთდეს ცნობიერების ზრდაზე და გამარტივებულ ინსტრუმენტებზე, რათა კომპანიებმა დაინახონ ESG როგორც კონკურენტული უპირატესობის შესაძლებლობა.

V თავი. საქართველოს აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის შეფასების პროცესში  
გამოვლენილი შესაძლებლობები, გამოწვევები და სამომავლო პერსპექტივები

### 5.1 ემპირიული შედეგების სინთეზი

მეოთხე თავი აჩვენებს რეფორმის შედეგებს მრავალმხრივ ჭრილში: SME-ების გამოკითხვა, საბანკო ინტერვიუები, OECD-ის კვლევა და ექსპერტის ხედვა მიუთითებენ, რომ საქართველოში აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის ფორმალური ჩარჩო საკმაოდ მყარია და ანგარიშგების გასაჯაროება საშუალოზე მაღალია. თუმცა მცირე და საშუალო ბიზნესის ანგარიშგების გამოყენება შეზღუდულია როგორც კომპანიის შიდა გადაწყვეტილებებში, ისე ბანკების (საქართველოში დაფინანსების ძირითადი მიმწოდებლების) მხრიდან. აუდიტის ნაკლებობა და კომპანიების შიდა რესურსების დეფიციტი ანგარიშგების ხარისხზე აისახება. ბანკები ითხოვენ დროულ და სანდო მონაცემებს, მაგრამ SME-ების გასაჯაროებული ანგარიშგება ამ კრიტერიუმებს ჯერ ვერ აკმაყოფილებს. საქართველოში IFRS და ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (IFRS for SMEs) უკვე დანერგულია და ევროკავშირთან ბუღალტრული ჩარჩოს ჰარმონიზაცია წარმატებულად ფასდება. მდგრადი ანგარიშგება საწყის ეტაპზე და სწრაფი პროგრესი მოსალოდნელი არ არის, ვინაიდან მისი ტემპი დამოკიდებულია ევროკავშირის გადაწყვეტილებებზე.

კვლევითი კითხვების საპასუხოდ მონაცემების ანალიზის საფუძველზე გამოტანილია შემდეგი დასკვნები: SME-ების ანგარიშგების ხარისხი და პრაქტიკული ინტეგრაცია დაფინანსების გადაწყვეტილებებში დაბალია; დაფინანსებაზე წვდომის გამარტივება გამჭვირვალობის ზრდის გზით დამოკიდებულია ანგარიშგების სანდოობაზე და აუდიტზე; აუდიტის დაბალი გავრცელება ზღუდავს ანგარიშგების როლს ინვესტიციების მოზიდვაში. ევროკავშირის ბუღალტრულ სტანდარტებთან ჰარმონიზაცია მიღწეულია, ESG ინტეგრაცია კი საწყის ეტაპზე და სწრაფი პროგრესი მოსალოდნელი არ არის.

კვლევის შედეგების ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოს აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის შედეგები ფინანსური გამჭვირვალობის, ანგარიშგების ხარისხის გაუმჯობესებისა და SME-ების ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის კუთხით მხოლოდ ნაწილობრივ არის დამდგარი. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიების დიდი ნაწილი ასრულებს რეფორმის ფორმალურ მოთხოვნებს, ეს შესაბამისობა ყოველთვის არ გარდაიქმნება რეალურ ეკონომიკურ სარგებლად.

კვლევის შედეგები აჩვენებს მკაფიო განსხვავებებს კომპანიების კატეგორიების მიხედვით. დიდი კომპანიები უკეთესად აინტეგრირებენ სტანდარტებს და ანგარიშგებას იყენებენ როგორც შიდა მართვის, ისე გარე კომუნიკაციის ინსტრუმენტად, მაშინ როცა მცირე კომპანიებში შესაბამისობა ხშირად რჩება ზედაპირულ ვალდებულებად. IV კატეგორიის კომპანიებში დაფინანსებაზე წვდომა ყველაზე რთულად აღიქმება: დაახლოებით 70% მიიჩნევს, რომ წვდომა „რთულია“, ხოლო დამატებით 14% -სთვის ის „ძალიან რთულია.“ „მარტივი“ წვდომა მხოლოდ 5%-ში ფიქსირდება. ეს მონაცემები თანხვედრაშია SARAS-ის სტატისტიკასა და ექსპერტულ ინტერვიუებთან, რომლებიც მიუთითებს ფორმალური შესაბამისობის ზრდაზე, მაგრამ გასაჯაროებული ანგარიშგების ხარისხის ხარვეზებზე.

SME-ების დამოკიდებულებების დროში შედარება (2019-2024) აჩვენებს, რომ რეფორმამდელი მოლოდინები შეიცვალა რეფორმაში პრაქტიკული ჩართულობით, თუმცა გასაჯაროებული ანგარიშგების გამოყენების გამოწვევები გადაუჭრელია. კომპანიები ანგარიშგებას ასაჯაროებენ, მაგრამ ეს ინფორმაცია იშვიათად გამოიყენება საკრედიტო გადაწყვეტილებებში. ბანკებთან ინტერვიუები ხაზს უსვამს პრობლემას: საჯარო ანგარიშგება ხშირად დაგვიანებით ქვეყნდება და არ არის საკმარისად სანდო, რის გამოც კრედიტორები უპირატესობას ანიჭებენ SME-ების უახლეს შიდა მონაცემებს და საგადასახადო დეკლარაციებს.

ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაცია და ESG ანგარიშგება ქმნის ახალ შესაძლებლობებს, მაგრამ ასევე ახალ გამოწვევებს. ევროპული ჩარჩოები (CSRD, ESRS) მკაფიოდ განსაზღვრავს გამჟღავნების წესებს, ხოლო SME-ებისთვის ასევე შემუშავებულია ეტაპობრივი ინტეგრაციის მექანიზმები, რომლებიც ამცირებენ ადმინისტრაციულ ტვირთს. მიუხედავად ამისა, საქართველოში ESG ანგარიშგების დანერგვა ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა და ნებაყოფლობითია. Omnibus-ის რეფორმის შემდეგ მოკლევადიან პერიოდში SME სეგმენტისთვის მოთხოვნების გამკაცრება მოსალოდნელი არ არის, რაც ზრდის საჭიროებას, რომ ადგილობრივად აქცენტი გაკეთდეს ცნობიერებისა და უნარების გაძლიერებაზე, სტანდარტიზებულ შაბლონებსა და ტექნოლოგიურ ინტეგრაციაზე.

საბოლოო ჯამში, ემპირიული სურათი აჩვენებს სამ ძირითად გამოწვევას:

1. ანგარიშგების დროულობა და ხარისხი რჩება კრიტიკულ გამოწვევად: ფორმალური შესაბამისობა ვერ გარდაიქმნება რეალურ სანდოობასა და გამოყენებაში.

2. SME-ებში ფინანსური ანალიზის კულტურა და აუდიტის ხელმისაწვდომობა დაბალია, რაც ზღუდავს ანგარიშგების ღირებულებას საკრედიტო გადაწყვეტილებებში.

3. ანგარიშგების პროცესების ციფრული ტრანსფორმაცია და მონაცემთა გაცვლის მექანიზმები ბანკებსა და რეგულატორებს შორის ჯერ კიდევ არასაკმარისად განვითარებულია, რაც ზრდის ინფორმაციულ ასიმეტრიას.

4. ESG ინტეგრაცია რჩება საწყის ეტაპზე და მისი პროგრესი დამოკიდებულია ევროკავშირის გადაწყვეტილებებზე.

ამ ბარიერების დაძლევა მოითხოვს მიზნობრივ ტრენინგებს, სტანდარტიზებულ შაბლონებს, ტექნოლოგიურ ინტეგრაციას და ბანკებთან კომუნიკაციის გამარტივებას. მხოლოდ ამ გზით შეიძლება გამჭვირვალობა გადაიქცეს რეალურ ეკონომიკურ სარგებლად და რეფორმამ სრულად გაამართლოს თავისი მიზნები.

## 5.2 თეორიული ჩარჩოსა და კვლევითი ჰიპოთეზების შემოწმება

კვლევის ჰიპოთეზაა, რომ რეფორმამ მოკლევადიან პერიოდში ფინანსებზე წვდომა მნიშვნელოვნად ჯერჯერობით ვერ გააუმჯობესა, თუმცა ანგარიშგების ევროსტანდარტებთან შესაბამისობა გაიზარდა. ეს დასკვნა თანხვედრაშია I-II თავებში განხილულ თეორიულ საფუძვლებთან, ინფორმაციული ასიმეტრიისა და სიგნალის გადაცემის თეორიასთან, ასევე ინსტიტუციურ და ლეგიტიმურობის თეორიებთან.

ინფორმაციული ასიმეტრიის თეორია ხსნის, რატომ არის გამჭვირვალე ფინანსური ინფორმაცია კრიტიკული საკრედიტო გადაწყვეტილებებისთვის. როდესაც ბანკებს არა აქვთ დროული და სანდო მონაცემები, ისინი ზრდიან რისკის ფასს ან ზღუდავენ ფინანსურ პროდუქტებზე წვდომას. კვლევის შედეგები ადასტურებს ამ მექანიზმს: საჯარო ანგარიშგება ჯერ კიდევ ვერ ქმნის საკმარის სიგნალს, რადგან მას აკლია დროულობა და სანდოობა. შესაბამისად, გამჭვირვალობა თავისთავად არ განაპირობებს გამოყენებადობას, რაც თანხვედრაშია სიგნალის გადაცემის თეორიის ლოგიკასთან.

ინსტიტუციური და ლეგიტიმურობის თეორიები ხაზს უსვამენ, რომ რეგულაციის მიღება მხოლოდ ფორმალური შესაბამისობის გარანტიაა, მაგრამ მისი ეფექტიანობა დამოკიდებულია აღსრულებაზე და პროფესიულ უნარებზე. ამ კვლევისთვის კრიტიკულ ფაქტორებად იდენტიფიცირდება: ვადების დაცვა/დროითი ჩამორჩენა, აუდიტის გავრცელება და Reportal-ზე ანგარიშგების ხარისხის ავტომატური შემოწმებები, რომლებიც განსაზღვრავს, გადაიქცევა თუ არა გამჭვირვალობა საკრედიტო უპირატესობად.

კვლევის შედეგები მკაფიოდ მიუთითებს SME-ების პრობლემებზე: I-II კატეგორიის კომპანიებში ანგარიშგების ხარისხი და სანდოობა უფრო მაღალია, III კატეგორიაში საშუალო ან დაბალი, ხოლო IV კატეგორიაში ძალიან დაბალი. ეს შედეგი ადასტურებს, რომ მცირე ზომის კომპანიებში ფორმალური შესაბამისობა ხშირად ლეგიტიმაციის შენარჩუნების მცდელობაა, როდესაც კომპანიები იცავენ წესებს ინსტიტუციური მოთხოვნების გამო, მიუხედავად იმისა, რამდენად შეუძლიათ ეფექტიანი ცვლილებები შეიტანონ შიდა პროცესებში და უზრუნველყონ რეალური ხარისხი და სანდოობა.

ინსტიტუციონალიზაციის პროცესი ეტაპობრივია, რაც მოყვება წეს-ჩვეულებების, პროფესიული უნარებისა და აღსრულების თანდათანობით გამყარებას. IV თავი მიუთითებს, რომ 2019 წლის ოპტიმიზმი 2024-ში გადაიზარდა ნეიტრალურ პოზიციებში: კომპანიები ასრულებენ მოთხოვნებს, მაგრამ სარგებელი ჯერ არ არის მკაფიო. ეს აერთიანებს არჩეული თეორიების ორივე მიმართულებას: სიგნალის გადაცემის საჭიროება (ინფორმაციული ასიმეტრიის შემცირება) და ინსტიტუციური სიმყარის საჭიროება (აღსრულება/უნარები), რომელთა კომბინაციაც განსაზღვრავს, როდის იქცევა გამჭვირვალობა ფაქტობრივ საკრედიტო უპირატესობად.

კვლევის შედეგები ამყარებს ჰიპოთეზას: კერძო სექტორში ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესება რეფორმის ფარგლებში გასაჯაროებული ინფორმაციის საფუძველზე ჯერჯერობით არ მომხდარა, თუმცა ანგარიშგების წარდგენის მაჩვენებლები კარგია, ანუ ფორმალური შესაბამისობა უზრუნველყოფილია. რეგრესიული ანალიზი ადასტურებს ამ მიგნებებს, როდესაც გვიჩვენებს, რომ კომპანიის კატეგორია სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ფინანსებზე წვდომის აღქმაში, და ეს მაჩვენებელი არ უმჯობესდება SME-ებში. ბანკების პრაქტიკაც კიდევ ერთხელ ადასტურებს თეორიულ ლოგიკას: ფორმალური შესაბამისობა ვერ იქცევა საკმარის დადებით სიგნალად, ანუ გამჭვირვალობა მხოლოდ მაშინ იქცევა საკრედიტო უპირატესობად, როცა მონაცემები არის სანდო, დროული და ინტეგრირებული საბანკო შეფასების სისტემებში.

SME სეგმენტში ასევე იკვეთება ფინანსური წიგნიერების ამაღლების საჭიროება, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს უნარების გაძლიერების აუცილებლობას. ეს ფაქტორი მოქმედებს როგორც მედიატორი კონცეპტუალურ ჩარჩოში, სადაც რეფორმის გავლენა ფინანსებზე წვდომაზე დამოკიდებულია შიდა პროცესების ხარისხზე, პროფესიულ კაპიტალზე და ინსტიტუციურ გარემოზე.

კვლევის ოთხივე კითხვაზე პასუხი აჩვენებს შემდეგ სურათს:

პირველი კითხვა: SME-ების ფინანსური ანგარიშგების ხარისხი ნაწილობრივ გაუმჯობესდა, თუმცა გამოწვევები რჩება მცირე კომპანიებში, სადაც ფორმალური შესაბამისობა არ გარდაიქმნება რეალურ სანდოობასა და გამოყენებაში.

მეორე კითხვა: ფინანსებზე წვდომა პრაქტიკულად უცვლელია. ბანკები კვლავ ეყრდნობიან SME-ების შიდა მონაცემებს და საგადასახადო დეკლარაციებს, რაც ადასტურებს ინფორმაციული ასიმეტრიის პრობლემას.

მესამე კითხვა: ფინანსური ინსტიტუტების მიერ საჯარო ინფორმაციის გამოყენება დაბალია, რადგან ანგარიშგება ხშირად დაგვიანებით ქვეყნდება და არ აკმაყოფილებს ხარისხისა და დროულობის კრიტერიუმებს.

მეოთხე კითხვა: ჰარმონიზაციის მიმართულებით მიღწეულია მნიშვნელოვანი პროგრესი. სტანდარტების ინტეგრაცია და ანგარიშგების ფორმატების თანხვედრა ევროკავშირის მოთხოვნებთან უკვე მიმდინარეობს, ხოლო ESG ინტეგრაცია ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა და საჭიროებს სტრუქტურულ მხარდაჭერას.

ეს შედეგები ადასტურებს, რომ რეფორმის ეფექტიანობა დამოკიდებულია არა მხოლოდ რეგულაციაზე, არამედ მისი გამოყენების მექანიზმებზე.

კვლევის შეზღუდვები დაკავშირებულია SME-ების თვითშეფასების სუბიექტურობასთან, საჯარო ანგარიშგების არასრულყოფილობასთან და ESG მონაცემების სიმცირესთან. მომავალ კვლევებში მიზანშეწონილია ჩატარდეს გრძელვადიანი ანალიზი ESG ინტეგრაციის გავლენის შესახებ, ბანკების საკრედიტო მოდელების ადაპტაციის პროცესზე და ტექნოლოგიური პლატფორმების როლზე ანგარიშგების დროულობასა და გამოყენებადობაში.

## დასკვნები და რეკომენდაციები

ჩატარებული კვლევების - როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი, სინთეზი ცხადყოფს, რომ საქართველოში განხორციელებულმა ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმამ მნიშვნელოვანი პროგრესი მოიტანა ანგარიშგების გამჭვირვალობისა და ევროსტანდარტებთან შესაბამისობის მიმართულებით. თუმცა, მისი პრაქტიკული ეფექტი ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესებაში ჯერჯერობით შეზღუდულია.

გამოვლენილი გამოწვევებია: ანგარიშგების დროულობა და ხარისხი, SME-ებში ფინანსური ანალიზის კულტურის ნაკლებობა და აუდიტის ხელმისაწვდომობა, ციფრული ტრანსფორმაციის დაბალი დონე და ESG ინტეგრაციის დაბალი ტემპი, რომლის პროგრესი დამოკიდებულია ევროკავშირის გადაწყვეტილებებზე. ქვემოთ მოყვანილი რეკომენდაციები მიზნად ისახავს ამ გამოწვევების დაძლევას.

როგორც ნაშრომის I-II თავებში აღინიშნა, რეფორმის მიზნები მკაფიოდ იყო ორიენტირებული ფინანსური გამჭვირვალობის ზრდაზე, ანგარიშგების ხარისხის გაუმჯობესებაზე და SME-ების ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობაზე. III თავი მიუთითებს, რომ ფორმალური შესაბამისობის მაჩვენებლები მაღალია, მაგრამ ანგარიშგების შინაარსობრივი ხარისხი რჩება გამოწვევად. IV თავი ხაზს უსვამს ქცევით ბარიერებს, ფინანსური წიგნიერების დაბალ დონეს და ტექნოლოგიური ჩამორჩენას, რაც აფერხებს რეფორმის სარგებლის რეალიზაციას.

ბანკების ინტერვიუები ადასტურებს, რომ საჯარო ანგარიშგება საკრედიტო ანალიზში იშვიათად გამოიყენება, რადგან მონაცემები ხშირად დაგვიანებით ქვეყნდება და არ არის საკმარისად სანდო. ESG ინტეგრაცია რჩება საწყის ეტაპზე და მისი ტემპი დამოკიდებულია ევროკავშირის გადაწყვეტილებებზე.

საბოლოო ჯამში, რეფორმამ შექმნა ძლიერი ფორმალური ჩარჩო, მაგრამ მისი ეფექტიანობა დამოკიდებულია ფინანსური ინფორმაციის გაუმჯობესებაზე, პროფესიული უნარების გაძლიერებასა და ტექნოლოგიურ ინტეგრაციაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეფორმის აღსრულების გაძლიერება (ვადების დაცვა/დროითი ჩამორჩენის შემცირება) და SME სეგმენტში აუდიტის ხელმისაწვდომობა, რადგან ბანკები ნდობას ანიჭებენ მხოლოდ აუდიტირებულ და უახლეს მონაცემებს.

### რეკომენდაციები

ზემოთაღნიშნული მიგნებები წარმოადგენს კვლევის ემპირიულ დასკვნებს. შემდეგ ნაწილში წარმოდგენილი რეკომენდაციები ეფუძნება ამ მიგნებებს, თუმცა ასახავს ავტორის ნორმატიულ შეხედულებებს იმის შესახებ, თუ რა ქმედებებია საჭირო რეფორმის ეფექტიანობის გასაძლიერებლად.

რეფორმის ეფექტიანობის გასაძლიერებლად საჭიროა კოორდინირებული ქმედებები სამ ძირითად სამიზნე გუნდს შორის: ბიზნეს სექტორი, აუდიტორულ-ბუღალტრული ფირმები და პოლიტიკის გამტარებლები.

რეკომენდაციები წარმოდგენილია ცალ-ცალკე თითოეული ჯგუფისათვის და ეფუძნება კვლევის შედეგებს. ისინი პასუხობს კვლევით კითხვებს, რომლებიც ეხება ანგარიშგების ხარისხის გაუმჯობესებას, SME-ების ფინანსებზე წვდომას, ბანკების მიერ ინფორმაციის გამოყენებას და ჰარმონიზაციის პროცესს.

*რეკომენდაციები ბიზნეს სექტორისათვის (კომპანიები, განსაკუთრებით SME-ები)*

1. ფინანსური ანალიზის პრაქტიკის გაძლიერება: მიზნობრივი ტრენინგები და კონსულტაციები მენეჯმენტისთვის, რათა ანგარიშგება იქცეს საკრედიტო გადაწყვეტილებების მხარდამჭერ ინსტრუმენტად.

2. შიდა პროცესების ციფრული ტრანსფორმაცია: ციფრული აღრიცხვის სისტემების დანერგვა და ქალაქებში დაფუძნებული პროცესების ჩანაცვლება ელექტრონული ინსტრუმენტებით, რაც უზრუნველყოფს მონაცემების სტრუქტურირებას და ანგარიშგების ეფექტიანობას.

3. ბანკებთან მონაცემთა გაცვლის ავტომატიზაცია: ციფრული პლატფორმების გამოყენება ბანკებთან მონაცემების ავტომატური გადაცემისთვის და სტრუქტურირებული ანგარიშგების შაბლონების დანერგვა, რაც უზრუნველყოფს ანგარიშგების დროულობას და საკრედიტო პროცესებში გამოყენებას.

4. აუდიტის სერვისების მოძიება და გამოყენება, რომელიც ბიზნესის ანგარიშგებას სანდოობას შესძენს.

5. ESG ინტეგრაციისთვის მზადყოფნა: ESG ინტეგრაციისთვის ცნობიერების ამაღლება და მზადყოფნის უზრუნველყოფა, რათა კომპანიებმა ეტაპობრივად მოიპოვონ კონკურენტული უპირატესობა ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაციის პროცესში.

*რეკომენდაციები აუდიტორულ-ბუღალტრული ფირმებისათვის*

1. პროფესიული უნარების გაძლიერება: განგრძობითი სასწავლო პროგრამების ორგანიზება საკუთარი თანამშრომლებისთვის, IFRS და ESG სტანდარტების შესახებ, რათა აუდიტორებმა უზრუნველყონ მაღალი ხარისხის მომსახურება SME-ებისთვის.

2. ხარისხის კონტროლი და ინვესტორების მოთხოვნებთან შესაბამისობა: სტანდარტიზებული ფორმატების დანერგვა და ანგარიშგების შინაარსობრივი ხარისხის მონიტორინგი, რათა SME-ების ანგარიშები გახდეს სანდო და გამოყენებადი. მათ შორის, ბანკების მინიმალური მოთხოვნების გათვალისწინება შაბლონებში.

3. ხელმისაწვდომი სერვისების შეთავაზება SME-ებისთვის: დაბალბიუჯეტური აუდიტისა და კონსულტაციის პაკეტების შექმნა, რათა მცირე კომპანიებმა მიიღონ პროფესიული მხარდაჭერა.

4. ESG კონსულტაციები: პრაქტიკული სახელმძღვანელოების შექმნა და ტრენინგების შეთავაზება ESG ანგარიშგების შესახებ, რათა SME-ები მოემზადონ ეტაპობრივი ჰარმონიზაციისთვის.

#### *რეკომენდაციები პოლიტიკის შემქმნელებისთვის*

1. ანგარიშგების დროულობის მონიტორინგი: ანგარიშგების წარდგენის ვადებისა და დროულობის მონიტორინგის გაძლიერება, რათა საჯარო ინფორმაცია იყოს ხელმისაწვდომი რეალურ დროში და გამოყენებადი საკრედიტო პროცესებში.

2. სტიმულების სისტემა აუდიტორული სერვისების ხელმისაწვდომობისა და ციფრული ტრანსფორმაციისთვის: სერვისების თანადაფინანსებისა ან/და ვაუჩერული პროგრამები SME-ებისთვის აუდიტორული სერვისების მისაღებად და ციფრული აღრიცხვის სისტემების დანერგვის მიზნით.

3. პროფესიული უნარების გაძლიერების დაფინანსება: აუდიტორული ფირმებისა და SME-ების ტრენინგებისა და ბიზნეს კონსულტაციების დაფინანსება IFRS, ფინანსური ანალიზისა და ციფრული აღრიცხვის მიმართულებით.

4. ინსტიტუციური კოორდინაცია და ხარისხის მართვა: Reportal-ის ფუნქციონალის გაუმჯობესება ანგარიშგების ხარისხის გასაზრდელად. მათ შორის ბანკებისა და ინვესტორების რეკომენდაციების შეგროვება და გათვალისწინება კონკრეტული საზომების დანერგვის მიზნით, რათა SME-ების ატვირთული ანგარიშგება იყოს სანდო და გამოყენებადი საკრედიტო ანალიზში.

### სამომავლო კვლევის მიმართულებები

მომავალი კვლევებისთვის არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულება, რომლებიც მიზნად ისახავს რეფორმის ეფექტიანობის შემდგომ ანალიზს. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

რეფორმის აღსრულების დინამიკის ანალიზი: ვადაგადაცილებების შემცირების ტენდენციებისა და ანგარიშგების დროულობის გავლენის შეფასება ბანკების მიერ საჯარო მონაცემების გამოყენების პროცესში.

აუდიტის სერვისების ხელმისაწვდომობის გავლენა: კვლევა, თუ როგორ აისახება აუდიტის სერვისების ხელმისაწვდომობის ზრდა SME-ებისთვის საკრედიტო პროდუქტების დამტკიცების სიჩქარეზე და ფინანსური გადაწყვეტილებების ოპტიმიზაციაზე.

რეფორმის ანგარიშგების პლატფორმის (reportal.ge) ფუნქციონალის განვითარება: მისი შემდგომი გაუმჯობესება ინვესტორებისა და ბანკების მინიმალური მოთხოვნების გათვალისწინებით და ამ გაუმჯობესებების გავლენის შეფასება ანგარიშგების სანდოობასა და გამოყენებაზე.

ციფრული ტრანსფორმაცია და ბიზნეს ანგარიშგების ენის (XBRL - eXtensible Business Reporting Language) სტანდარტის დანერგვა: ანალიზი, თუ როგორ შეუწყობს ხელს ტექნოლოგიური მექანიზმები და XBRL-ის იმპლემენტაცია საქართველოში ფინანსური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდას ინვესტორებისა და კრედიტორებისთვის.

სექტორული ანალიზის გაღრმავება: კვლევა, თუ როგორ განვითარდება რეფორმის გავლენა სხვადასხვა ბიზნეს სექტორზე.

საქართველოს გამოცდილების შედარება გარდამავალი ეკონომიკის მქონე სხვა ქვეყნების გამოცდილებასთან.

## დანართები

### დანართი 1. კერძო სექტორის კვლევის კითხვარი (2019 წელი)

კვლევის თემა:

*„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის რეფორმის გავლენა საქართველოს კერძო სექტორზე“*

1. გთხოვთ მიუთითეთ სქესი:

მამაკაცი

ქალი

2. გთხოვთ მიუთითეთ ასაკი:

25 წლამდე

25-30 წელი

30-35 წელი

35-40 წელი

40 წლის ზევით

3. გთხოვთ მიუთითეთ თქვენი თანამდებობა:

მთავარი ბუღალტერი

ბუღალტერი

ფინანსური მენეჯერი

მენეჯერი / დირექტორი

იურისტი

ფირმის მფლობელი

სხვა (გთხოვთ მიუთითეთ) \_\_\_\_\_

4. მიმდინარე პოზიციაზე მუშაობის ხანგრძლივობა:

1 წელზე ნაკლები

1-3 წელი

3-5 წელი

5 წელზე მეტი

5. როგორ შეაფასებდით დაკავებული პოზიციისთვის საჭირო თქვენს

პროფესიულ უნარებს?

სრულყოფილი

გამორჩეულად კარგი

კარგი

განვითარების პროცესში

საბაზისო

6. რომელი ბუღალტრულ სტანდარტ(ებ)ს იცნობთ?

IFRS

ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (IFRS for SMEs)

IAS / IPSAS

სხვა \_\_\_\_\_

7. როგორ ფლობთ დასახელებულ სტანდარტებს?

სრულყოფილად

ძალიან კარგად

კარგად

საშუალოდ

საბაზისო დონეზე

არ ვიცი

8. საჭიროებთ თუ არა სპეციალურ დახმარებას ბუღალტრული

სტანდარტების სფეროში და რა სახის?

9. გესაჭიროებათ თუ არა ტრენინგი ბუღალტრულ სტანდარტებში?

კი

არა

10. თუ კი, რომელი სტანდარტ(ებ)ში?

11. სასარგებლოა თუ არა ბუღალტრული პროფესიული ასოციაციების

საქმიანობა თქვენთვის? თუ კი, რა კუთხით?

12. იცნობთ თუ არა ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმას?

ზედმიწევნით

კარგად

საშუალოდ

ზოგადად

არ გამიგია

13. თქვენი აზრით, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმა

საქართველოსთვის არის:

დროული

ნაადრევი

დაგვიანებული

არ ვიცი

14. თქვენი აზრით, რამდენად მზად არიან ქართული კომპანიები

რეფორმისთვის?

სრულად მომზადებულნი

მეტ-ნაკლებად მომზადებულნი

არ არიან მომზადებულნი

მიჭირს პასუხის გაცემა

15. თქვენი აზრით, რა გავლენა ექნება რეფორმას კერძო სექტორზე?

16. მიაღწევს თუ არა რეფორმა მიზანს - „ფინანსური გამჭვირვალობისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას“? რატომ?

17. აღნიშნული რეფორმიდან თქვენს დამსაქმებელ კომპანიაზე დადებით გავლენას ელით?

კი

არა

18. იყენებს თუ არა თქვენი დამსაქმებელი კომპანია აუდიტის კომიტეტს ორგანიზაციულ სტრუქტურაში?

კი

არა

19. თქვენი დამსაქმებელი კომპანიის სამართლებრივი ფორმა:

ინდ. მეწარმე

შპს

სააქციო საზოგადოება

სხვა \_\_\_\_\_

20. თქვენი დამსაქმებელი კომპანიის საქმიანობის ადგილი:

21. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის შესაბამისად, რომელ კატეგორიას მიეკუთვნება თქვენი დამსაქმებელი კომპანია?

I

II

III

IV

არ ვიცი

22. გააჩნია თუ არა თქვენს დამსაქმებელ კომპანიას სამეთვალყურეო საბჭო და მენეჯმენტის სხვა საზედამხედველო ორგანოები?

კი

არა

23. იყენებს თუ არა თქვენი კომპანია შიდა აუდიტის?

კი

არა

24. აღწერეთ თქვენი დამსაქმებელი ორგანიზაციის პრობლემა ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგების, აუდიტის და მმართველობითი ანგარიშის წარდგენის კუთხით და როგორ გესახებათ მისი გადაწყვეტის გზები?

25. არსებობს თუ არა თქვენს ორგანიზაციაში ბუღალტრების რანგირების სისტემა (ფინანსური დირექტორი, მთავარი ბუღალტერი, უმცროსი ბუღალტერი, დამხმარე ბუღალტერი)?

კი

არა

26. არსებობს თუ არა თქვენს ორგანიზაციაში მოთხოვნები სერტიფიკატების და დიპლომების მიმართ?

კი

არა

27. ახორციელებს თუ არა თქვენი დამსაქმებელი ორგანიზაცია ბუღალტრების დატრენინგებას, ცალკე მიუთითეთ განგრძობითი განათლების მოთხოვნების მიხედვით?

28. რამდენი ხანია რაც გემსახურებათ არსებული აუდიტორული კომპანია?

1 წელზე ნაკლები

1-3 წელი

3-5 წელი

5 წელზე მეტი

არ მემსახურება

29. გაქვთ თუ არა ინფორმაცია, რომ თქვენს მომსახურე აუდიტორულ კომპანიას გავლილი აქვს ხარისხის კონტროლი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ და თუ გავლილი აქვს რა შედეგით?

30. თუ ცნობილია თქვენთვის, რომ თქვენი აუდიტორული კომპანია იყენებს სპეციალურ აუდიტორულ კომპიუტერულ პროგრამას (პროგრამულ უზრუნველყოფას) და მიუთითეთ რომელს?

31. გთხოვთ დაგვიტოვეთ საკონტაქტო ინფორმაცია (არასავალდებულო).

დანართი 2. კერძო სექტორის განმეორებითი კვლევის კითხვარი (2025 წელი)

კვლევის თემა:

*„ბიზნესის გამოცდილების შეფასება: აღრიცხვის რეფორმის გავლენა დაფინანსების ხელმისაწვდომობაზე“*

მონაწილეთა დემოგრაფია

1. სქესი:

მდედრობითი

მამრობითი

2. ასაკი:

18 წლამდე

18-29

30-39

40-49

50-59

60 და ზევით

3. თქვენი პოზიცია საწარმოში, რომელსაც წარმოადგენთ:

დამფუძნებელი

გენერალური მენეჯერი

საფინანსო განყოფილების თანამშრომელი

ბუღალტრული განყოფილების თანამშრომელი

წარმოების თანამშრომელი

გაყიდვების თანამშრომელი

მარკეტინგის თანამშრომელი

პროექტების მენეჯერი

ადმინისტრაციის თანამშრომელი

სხვა:

4. საწარმოში მუშაობთ:

1 წლამდე

1-დან 3 წლამდე

3-დან 5 წლამდე

5-დან 10 წლამდე

10-დან 20 წლამდე

20 წელი და მეტი

საწარმოს პროფილი

5. საწარმოს იურიდიული ფორმა:

შ.პ.ს.

კოოპერატივი

სააქციო საზოგადოება

სსიპ

ააიპ

არასამთავრობო ორგანიზაცია

სხვა:

6. საწარმოს საქმიანობის ადგილი:

თბილისი

ქუთაისი

ბათუმი

თელავი

გორი

ახალციხე

ზუგდიდი

ლენტეხი

ოზურგეთი

ქვეყნის მასშტაბით 2-ზე მეტ ქალაქშია წარმოდგენილი ფილიალებით

სხვა:

7. საწარმოს საქმიანობის სფერო:

მშენებლობა

ფინანსები

მომსახურება

ვაჭრობა

წარმოება

საინფორმაციო ტექნოლოგიები

საკვები პროდუქტების წარმოება

სოფლის მეურნეობა

სხვა:

8. საწარმოს ფუნქციონირების ხანგრძლივობა:

1 წლამდე

1-დან 3 წლამდე

3-დან 5 წლამდე

5-დან 7 წლამდე

7-დან 10 წლამდე

10-დან 15 წლამდე

15-დან 20 წლამდე

20 წელზე მეტი

9. საწარმოს კატეგორია: (როდესაც ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან მინიმუმ 2-ს აკმაყოფილებს).

პირველი კატეგორია. (კრიტერიუმები: აქტივები > 50 მლნ ლარი; შემოსავალი > 100 მლნ ლარი; დასაქმებული >250 ადამიანი)

მეორე კატეგორია. (კრიტერიუმები: აქტივები < 50 მლნ ლარი; შემოსავალი < 100 მლნ ლარი; დასაქმებული <250 ადამიანი)

მესამე კატეგორია. (კრიტერიუმები: აქტივები < 10 მლნ ლარი; შემოსავალი < 20 მლნ ლარი; დასაქმებული <50 ადამიანი)

მეოთხე კატეგორია. (კრიტერიუმები: აქტივები < 1 მლნ ლარი; შემოსავალი < 2 მლნ ლარი; დასაქმებული < 10 ადამიანი)

სხვა:

10. საწარმო ასაჯაროებს ინფორმაციას portal.ge-ს საშუალებით აუდიტისა და აღრიცხვის რეფორმის მოთხოვნების შესაბამისად:

დიახ

არა

აღრიცხვის რეფორმის გავლენა საწარმოს ანგარიშგებაზე (2018 წლიდან დღემდე)

11. საწარმომ აუდიტისა და აღრიცხვის რეფორმის გამო ცვლილებები შეიტანა ბუღალტრული/ფინანსური აღრიცხვის წარმოებაში. (მაგ. გააფართოვა ბუღალტრის მოვალეობები, გადავიდა ანგარიშგების წარმოების ახალ დონეზე მოცულობით ან ხარისხით).

სწორია

არასწორია

12. საწარმოს აუდიტისა და აღრიცხვის რეფორმის გამო ცვლილებების შეტანა ბუღალტრული/ფინანსური აღრიცხვის წარმოებაში არ დასჭირვებია, რადან მანამდეც იმავე მოცულობისა და ხარისხის ბუღალტრულ სერვისებს იყენებდა.

სწორია

არასწორია

13. საწარმო გამოწვევების წინაშე დგას აუდიტისა და აღრიცხვის

რეფორმის მოთხოვნების შესრულების კუთხით

- კატეგორიულად არ ვეთანხმები
- არ ვეთანხმები
- არც ვეთანხმები და არც უარვყოფ
- ვეთანხმები
- სრულიად ვეთანხმები

14. საწარმოს ბუღალტრული/ფინანსური ანგარიშგების ხარისხი 2018

წლიდან დღემდე:

- მნიშვნელოვნად შემცირდა
- შემცირდა
- არ შეცვლილა
- უმნიშვნელოდ გაიზარდა
- მნიშვნელოვნად გაიზარდა

15. საწარმოს მიერ გამოყენებული ბუღალტრული/აუდიტორული

სერვისის ღირებულება რეფორმის მოთხოვნების შესრულების გამო:

- მნიშვნელოვნად შემცირდა
- შემცირდა
- არ შეცვლილა
- უმნიშვნელოდ გაიზარდა
- მნიშვნელოვნად გაიზარდა

16. საწარმო რეფორმის ფარგლებში გასაჯაროებულ ინფორმაციას მზა

სახით იყენებს შიდა გადაწყვეტილებების პროცესში ან/და ინვესტორისთვის

(ბანკისთვის) წარსადგენად.

- კატეგორიულად არ ვეთანხმები
- არ ვეთანხმები
- არც ვეთანხმები და არც უარვყოფ
- ვეთანხმები
- სრულიად ვეთანხმები

17. 2018 წლიდან დღემდე საწარმოზე რეფორმას ჰქონდა დადებითი

გავლენა:

კატეგორიულად არ ვეთანხმები  
არ ვეთანხმები  
არც ვეთანხმები და არც უარვყოფ  
ვეთანხმები  
სრულიად ვეთანხმები

აღრიცხვის რეფორმის გავლენა საწარმოს დაფინანსებაზე წვდომაზე (2018 წლიდან  
დღემდე)

18. საწარმოსთვის საბანკო ან კერძო დაფინანსებაზე წვდომა:

ძალიან რთულია  
რთულია  
არც რთულია და არც მარტივი  
მარტივია  
ძალიან მარტივია  
ადვილია

19. აღრიცხვის რეფორმის შედეგად საწარმოს დაფინანსებაზე წვდომის

სიმარტივე:

მნიშვნელოვნად შემცირდა  
შემცირდა  
არ შეცვლილა  
უმნიშვნელოდ გაიზარდა  
მნიშვნელოვნად გაიზარდა

20. 2018 წლიდან დღემდე საწარმოს გარე დაფინანსების წილი მთლიან

კაპიტალთან მიმართებით:

მნიშვნელოვნად შემცირდა  
შემცირდა  
არ შეცვლილა  
უმნიშვნელოდ გაიზარდა  
მნიშვნელოვნად გაიზარდა

21. 2018 წლიდან დღემდე საწარმოს მიერ მოზიდული გარე დაფინანსების

ფასი:

მნიშვნელოვნად შემცირდა

შემცირდა

არ შეცვლილა

უმნიშვნელოდ გაიზარდა

მნიშვნელოვნად გაიზარდა

22. 2018 წლიდან დღემდე საწარმოს მომგებიანობა:

მნიშვნელოვნად შემცირდა

შემცირდა

არ შეცვლილა

უმნიშვნელოდ გაიზარდა

მნიშვნელოვნად გაიზარდა

23. 2018 წლიდან დღემდე საწარმოს აქტივების მოცულობა:

მნიშვნელოვნად შემცირდა

შემცირდა

არ შეცვლილა

უმნიშვნელოდ გაიზარდა

მნიშვნელოვნად გაიზარდა

დასკვნითი შეკითხვები: მოსაზრებები რეფორმის შესახებ

24. საქართველოს კერძო სექტორზე რეფორმას 2018 წლიდან დღემდე

ჰქონდა დადებითი გავლენა:

კატეგორიულად არ ვეთანხმები

არ ვეთანხმები

არც ვეთანხმები და არც უარვყოფ

ვეთანხმები

სრულიად ვეთანხმები

25. რეფორმამ მიაღწია მიზანს რომ გაეზარდა ფინანსური გამჭვირვალობა

და ხელი შეეწყო ეკონომიკური ზრდისთვის:

კატეგორიულად არ ვეთანხმები

არ ვეთანხმები

არც ვეთანხმები და არც უარვყოფ

ვეთანხმები

სრულიად ვეთანხმები

26. თქვენი დამატებითი მოსაზრებები რეფორმის ან/და ფინანსზეზე ხელმისაწვდომობის გარემოში.

### დანართი 3. ექსპერტული ინტერვიუს გეგმა (2019 წელი)

კვლევის თემა:

„კერძო სექტორის მზაობა ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმისთვის“

ნაწილი 1: რესპონდენტების პროფილი

სახელი, გვარი

პროფესიული სტატუსი / პოზიცია

ორგანიზაციის დასახელება

პროფესიული გამოცდილება (წლები)

ნაწილი 2: ძირითადი თემები და კითხვები

#### 1. რეფორმის ზოგადი აღქმა

როგორ შეაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის მიზნებს?

თქვენი აზრით, რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს რეფორმას კერძო სექტორზე?

#### 2. პროფესიული კომპეტენციები

როგორია ბუღალტერთა და აუდიტორთა კომპეტენციების დონე საქართველოში?

რა ძირითადი ხარვეზები არსებობს საერთაშორისო სტანდარტების ცოდნაში?

რა ტიპის ტრენინგები ან მხარდაჭერა იქნებოდა საჭირო?

#### 3. რეფორმის დეტალების გაგება

რამდენად ინფორმირებულია კერძო სექტორი რეფორმის მოთხოვნებზე?

რა რისკებს ხედავთ არასაკმარისი ინფორმირებულობის შემთხვევაში?

როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს კომუნიკაცია და ცნობიერების ამაღლება?

#### 4. გამოწვევები

თქვენი აზრით, რა ძირითადი გამოწვევები არსებობს რეფორმის წარმატებით

განსახორციელებლად?

რა ნაბიჯები შეიძლება გადაიდგას ამ გამოწვევების საპასუხოდ?

## 5. რეკომენდაციები

რა არის თქვენი ძირითადი რეკომენდაციები რეფორმის წარმატებული განხორციელებისთვის?  
დამატებითი მოსაზრებები ან საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვანია?

### დანართი 4. ექსპერტული ინტერვიუს გეგმა (2025 წელი)

კვლევის თემა:

„ბუღალტრული რეფორმის შედეგების შეფასება“

#### ნაწილი 1: ზოგადი ინფორმაცია

1. გთხოვთ, მოკლედ აღწეროთ თქვენი როლი და მონაწილეობა საქართველოს ბუღალტრული და აუდიტის რეფორმაში.
2. როგორ შეიცვალა თქვენი ხედვა რეფორმის განხორციელების პროცესზე 2019 წლიდან დღემდე?

#### ნაწილი 2: ბუღალტრული რეფორმის შედეგიანობის შეფასება

3. 2019 წელს ექსპერტული ინტერვიუები მიუთითებდა ბუღალტრების კომპეტენციების ნელ ზრდაზე, განსაკუთრებით SME-ებში. როგორ შეაფასებთ ბუღალტრული კომპეტენციების ამჟამინდელ მდგომარეობას SME-ებში?
4. გაუმჯობესდა თუ არა რეფორმის გაგება კერძო სექტორის კომპანიებში, განსაკუთრებით SME-ებში, 2019 წლის შემდეგ? გთხოვთ, განმარტეთ.
5. რა ძირითადი გამოწვევებს აწყდებიან SME-ები დღეს რეფორმის მოთხოვნებთან შესაბამისობის თვალსაზრისით? გაჩნდა თუ არა ახალი გამოწვევები 2019 წლის შემდეგ?
6. რა ტიპის მხარდაჭერა ან შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებები იყო ეფექტური SME-ების დასახმარებლად? რა ხარვეზები რჩება?
7. 2019 წელს აღინიშნებოდა ბუღალტრული პროგრამების და სპეციალისტების ხელფასების გაზრდილი ხარჯები SME-ებისთვის. როგორ შეიცვალა ეს ხარჯები და რა ფინანსურ წნეხს განიცდიან SME-ები დღეს?
8. გაუმჯობესდა თუ არა SME-ების ფინანსური ანგარიშგების ხარისხი 2019 წლის შემდეგ? როგორ აისახა ეს მათ ფინანსებზე წვდომაზე?

9. ავტორის მიერ ჩატარებული ბოლო კვლევა 300+ ქართულ ბიზნესზე აჩვენებს, რომ მონაწილეთა უმეტესობა გამოცდილი პროფესიონალია, თუმცა მაინც გამოხატავს დამატებითი ტრენინგის ძლიერ საჭიროებას. როგორ განმარტავთ ამ განსხვავებას გამოცდილებასა და ტრენინგის საჭიროებას შორის?
10. კვლევა მიუთითებს, რომ SME-ების მნიშვნელოვანი ნაწილი (განსაკუთრებით III და IV კატეგორიები) არ იყენებს აუდიტის მომსახურებას, რაც შეიძლება გავლენას ახდენდეს ანგარიშგების სანდოობაზე. როგორ შეაფასებთ ამ ფაქტორის გავლენას SME-ების დაფინანსების შესაძლებლობებზე?
11. კვლევა ასევე აჩვენებს ასიმეტრიას რეფორმის გაგებასა და მზადყოფნაში: 81% ელოდება პოზიტიურ ეფექტს, მაგრამ მხოლოდ 42% თვლის, რომ კარგად ესმის რეფორმა. რა შედეგები შეიძლება ჰქონდეს ამ განსხვავებას რეფორმის წარმატებაზე და SME-ების ფინანსებზე?
12. SME-ების გეოგრაფიული განაწილება კვლევაში ძლიერ გადახრილია თბილისის მიმართულებით. თქვენი გამოცდილებით, რეგიონული SME-ები აწყდებიან განსხვავებულ გამოწვევებს რეფორმის დანერგვაში ან მდგრადობის ანგარიშგებაში?
13. როგორ ფიქრობთ, ასახავს თუ არა კვლევის შედეგები მიმდინარე რეალობას და რა დამატებითი მონაცემები ან ინდიკატორები უნდა მონიტორინგდებოდეს მომავალში?  
ნაწილი 3: მდგრადობის ანგარიშგება - ახალი ტენდენცია
14. მდგრადობის (ESG) ანგარიშგება სულ უფრო აქტიურად განიხილება საქართველოში. რა დონეზე არიან SME-ები ჩართული მდგრადობის ანგარიშგებაში?
15. რამდენად მნიშვნელოვანია მდგრადობის ანგარიშგება SME-ებისთვის დღეს და ელით თუ არა, რომ ის მალე გახდება სავალდებულო ან ფართოდ გავრცელებული SME-ებში?
16. რა ძირითადი მამოძრავებელი ფაქტორები და ბარიერები არსებობს SME-ებისთვის მდგრადობის ანგარიშგების დანერგვაში?
17. როგორ შეიძლება მდგრადობის ანგარიშგების მოთხოვნები ინტეგრირდეს არსებულ ბუღალტრულ რეფორმასთან SME-ების სასარგებლოდ?
18. ფინანსური ინსტიტუტები და ინვესტორები სულ უფრო ითვალისწინებენ ESG ინფორმაციას SME-ების დაკრედიტებისა და ინვესტირების გადაწყვეტილებებში? როგორ ვითარდება ეს პროცესი?

